

ბუღალტრული უღრიცხვა



ISSN 1512-0805

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 12 (299)
დეკემბერი
2021

ACCA

**Don't let the fear of losing be greater
than the excitement of winning**



საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაცია

ბუღალტრული აღრიცხვა

ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
რეფერირდება „ქართულ რეფერირებულ ჟურნალში“

სტუ, ტექნიფორმი ISSN 1512-0775

№ 12(299)
დეკემბერი
2021



მთავარი რედაქტორი ლავრენტი ჭუმბურიძე

გამოცემის რედაქტორი საბა ძაძამია

სარედაქციო კოლეგია: ბაბი ალავერდაშვილი; კონსტანტინე დათიაშვილი;
ცისკარა ზარანდია; ნადეჟდა კვატაშიძე; ზურაბ ლიპარტია; გიორგი ნანუაშვილი;
დალი სოლოლაშვილი; რუსუდან ქუთათელაძე; რევაზ ძაძამია; იზოლდა ჭილაძე;
დავით ჯალალონია; ელენე ხარაბაძე.

რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა და ციტატების სიზუსტეზე.

შინაარსი

ინფორმაცია ფელერაციიდან

ბაფის 2021 წლის საერთო (26-ე) კრების მიმოხილვა	3
ბაფის გამგეობის თავმჯდომარის ანგარიში 2021 წლის საქმიანობის შესახებ	4
ბაფის 26-ე საერთო კრების დელეგატებს სარევიზიო კომისიის ანგარიში ბაფის 2021 წლის საქმიანობის შესახებ	22

პროფესიული სერტიფიცირების პრეტენდენტთა დასახმარებლად

რეზიუმე უძველესი **გაბი ალავერდაშვილი**

ბიუჯეტის როლი და მნიშვნელობა მოდული „მმართველობითი აღრიცხვა“ 30

წლიური ეკვივალენტური დანახარჯები და წლიური ეკვივალენტური
სარგებელი. წიგნი F9 – „ფინანსური მართვა“ 36

საქმიანობის შედეგების მართვის ბლოკური მოდელი
მოდული „საქმიანობის შედეგების მართვა“ 42

საბა ძაძაძია

ბუღალტრული აღრიცხვის ხელოვნება: თქვენი კლიენტების
მომსახურებისა და ფასების გ-ეტაპიანი მიმოხილვა 48

მდგრადობის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს
თავმჯდომარე შერჩეულია 50

ოფიციალური მასალები 52

კითხვა-პასუხი 61

ინფორმაცია პირუბიდან 65

რედაქციის მისამართი: 380054, ქ. თბილისი
წერეთლის გამზირი №61. ტელ./ფაქსი: 235-01-57; 235-67-56; 235-43-97
რეკვიზიტები: „თი-ბი-სი ბანკი“. კოდი 220101830 ა/ა 7 467 286

ჟურნალი ააწყო და დააკაბადონა ნ. ყაველაშვილმა

გადაეცა წარმოებას 9.01.2022. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.01.2022.
ფორმატი 70x108 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 4,25. ტირაჟი 1500

ფასი 6 ლარი

© ბაფი 2021 წელი ჟურნალი რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოში
18.09.1997 წ. რეგისტრაციის № 4/4-1236

ბაფის 2021 წლის საერთო (26-ე) კრების მიმოხილვა

2021 წლის 11 დეკემბერს, ონლაინ ფორმატში, გაიმართა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფი) საერთო კრება. კრებას ესწრებოდა 181 დელეგატი და მოწვეული სტუმრები. კრება გახსნა გამგეობის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **რუსუდან ჟორჟოლიანმა**.

კრებას თავმჯდომარეობდა **რუსუდან ჟორჟოლიანი**, მდივანი - **ლავრენტი ჭუმბურიძე**.

დელეგატებმა დაამტკიცეს საერთო კრების დღის წესრიგი:

- ☒ გამგეობის ანგარიში საანგარიშგებო პერიოდის საქმიანობის შესახებ
- ☒ სარევიზიო კომისიის ანგარიში
- ☒ დისკუსია ანგარიშების ირგვლივ და საქმიანობის შეფასება
- ☒ პროფესიის აქტუალურ საკითხებზე მსჯელობა/დისკუსია
- ☒ ბაფის ღვაწლმოსილი წევრების დაჯილდოვება

საანგარიშო პერიოდის საქმიანობის შესახებ, ანგარიში წარმოადგინა გამგეობის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **რუსუდან ჟორჟოლიანმა**.

ბაფის გამგეობის, კომიტეტებისა და აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შემოწმების შედეგების შესახებ მოხსენებით წარსდგა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე **მარიამ ჭურაძე**.

ბაფის გამგეობის და სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების ირგვლივ კრების მონაწილეებმა გამოთქვეს მოსაზრებები და გამართეს დისკუსია.

საერთო კრებამ კენჭი უყარა და დადებითად შეაფასა საანგარიშგებო პერიოდში ბაფის საქმიანობა (დადებითი - 146, დამაკმაყოფილებელი - 27, უარყოფითი - 0).

დამსახურებული წევრების დაჯილდოვება

ბაფის 25 წლისთავთან დაკავშირებით, ორგანიზაციის დაფუძნებისა და პროფესიაში გაწეული ღვაწლისათვის, საერთო კრებამ საპატიო სიგელებით დააჯილდოვა:
ლამარა გოლუბიანი - საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის დაფუძნების, ფედერაციაში წევრებთან და სამოგადოებასთან ურთიერთობის საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების საქმეში შეტანილი წვლილისათვის;
კონსტანტინე დათიაშვილი - საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის დაფუძნების, ბუღალტერთა პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების სფეროს ხელმძღვანელობისა და მისი განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის;
ალექსანდრე კავთიევსკი - საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის დაფუძნებისა და მისი განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის;
ქეთევან აბესალაშვილი - საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის დაფუძნებიდან მისი ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოების სფეროში კვალიფიციური საქმიანობისათვის;
ზურაბ ხარატიშვილი - საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის დაფუძნების, მისი

ხელმძღვანელობისა და განვითარების სფეროში შეტანილი წვლილისათვის; **თამარ ედიშერაშვილი** - საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გორის ფილიალის წარმატებული ხელმძღვანელობისა და ქართლის რეგიონში კადრების მომზადება/გადამზადების სფეროში შეტანილი წვლილისათვის; **მზია ლომინაძე** - იმერეთის რეგიონში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით კადრების გადამზადების სფეროში შეტანილი წვლილისათვის; **მარიამ გურგენიძე** - იმერეთის რეგიონში საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის საქმიანობის პოპულარიზაციის, პროფესიის ერთგულებისა და ბაფთან ნაცოფიერი თანამშრომლობისათვის; **ნარგიზა აბაშიძე, მერი აბაშიძე** - აჭარის რეგიონში საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის საქმიანობის პოპულარიზაციის, პროფესიის ერთგულებისა და ბაფთან ნაცოფიერი თანამშრომლობისათვის.

გთავაზობთ ანგარიშებს, საანგარიშო პერიოდის საქმიანობის შესახებ.
ანგარიშები ასევე გამოქვეყნებულია ბაფის ვებგვერდზე: www.gfpaa.ge



ბაფის გამგეობის თავმჯდომარის ანგარიში 2021 წლის საქმიანობის შესახებ

პატივცემულო კოლეგებო, მოწვეულო სტუმრებო! მადლობას გიხდით დღევანდელ საერთო კრებაში მონაწილეობისთვის, რაც გამოხატავს თქვენს დამოკიდებულებას და ინტერესს ჩვენი ორგანიზაციისა და პროფესიისადმი.

დღეს ბაფს, **დაარსებიდან 25 წელი შეუსრულდა**. ჩემთვის დიდი პატივია მივულოცო ჩვენს ორგანიზაციას, მის ყველა წევრსა და გულშემატკივარს ეს მნიშვნელოვანი თარიღი.

ბაფი ყოველთვის ფართოდ და საინტერესო ფორმატში აღნიშნავდა მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღებს, დღეს კი მხოლოდ ასე, დისტანციურად გვიწევს **25-წლიანი იუბილეს მოლოცვა**, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ გაზაფხულამდე მოგვეცემა შესაძლებლობა უფრო საინტერესო და საკადრისო ფორმის ღონისძიება მივუძღვნათ ჩვენი ორგანიზაციის ღირშესანიშნავ თარიღს.

პატივცემულო დელეგატებო, ბევრი თქვენგანი ორგანიზაციის დაარსებიდან თანამშრომლობს ბაფთან. ბევრს გაგვიელვა ალბათ გონებაში; „ეს რა დრო გასულა“, რამაც უნებლიეთ მოგვახედა უკან.

მოდით ყველამ ერთად მოვიხედოთ უკან და კიდევ ერთხელ გავადევნოთ თვალი იმ გზას, რაზეც ბაფმა მეოთხედი საუკუნე ღირსეულად იარა და თავისი წევრების, პროფესიისა და ქვეყნის წინაშე პირნათელი მოვიდა დღემდე.

ბაფმა თავისი წარმატებული საქმიანობით, მოიპოვა დამსახურებული აღიარება და არა მარტო ქვეყნის შიგნით.

დასტურად, მე მხოლოდ ერთ გამონათქვამს დავიმოწმებ, ბაფის 20 წლის იუბილეზე, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) პრეზიდენტის, ქალბატონ **ოლივია ქირტლის** გამოსვლიდან:

„IFAC აღფრთოვანებულია ფედერაციის საქმიანობით – თითოეული თქვენგანის იმ პასუხისმგებლობით, რომელიც გამოიჩინეთ ბუღალტრის პროფესიის მიმართ თქვენს ქვეყანასა და რეგიონში. საქართველოს ბუღალტრებისა და აუდიტორების პროფესიული განვითარების, საერთაშორისო სტანდარტების აღიარებითა და დანერგვის გზით“.

არსებობს გამონათქვამი: „**მხოლოდ ერთუზიანობით არ კეთდება დიდი საქმეები**“ – თუმცა, ბაფმა თავისი საქმიანობით ეს მითი დაამსხვრია, მხოლოდ ერთი დაზუსტებით:

„დიდი ერთუზიანობით, ერთმანეთისადმი თანადგომითა და პროფესიისადმი დიდი სიყვარულით“ – აშენდა ბაფი.

თუ არა პროფესიის სიყვარული, სხვა რა უნდა ყოფილიყო ის ძალა, რამაც შეძლო გასული საუკუნის 90-იან წლებში ამდენი თანამოაზრის გაერთიანება, რომელთა გარშემოც წლების განმავლობაში პროფესიის ათასობით წამრომადგენელი შემოიკრიბა. ასე შეიქმნა ეს დიდი ოჯახი, რომელთა წევრების უმეტესობა ერთმანეთს ვიცნობთ, ვმეგობრობთ და ვგულშემატკივრობთ.

ნება მომეცით, ბაფის დამფუძნებლებს, მის ყველა წევრს, მისი ყველა პერიოდის ხელმძღვანელობასა და ადმინისტრაციას – ერთხელ კიდევ დაგიდასტუროთ ჩემი უღრმესი პატივისცემა თქვენი ღვაწლისათვის და დაგარწმუნოთ, რომ **„ამ სახლს იმდენად მტკიცე და საიმედო საფუძველი აქვს, ისეთი გამართული და სუფთა ხელებით ნაშენები კედლები, რომ დრო და ჟამი ვერაფერს დააკლებს. მომავალ თაობას კი ამ ჭერქვეშ უშიშრად და თავდაჯერებულად შეუძლია გააგრძელოს საქმიანობა პროფესიის განვითარებისთვის.“**

დღეს, მე მხოლოდ მოკლედ შეგახსენებთ 25 წლის მანძილზე ბაფის საქმიანობის შედეგებს.

25-წლიანი საქმიანობის რეზიუმე

ბაფის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით:

- მიღებულ იქნა საქართველოს კანონი: „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ (1999 წელი) და „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ (2012 წელი);
- ბაფი 2000 წელს პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან პირველი გახდა IFAC-ის ნამდვილი წევრი;
- დაფუძნდა პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი (სასწავლო ცენტრი) და ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა“;
- ჩამოყალიბდა სპეციალისტთა გადამზადებისა და განგრძობითი სწავლების სისტემა და დამკვიდრდა პროფესიული სერტიფიცირება;
- ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები აღიარებულ იქნა საქართველოს ეროვნულ სტანდარტებად;
- პერიოდულად ითარგმნებოდა და გამოიცემოდა ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები. მზადდებოდა და გამოიცემოდა მათი პრაქტიკაში გამოყენებისათვის საჭირო ლიტერატურა;
- დაფუძნდა ბუღალტერთა და აუდიტორთა რეგიონალური ფედერაცია „ევრაზია“;
- ჩატარდა 12 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით;

- მომზადდა და ნორმატიული აქტების სახით გამოიცა მცირე ბიზნესის ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტები (2004 წელი) და არაკომერციული იური-დიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი (2006 წელი);
- ითარგმნა და გამოიცა: მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (2014 წელი); მომსახურების ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი და მისი გამოყენების სახელმძღვანელოები (2014-16 წელი);
- პერიოდულად გამოიცემოდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით გადამზადდა 30000-ზე მეტი ბუღალტერი;
- მთავარი ბუღალტრის სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილეობდა 2500-მდე პირი;
- პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსი მოიპოვა 778 პირმა;
- მიმდინარე ეტაპზე პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილეობს სერტიფიცირების 12000-ზე მეტი კანდიდატი.

დღევანდელ საიუბილეო კრებაზე, ნება მომეცით გავისენოთ ბაფის გარდაცვლილი დამფუძნებლები:

გობეჯიშვილი გრიგოლი

დუჩიძე მალხაზი

ბაზაძე ნათელა

ბატაშევა მარია

ბაკუტაშვილი ბიჭიკო

კალანდაძე მარიკა

მაღაშხია ნატა

მათთან ერთად, გავისენოთ 25 წლის მანძილზე ბაფის ყველა გარდაცვლილი წევრი და წელს გარდაცვლილი ქალბატონი მანანა გველესიანი, ბაფის დაარსების დღიდან – ყოველთვიური ჟურნალის „ბუღალტრული აღრიცხვა“ და ბაფის გამოცემების უცვლელი რედაქტორი. თქვენის ნებართვით, **წუთიერ დუმილით პატივი მივაგოთ მათ სულებს!**

ტრადიციის შესაბამისად, მაღლიერებას გამოვხატავთ და ბაფის 25 წლის იუბილეს-თან დაკავშირებით, პროფესიაში გაწეული ღვაწლისათვის საპატიო სიგელებით ჯილდოვდებიან:

ლამარა გოლუბიანი - საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის დაფუძნების, ფედერაციაში წევრებთან და საზოგადოებასთან ურთი-ერთობის საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების საქმეში შეტანილი წვლილისათ-ვის; **კონსტანტინე დათიაშვილი** - საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის დაფუძნების, ბუღალტერთა პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების სფეროს ხელმძღვანელობისა და მისი განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის; **ალექსანდრე კავთიევსკი** - საქართველოს პროფესიო-ნალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის დაფუძნებისა და მისი განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის; **ქეთევან აბესალაშვილი** - საქართველოს პროფე-სიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის დაფუძნებიდან მისი ფინანსური

აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოების სფეროში კვალიფიციური საქმიანობისათვის; **ზურაბ ხარატიშვილი** - საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის დაფუძნების, მისი ხელმძღვანელობისა და განვითარების სფეროში შეტანილი წვლილისათვის; **თამარ ედიშერაშვილი** - საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გორის ფილიალის წარმატებული ხელმძღვანელობისა და ქართლის რეგიონში კადრების მომზადება/გადამზადების სფეროში შეტანილი წვლილისათვის; **მზია ლომინაძე** - იმერეთის რეგიონში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით კადრების გადამზადების სფეროში შეტანილი წვლილისათვის; **მარიამ გურგენიძე** - იმერეთის რეგიონში საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის საქმიანობის პოპულარიზაციის, პროფესიის ერთგულებისა და ბაფთან ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის; **ნარგიზა აბაშიძე, მერი აბაშიძე** - აჭარის რეგიონში საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის საქმიანობის პოპულარიზაციის, პროფესიის ერთგულებისა და ბაფთან ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის.

ბაფის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში

გამგეობის საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში ბაფის გამგეობის მიერ ჩატარებულია **9 სხდომა**. სხდომებზე განხილული იყო გეგმიური და პერიოდისთვის აქტიური 31 საკითხი, საიდანაც გამოვყოფდით:

- **ზედამხედველობის სამსახურის საბჭოში პროფესიული ორგანიზაციების მხრიდან წარმომადგენელზე პოზიციების შეჯერება და წარდგენა**

კანონით აღიარებული ორი პროფესიული ორგანიზაციის: ბაფისა და ბუღალტერთა, აუდიტორთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის შეთანხმებით, ზედამხედველობის საბჭოში 3 კანდიდატი იქნა წარდგენილი, ბატონები: **დავით ჯალაღონია, ზურაბ მამუკელაშვილი და დავით გოგიჩაიშვილი**, საიდანაც საბჭოში პროფესიის წარმომადგენელ წევრად დამტკიცებული იქნა ბატონი **ზურაბ მამუკელაშვილი**.

აქვე, გვინდა ავღვნიშოთ, რომ სულ 10 თვეა ბატონი ზურაბი ამ მისიას ასრულებს და არაერთხელ წარმოაჩინა აღებული ვალდებულებისადმი მაღალი პასუხისმგებლობა და გულისხმიერება.

- **ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონში ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფის შექმნა**

პროფესიის მარეგულირებელი კანონმდებლობის ბოლო ცვლილებებიდან 5 წელი გავიდა, ამ პერიოდმა გამოავლინა რიგი საკითხები, რომელთა ხელახლა შეფასების საჭიროება დადგა დღის წესრიგში. საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივა საზედამხედველო სამსახურის მიერ გასულ წელს დაიწყო. მიმდინარე წელს ეს პროცესი გაგრძელდა და უფრო ინტენსიური სამუშაოები განხორციელდა. როგორც ზემოთ ითქვა, გამგეობის გადაწყვეტილებით ცალკე **სამუშაო ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომელიც დაკომპლექტდა ორი პროფესიული ორგანიზაციის, დიდი ოთხეულის, ქსელური, საშუალო და მცირე აუდიტორული ფირმების წარმომადგენლებით. ჯგუფი წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა.**

ბაფს დაგეგმილი აქვს მომდევნო წელს ჯგუფის მუშაობის გაფართოება, პროფესიის მხრიდან საკანონმდებლო ინიციატივის მომზადება და ამ მიზნით, საზედამხედველო

ორგანოსთან აქტიური თანამშრომლობა, რათა განხორციელებულ ცვლილებებში მაქსიმალურად იყოს შეჯერებული როგორც საზედამხებელო სამსახურის, ისე პროფესიის წარმომადგენელთა პოზიციები.

გვჯერა, რომ მხოლოდ ამ გზით მიიღწევა პროფესიის რეგულირების სრულყოფა.

- **ბაფის მონიტორინგის შედეგების განხილვა**

ბაფის მონიტორინგის შედეგების განხილვებს გამგეობამ არა ერთი შეხვედრა მიუძღვნა, რამდენადაც საკითხი უკავშირდება ბაფის მიერ საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულებას, რომლის დაცვის ვალდებულება ორგანიზაციის მიზნებში ერთ-ერთი პრიორიტეტია.

ბაფი თვლის, რომ ეს პროცესები ორმხივად მნიშვნელოვანი იყო, რამდენადაც პროფესიის დამოუკიდებელი რეგულირების პირობებში, მონიტორინგი პირველად მიმდინარეობდა, მის ფორმატსა და არეალზე მონიტორინგის მხარეების ხედვის შეჯერება, სამომავლოდ ამ პროფესიის სწორი პრაქტიკის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

ბაფი გამოხატავს პატივისცემას საზედამხებელო სამსახურის მიერ გამოთქმულ მოსაზრებების მიმართ. ის მნიშვნელოვანწილად ითვალისწინებს და გაითვალისწინებს კიდევ მომავალში, კანონმდებლობით განსაზღვრული მონიტორინგის ფარგლებში გამოთქმულ მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს, თუმცა მონიტორინგის არეალში მოექცა ისეთი თემები, რომელიც გაცდენილი იყო კანონმდებლობით განსაზღვრული მონიტორინგის ჩარჩოებს. **ბაფი არ იზიარებს პოზიციას, მონიტორინგის ფორმატში, ისეთი საკითხების განხილვასა და შეფასებაზე, რომელიც არ არის კანონმდებლობით განსაზღვრული.**

ბაფის გამგეობამ, ბაფის კონსულტანტებისა და ოთხეულის წარმომადგენელთა აქტიური ჩართულობით, მნიშვნელოვანი დრო და რესურსები გამოიყენა ამ საკითხების საზედამხებელო სამსახურთან დასარეგულირებლად. მიუხედავად პროფესიის წარმომადგენელთა დიდი ძალისხმევისა, უშუალოდ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ შედგა და ბაფის გამგეობის გადაწყვეტილებით 2021 წლის 8 აგვისტოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში“ გასაჩივრდა საზედამხებელო სამსახურის 2021 წლის 2 აგვისტოს N308 ბრძანება ბაფის მონიტორინგის შედეგების შესახებ და ამ ბრძანებით დამტკიცებული მონიტორინგის ანგარიში, რომლითაც ბაფი ითხოვდა ანგარიშიდან ამოღებულიყო ის საკითხები, რომელიც სცდებოდა კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოს 2021 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ბაფის მიერ წარდგენილი საჩივარი სრულად იქნა დაკმაყოფილებული.

ბაფის წევრების, გამგეობისა და ადმინისტრაციის სახელით გვინდა მადლიერება გამოვხატოთ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოს“ მიმართ, განსახილველ საკითხისადმი გამოხატული გულისხმიერებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებისათვის.

ჩვენი რწმენით, ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს, როგორც მარეგულირებელი სისტემის სრულყოფას და პროფესიული ორგანიზაციების ქმედუნარიანობის განვითარებას, ასევე საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას, რაც უდაოდ საერთო ინტერესებშია.

მონიტორინგის მასალები, საბოლოო დამტკიცების შემდეგ გასაჯაროვდება და ხელმისაწვდომი გახდება ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

გარდა საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვის კუთხით შეფასებისა, რომელსაც მოიცავს საზედამხებელო სამსახურის მიერ ბაფის მონიტორინგი, ბაფი ასევე ექვემდებარება: **თვითშეფასებას და საერთაშორისო შეფასებას.**

ბაფის თვითშეფასება და საერთაშორისო შეფასება

ბაფი, როგორც საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისადმი მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაცია, სისტემატურად აფასებს და თანმიმდევრულად განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების გზებს.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ შემუშავებული „**პროფესიული ორგანიზაციების სიმწიფის მოდელის**“ მიხედვით 2021 წელს ბაფმა გამოაქვეყნა თვითშეფასება, რომლის 5 ქულიანი სისტემით, ორგანიზაციის შეფასების ძირითადი მაჩვენებლებია: **სტაბილურობა, რელევანტურობა, პროფესიონალიზმი, წევრების განათლება და მომსახურება.**

მოდელით განსაზღვრული **5-ქულიანი** სისტემიდან ორგანიზაცია შეფასებულია, ძირითადად, **4 ქულით**, რაც ადეკვატურია და შესაბამისობაშია IFAC-ის მიერ SMO-ებით შეფასებასთან.

IFAC-ის წევრობის ვალდებულების პრინციპები (SMO-ები) გამოიყენება, როგორც საფუძველი ბუღალტრის ძლიერი და თანამედროვე პროფესიის ჩამოყალიბებისთვის და ის მოიცავს:

- SMO 1 - ხარისხის უზრუნველყოფა;
- SMO 2 - განათლების სტანდარტები;
- SMO 3 - აუდიტის სტანდარტები;
- SMO 4 - ეთიკის კოდექსი;
- SMO 5 - სახელმწიფო სექტორის აღრიცხვის სტანდარტები;
- SMO 6 - მოკვლევა და დისციპლინარული პასუხისმგებლობა;
- SMO 7 - ფასს სტანდარტები.

შესაბამისად, წევრი პროფესიული ორგანიზაციების მიერ წარდგენილი სამოქმედო გეგმები პერიოდულად განიხილება და ფასდება IFAC-ის მიერ და შესაბამისი რეკომენდაციები ეძლევა პროფესიულ ორგანიზაციებს.


იმის შესაფასებლად, თუ რამდენად ასრულებს ბუღალტერთა ორგანიზაცია წევრობის ვალდებულებებს, IFAC იყენებს **6-საფეხურიან უწყვეტი გაუმჯობესების ციკლს:**

- არააქტიური** - ორგანიზაცია, არ ასრულებს წევრობის მოთხოვნებს;
- განიხილავს** - ორგანიზაცია განიხილავს, როგორ შესრულდეს მოთხოვნები;
- გეგმავს** - ორგანიზაცია, განსაზღვრავს გეგმას მოთხოვნების შესასრულებლად;
- აღასრულებს** - ორგანიზაცია, ანხორციელებს გეგმას;

მიმოიხილავს და აუმჯობესებს - ორგანიზაცია, ვალდებულებების შესასრულებლად ამოწმებს შედეგებს, საჭირო გაუმჯობესების იდენტიფიცირებისა და განხორციელების მიზნით;

მდგრადი - ორგანიზაცია, ინარჩუნებს კარგად დადგენილ მიმდინარე პროცესებს შესაბამისი ვალდებულებების შესრულების მიზნით.

IFAC-ის მიერ „ბაფის“ წევრობის ვალდებულებების (SMO) შესრულების ბოლო შეფასება



საყურადღებოა ისიც, რომ IFAC შეფასებისას ეყრდნობა არა მარტო ბაფის წარდგენილ ინფორმაციას, არამედ ყველა ხელმისაწვდომ საჯარო ინფორმაციას და შესაბამის ინსტიტუციონალურ ანგარიშგებებს. საერთო შედეგებს კი აქვეყნებს თავის ვებგვერდზე. 2021 წლის მდგომარეობით, IFAC-ის წევრობის ვალდებულებების შესრულების საერთო სურათი, რომელშიც ასახულია IFAC-ის ნამდვილი წევრი 134 ქვეყნის ინფორმაცია მოცემულია 7 SMO-ს მიხედვით ვალდებულებების შესრულება (ინფორმაცია განთავსებულია IFAC-ის ვებგვერდზე) სადაც გამოყენებულია **3 შეფასება**.

- მიღებულია;
- ნაწილობრივ მიღებული;
- არ არის მიღებული.

ჩვენი ორგანიზაციისათვის ყოველთვის მნიშვნელოვანია ვხედავდეთ ამ გლობალურ სურათში სად არის ბაფი.

თუ IFAC-ის მიერ გამოყენებულ ამ შეფასებას, პირობითად, მივანიჭებთ ქულებს:

მიღებულია - 2;

ნაწილობრივ მიღებული - 1;


არ არის მიღებული - 0,

შემდეგ სურათს მივიღებთ:

ქულები ქვეყნების მიხედვით	ქვეყნების რაოდენობა ქულების მიხედვით	პროცენტული მაჩვენებელი ქვეყნების და ქულების მიხედვით
14	1	1%
13	10	7%
12	13	10%
11	17	13%
10	25	19%
9	15	11%
8	16	12%
7	20	15%
6	6	4%
5	7	5%
4	3	2%
2	1	1%

საქართველო ამ სისტემაში 11 ქულიანთა რიგშია, რომელიც 134 ქვეყნის 13%-სა და მაღალქულიანთა 30%- შია და დღეისათვის აქვს განვითარების უფრო მაღალი მაჩვენებლები, ვიდრე სვეტის ქვედა ნაწილში მოხვედრილ 70%-ს.

საქართველოს ადგილი IFAC-ის წევრი ქვეყნების გლობალურ სურათში



სურათი გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო შეფასებით, ჩვენი ორგანიზაცია თავისი განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე დგას, თუმცა „მდგრადობის“ (უმაღლესი საფეხურის) მიღწევისა და მუდმივად შესანარჩუნებლად მეტი დრო, ძალისხმევა და რესურსებია საჭირო.

ჩვენს ორგანიზაციას დაარსებიდან არ სჩვევია „სხვისი დანახვის მიზნით“ საქმის კეთება და გაკეთებულის „გადამეტებული რეკლამირება“, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ:

პროფესიული სრულყოფის გზაზე, ბაფს გავლილი აქვს: არჩევანის გაკეთების, დაგეგმვისა და აღსრულების ეტაპები, დღეისათვის ის აუმჯობესებს თავის მიღწევებს და საკმაოდ „**მომწიფებული ორგანიზაციაა**“ საიმისოდ, რომ:

- სწორად ხედავდეს თავის როლსა და შესაძლებლობებს პროფესიის განვითარებისთვის;
- შესაბამისად აყალიბებდეს თავის სტრატეგიულ მიზნებს;
- სახავდეს მათი აღსრულების ამოცანებს და საამისოდ შესაბამისად და ეფექტურად იყენებდეს შიდა თუ გარე, ინფორმაციულ, ინტელექტუალურ თუ მატერიალურ რესურსებს; და
- მუდმივად ისწრაფვოდეს დაინტერესებულ მხარეთათვის მდგრადი ღირებულებების შექმნისა და ოპტიმიზაციისკენ.

კომიტეტების საქმიანობა

☑ განათლების კომიტეტი

თავმჯდომარე - კონსტანტინე დათიშვილი


კომიტეტის მისია: საქართველოში ბუღალტრებისა და აუდიტორების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება, ბუღალტერთა პროფესიული მომზადება და გადამზადება, მსოფლიო მოწინავე პრაქტიკის დანერგვა, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით.

ბაფს გააჩნია ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების (ACCA ქართულად ადაპტირებული) პროგრამა, რომელიც აღიარებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ.

პროფესიული სერტიფიცირების კანდიდატების სტატისტიკა.

2021 წლის 11 დეკემბრის მდგომარეობით, ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში სულ რეგისტრირებულია 12260 კანდიდატი. მათ შორის, საანგარიშო წელს პროგრამაში ჩაერთო 440 კანდიდატი.


აღსანიშნავია, რომ 2020 წლიდან COVID-19 დაკავშირებით, მნიშვნელოვნადაა შემცირებული სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა.



პროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობს სასწავლო ლიტერატურის 2 სახელმძღვანელოს განახლების პროცედურები.


2020 წლიდან განგრძობითი სწავლების სემინარები ონლაინ რეჟიმში ტარდება. მონაწილეთა შეფასებით, საანგარიშო წელს ჩატარებული სემინარები ერთ-ერთი საუკეთესო იყო ბაფის განგრძობითი სწავლების 20 წლიან პრაქტიკაში.

განგრძობითი სწავლების სტატისტიკა (აუდიტორები)



	აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებულ პირთა ჩართულობა განგრძობითი სწავლების პროგრამაში	გაიარა განგრძობითი სწავლება
■ 2019	323	320
■ 2020	325	323
■ 2021	320	318

განგრძობითი სწავლების სტატისტიკა (სერტიფიცირებული ბუღალტრები)



	პროფესიონალ ბუღალტერთა რეესტრში რეგისტრირებულ პირთა ჩართულობა განგრძობითი სწავლების პროგრამაში	გაიარა განგრძობითი სწავლება
■ 2019	323	320
■ 2020	325	323
■ 2021	320	318

☒ აუდიტის ხარისხის კომიტეტი

კომიტეტის თავმჯდომარე - ანა კუსრაშვილი

კომიტეტის მისია: ბაფის წევრი აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდა, ხარისხის კონტროლისა და აუდიტის წარმოების ხარისხის გაუმჯობესების გზით.

2021 წელს დამტკიცდა აუდიტის ხარისხის კომიტეტის ახალი შემადგენლობა და კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა აუდიტორული კომპანია „იუაის“ პარტნიორი, ქალბატონი ანა კუსრაშვილი.

ბაფი დიდ მადლობას უხდის ბატონ რუსლან ხოროშვილს წლების განმავლობაში კომიტეტის ეფექტური ხელმძღვანელობისა და მისთვის ჩვეული მაღალი პასუხისმგებლობისთვის,

კომიტეტმა წლის განმავლობაში ჩაატარა 7 სხდომა, წლის ბოლომდე გეგმავს კიდევ 1 სხდომის ჩატარებას.

კომიტეტმა დაამტკიცა 4 ახალი დიაგნოსტიკური ექსპერტი:

3 – KPMG-დან

1 – PWC-დან

კორპორატიული წევრების აუდიტის ხარისხზე უფრო პროაქტიული ზრუნვის მიზნით 2021 წლის ხარისხის კომიტეტმა შეცვალა მიდგომა აუდიტორული ფირმების ხარისხის დიაგნოსტიკასთან დაკავშირებით და ხელმძღვანელობს ორი მიდგომით:

- **დიაგნოსტიკა, აუდიტორული ფირმების მოთხოვნის საფუძველზე;**

- **დიაგნოსტიკა, რისკზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე.**

კომიტეტმა, რისკზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე შეარჩია 3 აუდიტორული კომპანია.

სულ კომიტეტმა წლის განმავლობაში ჩაატარა 4 კომპანიის დიაგნოსტიკა, დამატებით, 2 კომპანიის დიაგნოსტიკა დაგეგმილია: 1 წლის ბოლომდე, მეორე 2022 წლის დასაწყისში.

კომიტეტთან თანამშრომლობს მცირე აუდიტორული კომპანიების ხარისხის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი, ქალბატონ ლელა ჯანელიძის ხელმძღვანელობით, რომელშიც აქტიურად არის ჩართული გამგეობის წევრი, ბატონი მურად ნარსია.

☒ **ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტი**

თავმჯდომარე – მიხეილ აბაიძე

კომიტეტის მისია: ბაფის წევრი ბუღალტრების მიერ პროფესიული მოვალეობების ღირსეულად შესასრულებლად ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების დამკვიდრება.

2021 წელი საკმაოდ დატვირთული და გამოწვევებით სავსე იყო ბაფის ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტისთვის. კომიტეტმა პრაქტიკულად აამოქმედა მოკვლევისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის სისტემა.

კომიტეტის მიერ დისტანციურ რეჟიმში განხილულ იქნა 3 საჩივარი, სადაც მოითხოვებოდა 3 განსხვავებული ტიპის დისციპლინარული საქმის წარმოება. განხილვაში მიღებული საქმეებიდან:

- ერთ საჩივარზე, განხორციელდა მოკვლევა სპეციალურად მოწვეული მომკვლევის მიერ და კომისიური წესით (მოწვეულ წევრებთან ერთად) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, წერილობით დაევალა წევრს: შეწყვიტოს და არ გაიმეოროს ბაფის წევრისთვის შეუსაბამო ქცევა;
- მეორე საჩივარზე, მოქმედი წესის და სხვა მოკვლევისათვის აუცილებელი ქმედებების ჩატარების შედეგად კომიტეტმა დაასკვნა, რომ სერტიფიცირებული ბუღალტრის შეუსაბამო ქცევის ფაქტი არ დადასტურდა და შეწყდა წარმოება;
- მესამე საჩივარზე კომიტეტის ფარგლებში ჩატარებული მოკვლევის საფუძველზე წერილობით დაევალა წევრს: შეწყვიტოს და არ გაიმეოროს წევრისთვის შეუსაბამო ქცევა.

კომიტეტი ერთგულია იმ მოსაზრების, რომ შეუსაბამო ქცევისთვის შესაბამისი ზომის გამოყენების მიზანს წარმოადგენს არა დასჯა, არამედ საზოგადოების ინტერესების დაცვა და პროფესიის იმიჯის მაღალ დონეზე შენარჩუნება და ამ მიზნით, შესაბამისი საქმედების მუდმივ საწყისებზე განხილვა, საზოგადოების და დაინტერესებულ მხარეთა ინტერესთა დამცველი სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღება.

☑ საგადასახადო კომიტეტი

კომიტეტის თავმჯდომარე - დავით პაპიაშვილი

კომიტეტის მისია: ბაფის წევრების პროფესიული მხარდაჭერა, საგადასახადო დაბეგვრის პრობლემებზე საკითხებზე.

საგადასახადო კომიტეტმა განახორციელა აქტივობები 2020 წელს შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, კერძოდ:

კომიტეტი ჩართულია ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის ჟურნალისათვის კითხვა-პასუხის მომზადების პროცესში. ყოველთვიურად კომიტეტი განიხილავს ჟურნალში დასაბეჭდ კითხვებზე მომზადებული პასუხების პროექტებს და აგზავნის საკუთარ შენიშვნებს და მოსაზრებებს.

კომიტეტი აქტიურადაა ჩართული ბაფის წევრებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ინდივიდუალური კონსულტაციის გაწევის პროცესში.

საგადასახადო კომიტეტმა დაიწყო ბაფის წევრებისთვის რეგულარული შეხვედრების გამართვა და ტრენინგების ჩატარება. თავდაპირველად დაგეგმილი იყო წელიწადში ერთი შეხვედრის გამართვა, თუმცა საჭიროებიდან გამომდინარე 2021 წელს ჩატარდა ორი შეხვედრა იანვრისა და აგვისტოს თვეებში, სატრენინგო ფორმატის გარდა, შეხვედრებმა მიიღო ტრენინგის მონაწილეებთან გამოცდილების გაზიარებისა და პროფესიული დისკუსიის ფორმატი. დისკუსიის შედეგად მოხდა მრავალი პრობლემური საკითხის იდენტიფიცირება საგადასახადო კანონმდებლობაში.

კომიტეტი ჩართულია დაბეგვრის საკითხებთან დაკავშირებით ბაფის სასწავლო პროგრამების თემატიკის შერჩევის პროცესში.

კომიტეტი აკვირდება და აანალიზებს შემოსავლების სამსახურის მიერ ჩატარებული შემოწმებებისას გამოყენებულ ახალ მიდგომებს.

☑ საწევრო კომიტეტი

კომიტეტის თავმჯდომარე - ნიკო ბაკაშვილი


კომიტეტის მისია: ხელი შეუწყოს საწესდებო მოთხოვნების შესრულებას და მისი წევრების ორგანიზაციული მდგომარეობის ფორმალიზებას.

კომიტეტის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საწევრო კომიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად დასახული იყო წევრებისათვის ონლაინ სემინარების ორგანიზება ფინანსური ანგარიშგების, აუდიტის ხარისხის, საგადასახადო დაბეგვრისა და სხვა თემატურ საკითხებზე. დაგეგმილი ღონისძიების ფარგლებში ორგანიზებულ იქნა შესაბამისი სემინარები:

2021 წლის განმავლობაში ბაფის წევრებისთვის ჩატარებული ტრენინგები			
#	ტრენინგის თემა	ტრენერი	ჩატარების პერიოდი
1	დღგ-ში განხორციელებული ცვლილებების ანალიზი	დავით პაპიაშვილი	22, 29 იანვარი და 5 თებერვალი
2	საქართველოს აუდიტორულ ბაზარზე მოქმედი აუდიტორული კომპანიების 2020 წლის საქმიანობის სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგები და მცირე და საშუალო ზომის აუდიტორული კომპანიების ფუნქციონირების არსებული და მოსალოდნელი პრობლემები	მურად ნარსია	7 ივლისი
3	მცირე და საშუალო საწარმოთა (II და III კატეგორიის საწარმოთა) ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - მსს ფასს-ის მიხედვით ანგარიშგების მომზადების პრაქტიკული ასპექტები	ლელა კუპრაშვილი	20 ივლისი
4	საგადასახადო კანონმდებლობაში შესული მნიშვნელოვანი ცვლილებები და სიახლეები	დავით პაპიაშვილი	11 აგვისტო
5	IV კატეგორიის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა	ლელა კუპრაშვილი	20 აგვისტო

ჩატარებულმა სემინარებმა დაგვანახა, რომ აუცილებელია გაგრძელდეს წევრებთან ონლაინ სემინარების ჩატარების პრაქტიკა, რადგან პროფესიისთვის მნიშვნელოვან სიახლეებზე წევრებთან ანალოგიური სემინარები ხელს შეუწყობს რეფორმის წარმატებით განხორციელებას.

წევრობის სტატისტიკა წლების მიხედვით



წევრების სტატისტიკაში მოსალოდნელი ცვლილებები 2021 წლის 31 დეკემბრამდე. წევრებთან ჩატარებული სამუშაოს მიუხედავად, საწევრო კომიტეტისათვის წარმოდგენილი ინფორმაციით, საანგარიშო წელს ბაფის ფიზიკური პირი წევრების რეესტრიდან ამოღებას ექვემდებარება – 685 პირი, მათ შორის 27 სერტიფიცირებული (ნამდვილი) და 658 ასოცირებული წევრი. წევრობის დებულების მოთხოვნების შესაბამისად, კორპორაციულ წევრთა რეესტრიდან ამოღებას ექვემდებარება 2 აუდიტური კომპანია.

☑ სტანდარტებისა და პრაქტიკის კომიტეტი

კომიტეტის თავმჯდომარე - თეიმურაზ ფარცხალაძე

კომიტეტის მისია: საქართველოში ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის განხორციელების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის მიერ ონლაინ რეჟიმში განხორციელდა შემდგომი აქტივობები:

- ჩატარდა მე-3-ე და მე-4-ე კატეგორიის საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და ანგარიშგების რეპორტაჟზე ატვირთვის სემინარები;
- ტარდებოდა კომიტეტის ონლაინ შეხვედრები IFRS-დან თემებზე ბაფში შემოსულ შეკითხვების განხილვისთვის;
- კომიტეტი მჭიდრო თანამშრომლობას აგრძელებს ზედამხედველობის სამსახურთან ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ქართული ტერმინოლოგიის განხილვის და დამკვიდრების კუთხით;
- ასევე, აქტიურად თანამშრომლობენ არაკომერციული პირის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შემუშავების მიმდინარე საერთაშორისო პროექტთან.

ბაფის ფინანსური საქმიანობა

ბაფის 2021 წლის ფინანსური საქმიანობა შესაძლებელია მიმოვიხილოთ მხოლოდ განვლილი 9 თვიანი პერიოდის მონაცემების მიხედვით. აღვნიშნავთ, რომ გასული წლის ანალოგიურად, კვლავ სახეზეა სერტიფიცირების გამოცდებზე გამომსვლელთა რაოდენობის შემცირების ტენდენცია, რაც გარკვეულ გავლენას მოახდენს 2021 წლის ფინანსური შედეგებზე, რომლის სრული სურათი გვეჩვენა მომავალ წელს, წლიურ ანგარიშგებაში.

რაც შეეხება 2020 წლის ფინანსურ შედეგებს, ბიუჯეტით დაგეგმილ იყო ზარალი -11,396 ლარი, ფაქტიურად მიღებულმა ზარალმა შეადგინა 32,875 ლარი. სხვაობა (21,479 ლარი), არსებითად, განპირობებულია პროფესიული სერტიფიცირების გამოცდებზე გამომსვლელი კანდიდატებისა და შესაბამისად, სახელმძღვანელო ლიტერატურის რეალიზაციის შემცირებით. რაც გამოწვეული იყო პანდემიის (COVID-19) გამო, რომლის გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის პერიოდში ვერ მოხდებოდა.

სხვა მუხლებში, შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმილ და ფაქტიურ მონაცემებს შორის ცდომილება პროპორციული და, საბოლოო შედეგთან მიმართებაში, არაარსებითია.

ბაფის 2020 წლის ბიუჯეტი, ფინანსური ანგარიშგება და აუდიტის დასკვნა საჯაროა, ასევე გამოქვეყნებულია 2021 წლის ბიუჯეტი. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური შედეგი ბოლო 2 წლის მონაცემებით იკლებს, ბაფის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

პარტნიორ და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში წევრებისათვის განხორციელებული ღონისძიებები

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციასთან (IFAC) თანამშრომლობა

2021 წლის 9-10 სექტემბერს ბაფი მონაწილეობას იღებდა IFAC-ის გაცვლით სამიტში, სადაც განიხილებოდა IFAC-ის საბჭოს შეხვედრები თემებზე: „წამყვანი მდგრადობა, საერთაშორისო სტანდარტების მიღება და განხორციელება, პროფესიული ორგანიზაციების (PAO) მხარდაჭერა, საჯარო ფინანსების მენეჯმენტი, გადასახადი და IFAC-ის საერთო საკომუნიკაციო სტრატეგია“. დაამტკიცეს ნომინაციის კომიტეტის რეკომენდაციები საბჭოების შემადგენლობის შესახებ.

2021 წლის 20 სექტემბერს ბაფი მონაწილეობას იღებდა ვებინარში თემაზე – „საინფორმაციო ხარვეზის დაფარვა: ინვესტორების, ბუღალტერების და კაპიტალის ბაზრების როლი“.

ამ ღონისძიებამ თავი მოუყარა ინვესტორებს და ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიონალებს, იმის განსახილველად თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული ინფორმაცია და ანგარიშგება ბიზნესისა და ინვესტორების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. როგორც ბიზნეს ინფორმაციის მთავარმა ხელმძღვანელებმა, ბუღალტერებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ინვესტორებს და გადაწყვეტილების მიმღებებს ორგანიზაციებში ჰქონდეთ წვდომა კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ მაღალხარისხიან ინფორმაციაზე, რათა გაიგონ კლიმატის ცვლილების მიმდინარე და პერსპექტიული გავლენა ორგანიზაციაზე და მისი სტრატეგია, რისკის მართვა და ფინანსური პოზიცია და პერსპექტივები.

23 სექტემბერს მონაწილეობდა IFAC-ის ბაფთან ურთიერთობის ახალ საკონტაქტო პირთან **სარა გევნონთან** გაცნობით საუბარში. სარა გევნონი არის ხარისხის და განვითარების ტექნიკური მენეჯერი და მას აქვს 5.5 წლის მუშაობის გამოცდილება აფრიკის, ლათინური ამერიკის და კარიბის ზღვის ქვეყნებში. საუბარი შეეხო IFAC-ის ყოველწლიური წევრობის საკითხებს, სიახლეებს და განახლებებს საკანონმდებლო და მარეგულირებელ გარემოში, ასევე ბაფის საქმიანობას, პრიორიტეტებს, გამოწვევებს და რა სახის მხარდაჭერა შეუძლია IFAC-ს.

ბაფი მონაწილეობას იღებდა 12-14 ოქტომბერს IFAC-ის გაცვლით სამიტში თემაზე: „მართვის მდგრადობა“, სადაც ფოკუსირება მოხდა ორგანიზაციების მოქმედების მოთხოვნაზე და ინვესტორებზე, მარეგულირებელი ორგანოების და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე პირების საჭიროებებსა და პერსპექტივებზე.

ბაფი მონაწილეობდა IFAC-ის ვირტუალურ საინფორმაციო სესიაზე (Zoom-ის საშუალებით) რომელიც გაიმართა 3 ნოემბერს. თემა – „საერთაშორისო აუდიტისა და ეთიკის სტანდარტის გაძლიერება“. მომხსენებელი, IFAC-ის აღმასრულებელი დირექტორი, ბ-ნი კევინ დანსი რომელმაც განიხილა პროფესიული ორგანიზაციების წინსვლის გზები და უპასუხა IFAC-ის წევრი ორგანიზაციების კითხვებს.

18 ბაფი მონაწილეობას იღებდა IFAC-ის საბჭოს სხდომაზე, რომელიც ონლაინ ფორმატში ჩატარდა 2021 წლის 10-11 ნოემბერს.

2021 წლის 7-8 დეკემბერს ბაფი მონაწილეობდა IFAC-ის მიერ ორგანიზებულ ონლაინ ფორუმში: „მდგრადი მომავლისკენ“.

COVID 19-ის პანდემიამ ხელი შეუწყო სახელმწიფო ფინანსებისა და ინფრასტრუქტურის მოწყვლადობას მთელ მსოფლიოში და ბევრ იურისდიქციაში გამოიწვია სტრუქტურული პრობლემები.

ფორუმზე მდგრადი მომავლისკენ მიმოხილული იყო ის ინსტრუმენტები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომია გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული საჯარო სექტორის მხარდასაჭერად. ფორუმზე ასევე ხაზგასმული იქნა მდგრადობის ანგარიშგების ჩარჩოს ჩამოყალიბების მნიშვნელობა და განიხილეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიღებისა და დანერგვის გავლენა განვითარებად და უფრო რთულ გარემოში.

2021 წლის 2 დეკემბერს ბაფი მონაწილეობდა საჯარო სექტორის ონლაინ კონფერენციაში. ღონისძიების მიზანი იყო ACCA-ს ათასობით წევრისა და პროფესიონალის გააერთიანება, რომლებიც მუშაობენ საჯარო სექტორში მთელს მსოფლიოში, თემაზე: „საჯარო ფინანსების წამყვანი როლის აღდგენა“.

მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის წარმომადგენლობებთან თანამშრომლობა:

საანგარიშო პერიოდში ბაფი აქტიურად თანამშრომლობდა მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის წარმომადგენლობებთან საქართველოში და უზრუნველყოფდა დონორების მიერ ორგანიზებულ ონლაინ ღონისძიებებში წევრების აქტიურ ჩართულობას.

თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარებული სემინარები:

- მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმებისათვის მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებულ ვებინარი: „SMP-ების მომავალი: კრიზისიდან მიღებული გაკვეთილები და პრაქტიკის ტრანსფორმაცია“ (დეკემბერი, 2020 წელი);
- „მცირე და საშუალო აუდიტორული ფირმების მომავალი: ციფრული ტრანსფორმაცია“ (მარტი, 2021 წელი);
- „მცირე და საშუალო აუდიტორული ფირმების მომავალი: ბიზნესის დივერსიფიკაცია ახალი სერვისების შეთავაზების საშუალებით“ (აპრილი, 2021 წელი);
- „მცირე და საშუალო აუდიტორული ფირმების მომავალი: ქსელები, შერწყმა და შთანთქმა“ (მაისი 2021 წელი);
- „ხარისხის მართვის ახალი საერთაშორისო სტანდარტები: ხარისხის მართვის დონის ამაღლება“ (ივნისი 2021 წელი)

დონორების მხარდაჭერით თარგმნილი და ბაფის ვებგვერდზე განთავსებულია სხვა-დასხვა მასალა, მათ შორის:

- როგორ აჩვენოთ მცირე და საშუალო საწარმოებს თქვენი რჩევების ღირებულება (ავტორი: მელისა ტრედინიკი, | 30 მარტი, 2021);
- ნამდვილად მუშაობს თუ არა მარკეტინგი (ავტორი: მაიკ კრუკი, 2 ივნისი, 2021);
- ფირმები, რომლებიც Covid-19-ის კრიზისის განმავლობაში განაგრძობენ მარკეტინგსა და რეკლამირებას (ავტორი: ჯეისონ ბოლი1 ივლისი, 2021);
- 7 მითითება საკონსულტაციო პრაქტიკის დასაწყებად და სხვა.

სხვა აქტივობები

2021 წლის 30 ნოემბერს ბაფმა მონაწილეობა მიიღო ჟურნალ "Management"-ის, CERT-აკადემიისა და CERT International (Словения)-ის მიერ პროფესიულ თანასაზოგადოებასთან Food Safety ერთობლივად გამართულ საერთაშორისო-პრაქტიკულ ონლაინ კონფერენციაში თემაზე: „აზროვნების შეცვლა მართვის სისტემებში“.

ბაფი მონაწილეობას იღებდა „ევრაზიის ქვეყნების“ ასოციაციის მიერ ორგანიზებული „განათლების განვითარების“ საკითხებზე მიძღვნილ კონფერენციებში.

2021 წლის 9 დეკემბერს ბაფი მონაწილეობდა საერთაშორისო ონლაინ კონფერენციაში თემაზე: ბუღალტრული ანგარიშგების და აუდიტის განვითარების თანამედროვე ტენდენციები“ რომელიც ეძღვნებოდა უზბეკეთის ბუღალტრების და აუდიტორების პროფესიულ დღესასწაულს.

თანამშრომლობის მემორანდუმები

მიმდინარე წლის 27 ოქტომბერს ბაფმა თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა საქართველოს რეგიონებში მდებარე მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების პროექტთან (RSMEDP). მემორანდუმი გაფორმებულია მხარეებს შორის თანამშრომლობის მიზნით, საქართველოს რეგიონებში მდებარე მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერი პროექტების განსახორციელებლად.

რეგიონებში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების პროექტი (RSMEDP) არის შვეიცარიის მიერ დაფინანსებული ინიციატივა, ხელი შეუწყოს სოფლად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ან/და მდგრადობას, კომერციულ და სახელმწიფო ფინანსებსა და ბაზარზე არსებული ბიზნესის მხარდამჭერ სერვისებზე წვდომის გზით.

ჩვენ პროფესიაში აკადემიური განათლებისა და პროფესიული სერტიფიცირების პროგრამების დაახლოების, პროფესიულ გამოცდებზე ჩათვლების სისტემის ეფექტურობის გაზრდის ასევე, თანამშრომლობის სხვა მიმართულებებზე 2021 წელს მემორანდუმები გაფორმდა/განახლდა შემდეგ უნივერსიტეტებთან:

1. თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
2. ააიპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი;
3. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
4. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი;
5. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
6. სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ბაფისა და ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის შეთანხმებით, 2021 წელს ონლაინ შეხვედრა გაიმართა პროფესიის წარმომადგენელ ჯგუფებთან: ბუღალტერთა ფორუმთან და ბუღალტერთა კავშირთან, სადაც ისაუბრეს პროფესიის მომავალი განვითარების ხედვებზე და თითოეული წარმოდგენილი მხარის ადგილსა და როლზე ამ საქმეში. ვიმედოვნებთ, კონსტრუქციული შეხვედრები მომავალშიც შედგება, რაც პროფესიის წინსვლას მოემსახურება.

კვლევები

საანგარიშო წელს, ბაფი მონაწილეობდა საქართველოს აუდიტორთა ბაზრის კვლევაში (მკვლევარები ერეკლე პირველი, ეკა გეგეშიძე), რომლის კითხვარი შემუშავებული იყო საერთაშორისო მეთოდოლოგიით, საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად.

კვლევის მიზანია, საქართველოში მომუშავე აუდიტორთა გამოკითხვით, ბაზარზე არსებული ძირითადი ტენდენციების (ადამიანური კაპიტალის მართვა, საქმიანობითა და რეფორმით კმაყოფილება, პროფესიონალიზმი, კომერციალიზაცია, სამუშაო ავტონომია და გარემოს პროგნოზირება) ანალიზი და შეფასება.

კვლევა, რომლის ძირითადი სამუშაოები დამთავრებულია, ხორციელდება შემდეგი ორგანიზაციების ჩართულობითა და მხარდაჭერით:

- საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია;
- საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაცია;
- ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმების მხარდაჭერის ეროვნული ფონდი;
- იონქოფინგის უნივერსიტეტი, შვედეთი;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- საქართველოს უნივერსიტეტი.

გამოკითხვაში მონაწილეობდა 200-მდე აუდიტორი, მათ შორის ბაფის 150 წევრი. კვლევის საბოლოო შედეგები უახლოეს პერიოდში გამოქვეყნდება.

ბაფის სამომავლო გეგმები

ბაფს, პროფესიასა და გარემოში მნიშვნელოვანი ცვლილებების საპასუხოდ, 2022 წლისათვის სერიოზული გეგმები აქვს დასახული:

- ბაფი 2022 წელს იმუშავებს სტრატეგიული მიმართულებების შეფასებასა და სრულყოფაზე, პროფესიული გარემოს ცვლილებების მოთხოვნების შესაბამისად;
- სტრატეგიული გეგმის სრულყოფის შესაბამისად მოამზადებს და მომდევნო საანგარიშო კრების განსახილველად წარუდგენს შესაძლო საწესდებო ცვლილებებს;
- შეიმუშავებს ბაფის გამგეობის რეგლამენტს და გამგეობის წევრთა არჩევის უფრო კონკრეტულ წესს;
- ინტენსიური ფორმით იმუშავებს (სამუშაო ჯგუფის ფორმატით) საკანონმდებლო ცვლილებების პროექტზე;
- იმუშავებს დისციპლინარული და მოკვლევის პრაქტიკის გაფართოება/სრულყოფაზე;
- გააფართოვებს თანამშრომლობას: საზედამხებველო სამსახურთან, მსოფლიო ბანკთან, პროფესიულ ორგანიზაციებთან;
- საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით ითანამშრომლებს შესაბამის უწყებებთან;
- ინტენსიურად ითანამშრომლებს განათლების სექტორთან და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან განათლების საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების მიზნით;
- ინტენსიურად ითანამშრომლებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტუალურ პროექტებზე მიზნობრივი გრანტების მოძიების მიზნით.

ვიმედოვნებთ, ერთობლივი ძალისხმევით, შევძლებთ ამ გეგმების მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულებას.

**ბაფის გამგეობის სახელით, თავმჯდომარე:
რუსუდან ჟორჯოლიანი-ნიქაბაძე**

ბაფის 26-ე საერთო კრების დელეგატებს სარევიზიო კომისიის ანგარიში ბაფის 2021 წლის საქმიანობის შესახებ

პატივცემულო დელეგატებო, გაგაცნობთ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის საქმიანობის შემოწმების ანგარიშს, რომელიც ჩატარდა სარევიზიო კომისიის მიერ (**მარიამ ჭურაძე, ხათუნა ბარბაქაძე, მარიამ ბიწაძე**) და მოიცავს 2020 წლის 12 დეკემბრიდან 2021 წლის 10 დეკემბრის პერიოდს.

როგორც სარევიზიო კომისიის დებულებით არის გათვალისწინებული, კომისია ვალდებულია გეგმური შემოწმების საფუძველზე შეისწავლოს გარკვეული საკითხები და კრებას წარუდგინოს შესწავლის შედეგები:

კერძოდ:

- ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები და გამგეობის საქმიანობა;
- კომიტეტების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობა;
- ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრებისადმი მოთხოვნების შესრულება;
- აღმასრულებელი სტრუქტურა და შიდა კონტროლის სისტემის შეფასება;
- შემოსავლებისა და ხარჯების სამართლიანობა და დაგეგმილ ბიუჯეტთან შესაბამისობა.

შემოწმებამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა ბაფ-ის საქმიანობის ანალიზი და მოგვებინა მისი შეფასება. წარმოგიდგენთ ჩატარებული რევიზიის შედეგების მიმოხილვას:

1. ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დაცვა და გამგეობის საქმიანობა

ბაფი, წესდების შესაბამისად, საქმიანობას ახორციელებს გამგეობის, აღმასრულებელი დირექტორისა და კომიტეტების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული შიდა პოლიტიკის და მენეჯერული პროცედურების საფუძველზე.

გამგეობის საქმიანობა- საანგარიშო პერიოდში, საოქმო ჩანაწერების მიხედვით, ჩატარებულია გამგეობის 9 სხდომა. სხდომებზე განხილული თემებიდან გამოვყოფთ:

- ბაფის აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა;
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის საბჭოში პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლის კანდიდატურების შერჩევა;
- ბაფის კომიტეტების თავმჯდომარეობის კანდიდატურებისა და შემადგენლობის (წევრების) განახლება; კომიტეტების 2 წლიანი სამოქმედო გეგმების განხილვა-დამტკიცება;
- ბაფის 2021 წლის შემოსავლებისა და ხარჯების პროექტის განხილვა, ბაფის 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება;
- ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2020 წელს განხორციელებული ბაფის მონიტორინგის წინასწარი შედეგების განხილვა;
- ბაფის ოფისის საკითხზე მსჯელობა და გადაწყვეტილების მიღება;
- „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და „საშემფასებლო საქმიანობის შესახებ“ კანონპროექტებზე მომუშავე ჯგუფის შექმნა;

- წევრებთან ურთიერთობის ადმინისტრაციული საკითხის განხილვა;
- სარასის საბჭოში პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენელთან, აქტიური თანამშრომლობა;
- ხარისხის კონტროლის მონიტორინგის წესში ცვლილებების პროექტზე მსჯელობა;
- სარასის მიერ განხორციელებული ბაფის მონიტორინგის შედეგები.

გამგეობის გადაწყვეტილებების შესაბამისად განხორციელებული საქმიანობიდან აღსანიშნავია: კომიტეტების შემადგენლობის განახლება; კომიტეტების სამოქმედო გეგმების დამტკიცება; 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის მიღება; სხვა პროფესიულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გააქტიურება; ბაფის საოფისე ფართის იჯარის საკითხზე მოიჯარისაგან შემოსულ წერილზე მსჯელობა, შემფასებელთა (მინიმუმ 2) შერჩევა და მიღებული დასკვნების შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება; მცირე და საშუალო აუდიტორული ფირმების პრობლემურ საკითხებზე მსჯელობა (მურად ნარსია); „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და „საშემფასებლო საქმიანობის შესახებ“ კანონპროექტზე მსჯელობა; სარასის მიერ განხორციელებული ბაფის მონიტორინგის წინასწარი შედეგების განხილვა და კომენტარების მომზადება და სხვ.

შესწავლილი მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ სხდომებზე მიღებული დადგენილებების ძირითადი ნაწილი შესრულებულია.

შეფასება: სარევიზიო კომისია, საანგარიშო პერიოდში გამგეობის საქმიანობას დადებითად აფასებს.

1. კომიტეტების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობა

კომიტეტების საქმიანობის ზოგად პრინციპებს განსაზღვრავს „კომიტეტების საქმიანობის შესახებ“ დებულება, ხოლო ცალკეული კომიტეტისათვის გამგეობის მიერ დამტკიცებულია დებულებები, რომლებშიც გაწერილია მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და უფლება-მოვალეობები.

☒ განათლების კომიტეტი:

განათლების კომიტეტი არის სასერტიფიკაციო პროგრამის და განგრძობითი განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი, სათანადო რეგულაციების შემქმნელი და მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო.

აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, კომიტეტთან ფუნქციონირებს:

- ა) განგრძობითი განათლების სამეთვალყურეო საბჭო;
- ბ) სასერტიფიკაციო გამოცდების სამეთვალყურეო საბჭო;
- გ) სასერტიფიკაციო პროგრამის სამეთვალყურეო საბჭო.
- დ) მუდმივმოქმედი საგამოცდო კომისია;

კომიტეტის მიერ შესამოწმებელ პერიოდში ჩტარებულია 9 სხდომა.

სხდომებზე ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე:

- ბაფის სერტიფიცირებულ ბუღალტერთა და აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული პირების 2020 წლის განგრძობითი სწავლების პროგრამის შესრულების საერთო შედეგები და განგრძობითი სწავლების ჩათვლის საკითხებზე;
- სერტიფიცირების პრეტენდენტებისათვის ცალკეულ საგამოცდო მოდულში ჩათვლების მინიჭების საკითხებზე;

- 2021 წლის ზამთრის, ზაფხულის (3.02.2021-15.02.2021) სესიების სასერტიფიკაციო (ACCA-ის ქართულ ენაზე ადაპტირებული) პროგრამის გამოცდების შედეგებზე;
- ACCA-ის სერტიფიცირების პროგრამის მონაწილეთა განაცხადების განხილვას, მათი ACCA-ის სასწავლო პროგრამით მთავარი ბუღალტრის სერტიფიცირების ნაწილში სერტიფიცირებულად აღიარების შესახებ;
- 2021 წლის განგრძობითო სწავლების პროგრამის შედგენას და განხილვაზე;
- განათლების კომიტეტის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში ბაფის წევრებისათვის 2021 წლის სექტემბრამდე სხვადასხვა თემებზე დაგეგმილი და ჩატარებული სემინარების შესახებ, კერძოდ: საგადასახადო დაბეგვრა და მიმდინარე ცვლილებები, მცირე ზომის აუდიტური კომპანიების ხარისხის კონტროლზე, მე-2, მე-3 და მე-4 კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის საკითხებზე.

განათლების კომიტეტის საქმიანობა შესაბამისობაშია დამტკიცებულ მარეგულირებელ დოკუმენტებთან, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: გადამზადების, პროფესიული სერტიფიცირებისა და უწყვეტი განგრძობითი განათლების პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრას და მათ შესრულებაზე ზედამხედველობას.

შეფასება: სარევიზიო კომისიის მიერ კომიტეტის საქმიანობა დადებითად შეფასდა.

☒ საწევრო კომიტეტი:

შემოწმების პერიოდში შესწავლილი იქნა მოქმედი დებულებების მოთხოვნებისა და კომიტეტის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების ფაქტიური მდგომარეობა, კერძოდ:

- წევრებთან ურთიერთობის მარეგულირებელი დოკუმენტები (წესდება, საწევრო კომიტეტის დებულება, ბაფის წევრად მიღების, წევრობის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები);
- კომიტეტის 2021 წლის სამოქმედო გეგმა და მასში გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება;
- საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია კომიტეტის 3 სხდომა. სხდომებზე განხილული ძირითადი საკითხებია:
- 2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცება;
- ბაფის წევრებისათვის კორპორატიულ წევრებთან თანამშრომლობის გააქტიურების აუცილებლობის, წევრობიდან გარიცხვის კანდიდატების საკითხის განხილვა;
- ასოცირებული და ნამდვილი წევრებისათვის თემატური სემინარების დაგეგმვა და განათლების კომიტეტთან და აღმასრულებელ დირექციასთან შეთანხმება;
- ბაფიდან გარიცხვისა და რეესტრიდან ამოღების კანდიდატი ფიზიკური პირი წევრების საკითხის განხილვა;
- საანგარიშო პერიოდში საწევრო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მომზადება და წარდგენა ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

საანგარიშო პერიოდში, ნამდვილი წევრებისა და კორპორაციული წევრების საწევრო გადასახადების დაფარვის მაჩვენებლები პოზიტიურია. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბაფის წევრი იყო: ფიზიკური პირი 6714 წევრი, აქედან სერტიფიცირებული ბუღალტერი 743 წევრი, მათ შორის აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული 320 წევრი, ასოცირებული წევრი 5971, იურიდიული პირი 53 წევრი.

შეფასება: კომისიის მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე კომიტეტის საქმიანობა დადებითად შეფასდა.

☒ აუდიტის ხარისხის კომიტეტი:

დებულების მიხედვით, კომიტეტის ძირითად ფუნქციას შეადგენს წევრ კომპანიაში ხარისხის კონტროლის სისტემის წინასწარი მონიტორინგი (დიაგნოსტიკის ანგარიში) და კორპორაციული წევრებისთვის ხარისხის კონტროლის სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებულ საკითხებში მხარდაჭერა, კონსულტაციები, სემინარები, აუდიტის პროგრამის შერჩევა, აუდიტის მეთოდოლოგია და სხვა. ბაფი ხარისხის სისტემის წინასწარ მონიტორინგს განახორციელებს მხოლოდ იმ წევრ კომპანიაში, რომლებიც ამის სურვილს გამოხატავენ.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომიტეტის 3 სხდომა. სხდომაზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

- ნაკლებად რთული საწარმოების აუდიტის ახალი სტანდარტის (სამუშაო ვერსიის) განხილვაში მონაწილეობისათვის სპეციალიზებულ ექსპერტთა ჯგუფის შექმნის საკითხი;
- საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის კორპორაციული წევრების აუდიტის ხარისხის ამაღლებაზე მომართული ღონისძიებების დაგეგმვა.

შესამოწმებელ პერიოდში ხარისხის კონტროლის წინასწარი მონიტორინგი ჩატარდა და დიაგნოსტიკური ანგარიში გაიცა 2 კორპორატიულ წევრზე და დიაგნოსტიკური შემოწმება მიმდინარეობს 2 წევრ კომპანიაში, რომელიც საანგარიშო პერიოდის ბოლომდე დასრულდება.

შეფასება: სარევიზიო კომისიამ შეისწავლა კომიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები, შესამოწმებელ პერიოდში კომიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა რის საფუძველზეც კომიტეტის საქმიანობა დადებითად შეფასდა.

☒ ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტი

„კომიტეტის“ მისიაა ხელი შეუწყოს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების უზრუნველყოფა - ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების დამკვიდრებას „ბაფის“ წევრი ბუღალტრების მიერ თავიანთი პროფესიული მოვალეობის ღირსეულად შესასრულებლად.

კომიტეტის მიერ ჩატარებულია ორი სხდომა.

სხდომებზე დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხები: ბაფის კორპორატიულ და ფიზიკურ პირი წევრების მიერ ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის სისტემის შესაძლო დარღვევის ფაქტების შესახებ შემოსული საჩივრების განხილვა. განხილვების შედეგად, კომიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში, ცალკეულ საჩივარზე მიღებულია გადაწყვეტილებები, რომელიც წერილობითი ფორმით მიწოდებულია მხარეებისათვის.

საანგარიშო პერიოდში ბაფის წევრებისათვის ჩატარებულია არაერთი სემინარი სხვადასხვა თემატიკით, რომელთა შორის არ არის ეთიკისა და დისციპლინარული მოკვლევის საკითხები.

კომისიის რეკომენდაცია: სარევიზიო კომისია მიიჩნევს, რომ თემის აქტუალობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია წევრების მეტი ინფორმირება, ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის სისტემის დარღვევებთან დაკავშირებით, არსებული კანონმდებლობითა და ბაფის შიდა ნორმატიულ ბაზით დადგენილ მოთხოვნებსა და დისციპლინარულ ღონისძიებებზე.

შეფასება: შესწავლილი მასალების საფუძველზე, კომიტეტის საანგარიშო პერიოდის საქმიანობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

☑ საგადასახადო დაბეგვრის კომიტეტი

2021-2022 წლებში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ფარგლებში, საქმიანობა განხორციელებულია შემდეგი მიმართულებით:

1. განგრძობითი სწავლების გადასახადებთან დაკავშირებული პროგრამის მომზადებაში მონაწილეობა;
2. სატელეფონო ზარებისა და ადგილზე კონსულტირებისას გამოვლენილ აქტუალურ საკითხებზე კომიტეტის მიერ პასუხის მომზადება და გამოქვეყნება.
3. წერილობით შემოსულ კითხვებზე, ბაფის კონსულტანტის მიერ მომზადებული პასუხების პროექტის განხილვა და საბოლოო პასუხის მომზადება მისი ჟურნალში გამოქვეყნებამდე ან კითხვის ავტორთან გაგზავნამდე.
4. ევროკავშირის ქვეყნების საგადასახადო დაბეგვრის გაიდლაინების მომზადებაზე მსჯელობა.
5. საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებული კანონპროექტების საკომიტეტო განხილვებში მონაწილეობა პარლამენტის საკომიტეტო სხდომაზე.

გარდა ზემოაღნიშნული საქმიანობისა, კომიტეტის თავმჯდომარის (**დავით პაპიაშვილი**) უშუალო მონაწილეობით, საანგარიშო წელს, ბაფის წევრებისათვის ჩატარებულია 3 სემინარი (12 საათი) – 2020-2021 წელს საგადასახადო დაბეგვრის სფეროს სიახლეებთან და ცვლილებებთან დაკავშირებით, აგრეთვე, შეხვედრებზე წევრების მხრიდან წამოსულ აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.

საგადასახადო კომიტეტს, საანგარიშო პერიოდში, შესრულებული აქვს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები და მასზე დაკისრებული ფუნქციები, თუმცა არ ხდება ჩატარებული ღონისძიებების დაოქმება.

კომისიის რეკომენდაცია: კომიტეტმა აწარმოოს საოქმო ჩანაწერები მისი საქმიანობის, დაგეგმილი და შესრულებული ღონისძიებების შესახებ.

შეფასება: შესწავლილი მასალების საფუძველზე კომიტეტის საქმიანობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

☑ სტანდარტებისა და პრაქტიკის კომიტეტი

„კომიტეტის“ მისიაა საქართველოში ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა.

სტანდარტების კომიტეტის მიერ 2021-2022 წლების სამუშაო გეგმის შესაბამისად ონლაინ რეჟიმში განხორციელდა შემდეგი აქტივობები.

ჩატარდა სემინარი მე-2 და მე-3 კატეგორიის საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების შედგენასა და ანგარიშგების რეპორტაჟზე ატვირთვისათვის

ჩატარდა სემინარი მე-4 კატეგორიის საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების შედგენასა და ანგარიშგების რეპორტაჟზე ატვირთვისათვის

ფასს-თან დაკავშირებით ბაფში შემოსულ კითხვებზე მომზადდა შესაბამისი პასუხები.

2021 წელს კომიტეტის წევრები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან.

აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, კომიტეტის წევრები მონაწილეობდნენ ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების ქართული ტერმინოლოგიის განხილვის, ექსპერტიზისა და დამკვიდრების სფეროში და კვლავაც აგრძელებს ამ მიმართულებით საქმიანობას.

2021 წელს კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები ზედამხედველობის სამსახურთან თანამშრომლობდნენ ასევე, არაკომერციული პირის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებაზე, რომელიც მიმდინარეობდა საერთაშორისო პროექტთან ერთად.

სტანდარტების კომიტეტს, საანგარიშო პერიოდში, შესრულებული აქვს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები და მასზე დაკისრებული ფუნქციები, თუმცა არ ხდება ჩატარებული ღონისძიებების დაოქმება.

კომისიის რეკომენდაცია: კომიტეტმა აწარმოოს საოქმო ჩანაწერები მისი საქმიანობის, დაგეგმილი და შესრულებული ღონისძიებების შესახებ.

შეფასება: შესწავლილი მასალების საფუძველზე კომიტეტის საქმიანობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

3. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრებისადმი მოთხოვნების შესრულება

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრებისადმი მოთხოვნების შესაბამისად, ბაფი 2 წელიწადში ერთხელ ადგენს სამოქმედო გეგმას, რომელიც მოიცავს ბაფის საქმიანობის ყველა მიმართულებას. სამოქმედო გეგმის შესრულებაზე ზედამხედველობას და პერიოდულ შეფასებას ახორციელებს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია. წევრების შესაბამისობის პროგრამის (SMO) ფარგლებში. IFAC-ის წევრები ატარებენ თვითშეფასებას SMO მოთხოვნების შესაბამისად და ავლენენ იმ სფეროებს, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას. შეფასების შედეგების საფუძველზე, წევრები შეიმუშავებენ SMO სამოქმედო გეგმას, რათა აჩვენონ, თუ როგორ ასრულებენ ისინი SMO მოთხოვნებს და თუ ზოგიერთი მოთხოვნა ჯერ კიდევ არ არის შესრულებული, წარმოადგინონ მათი შესრულების გეგმები.

წევრობის შესაბამისობის პროგრამის (SMO) მოთხოვნების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში განახლებულია ბაფის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც შეთანხმებულია ბსფ-თან, განთავსებულია ბაფისა და ბსფ-ის ვებგვერდებზე.

4. აღმასრულებელი სტრუქტურა და შიდა კონტროლის სისტემის შეფასება

ბაფის მიმდინარე საქმიანობის მართვას ახორციელებს აღმასრულებელი სტრუქტურა. იგი უზრუნველყოფს ორგანიზაციისა და კომიტეტების საქმიანობას და ასრულებს გამგეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. აღმასრულებელი სტრუქტურა ხელმძღვანელობს გამგეობისა და აღმასრულებელი დირექტორის მიერ დამტკიცებული შიდა ნორმატიული აქტებით. კერძოდ, გაწერილი და დამტკიცებულია „მენეჯერული პროცედურები“; თანამშრომელთა საქმიანობა რეგულირდება აღმასრულებელი დირექტორის მიერ დამტკიცებული შიდაგანაწესითა და ბაფის „თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციით“. ინსტრუქციაში გაწერილია თითოეული თანამშრომლის უფლება-მოვალეობები, ორგანიზაციის ადმინისტრაციის წევრების ვალდებულებები ჩამოყალიბებული და გამიჯნულია. თანამშრომელთა ვალდებულებების შესრულება კონტროლდება ოფისის მენეჯერისა და აღმასრულებელი დირექტორის მიერ.

თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან. არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული შრომის

უსაფრთხოების შიდა ნორმატიული ბაზა, შრომის უსაფრთხოების თანამშრომელი და დაცულია შრომის უსაფრთხოების მოქმედი ნორმები.

წევრებისა და ბაფის საქმიანობით დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდება უზრუნველყოფილია ბაფის ვებგვერდისა და ყოველთვიური ჟურნალის მეშვეობით, სადაც ქვეყნდება ბაფის ნორმატიული აქტები, ბიუჯეტი და ფინანსური ანგარიშგებები.

შეფასება: სარევიზიო კომისიას მიგვაჩნია, რომ აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ ორგანიზაციის მართვის სფერო და შიდა კონტროლის სისტემა გამართულია და დადებითად ვაფასებთ.

5. ბიუჯეტი და ფინანსური ანგარიშგება. დაგეგმილი და ფაქტობრივი შემოსავლებისა და ხარჯების შესაბამისობა

ბაფის აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ ყოველწლიურად მომზადებულ შემოსავლებისა და ხარჯების ასევე, საქმიანობის წლიური ფინანსური შედეგების (ფინანსური ანგარიშგება) პროექტებს განიხილავს და ამტკიცებს გამგეობა. საანგარიშო პერიოდის საქმიანობაზე და წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩატარებულია აუდიტი და გაცემულია უპირობო დადებითი დასკვნა. დეტალური ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობისა და წლიური ფინანსური ანგარიშგების შესახებ, მუხლობრივად და თანხობრივ პარამეტრებში, დამოუკიდებელი აუდიტორის (შპს „ინტელექტუალი“) დასკვნასთან ერთად, განთავსებულია ვებგვერდზე: baf.ge – „საქმიანობის ანგარიშები“.

სარევიზიო კომისიამ გააკეთა 2021 წლის დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა 9 თვიანი პერიოდზე. სადაც მნიშვნელოვანი ცდომილებები არ გამოვლინდა. კომისიის აზრით, 2021 წლის დაგეგმილი საქმიანობისა და ფაქტობრივი შესრულების მონაცემების შედარებით მიმოხილვა უპრიანია წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების შემდეგ.

ბეზოაღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ ბაფის 2020 წლის შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმილი და ფაქტობრივი შესრულების მონაცემებს

ბაფის 2020 წლის დაგეგმილი და ფაქტობრივი შემოსავლები და ხარჯები (ლარში)

	შემოსავლები	დაგეგმილი	ფაქტობრივი	გადახრა	კომენტარი
1	საწევრო შენატანებით მიღებული შემოსავლები	223,900	232628	8728	
2	განათლებისა და სერტიფიცირების პროგრამებიდან	590,940	555458	(35,482)	კომენტარი:1
3	სხვა შემოსავლები	217,000	260616	43,616	კომენტარი:2
	სულ შემოსავლები	1,031,840	1,048,702	16,862	
	ხარჯები				
1	საწევრო შემოსავლებით დაფინანსებული ხარჯები	221,537	218,355	(3,182)	
2	განათლებასა და სერტიფიცირებასთან დაკავშირებული ხარჯები	604,394	611,931	7,537	
3.	სხვა შემოსავლებთან დაკავშირებული ხარჯები	217,305	251,291	33,986	
	სულ ხარჯები: *	1,043,236	1,081,577	38,341	
	მოგება/ზარალი	11,396	32,875	21, 479	

კომენტარი -1:

ამ მუხლით დაგეგმილთან შედარებით ფაქტიური შემოსავლების ცდომილება (35,482ლარი) განპირობებულია პროფესიული სერტიფიცირების გამოცდაზე გამომსვლელი კანდიდატებისა და შესაბამისად, სახელმძღვანელო ლიტერატურის რეალიზაციის შემცირებით. რაც, ძირითადად, გამოწვეული იყო პანდემიის (COVID-19) გამო, რომლის გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის პერიოდში ვერ მოხდებოდა.

საანგარიშო წელს დაგეგმილ ზარალსა (11,396 ლარი) და ფაქტიურად მიღებულ ზარალს (32,875 ლარი) შორის სხვაობა (21,479 ლარი), არსებითად, გამოწვეულია ამ მუხლით მიღებული შემოსავლების შემცირებით.

სხვა მუხლებში, შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმილ და ფაქტიურ მონაცემებს შორის ცდომილება პროპორციული და, საბოლოო შედეგთან მიმართებაში, არაარსებითია.

კომენტარი -2:

სხვა შემოსავლების მუხლით, დაგეგმილთან შედარებით, ფაქტიური შემოსავლები გაზრდილია 43,616 ლარით, რომელიც არსებითად განაპირობა: საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამების რეალიზაციის გაუთვალისწინებელმა გაზრდამ (31.000 ლარი) და მთავრობის გადაწყვეტილების შედეგად, თანამშრომლებზე ათასხუთას ლარამდე დარიცხულ ხელფასზე საშემოსავლო გადასახადის შეღავათებმა (12,500 ლარი). შემოსავლების ზრდის შესაბამისად, 33,986 ლარითა გაზრდილი ამ მუხლით დაგეგმილი ხარჯები. შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმილი და ფაქტიური ჯამური მონაცემების რიცხოზო-რივი განსხვავებაც (გაზრდა), არსებითად, განპირობებულია ამ მუხლით.

შეფასება: საანგარიშგებო პერიოდში ბაფის აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ გა-წეული საქმიანობა სარევიზიო კომისიის მიერ შეფასდა დადებითად.

სარევიზიო კომისიის წევრები:

მარიამ ჭურაძე (თავმჯდომარე)

ხათუნა ბარბაქაძე

მარიამ ბიწაძე

ანგარიშის მომზადების თარიღი:

06.12.2021 წელი

ბიუჯეტის როლი და მნიშვნელობა მოდული „მმართველობითი აღრიცხვა“

ჩვენთვის კარგად არის ცნობილი ტერმინი **ბიუჯეტი**. ბიუჯეტების შედგენა მძლავრი ინსტრუმენტია, რომელიც ორგანიზაციის ხელმძღვანელობას ეხმარება თავისი ფუნქციების ეფექტიანად შესრულებაში, როგორცაა ორგანიზაციის საქმიანობის/ოპერაციების ეფექტურად დაგეგმვა, კოორდინირება და კონტროლის განხორციელება. მარტივად და გასაგები ენით ცნება „ბიუჯეტი“ შეიძლება განიმარტოს შემდეგნაირად:

ბიუჯეტი არის ფულად გამოხატულებაში გამოსახული ორგანიზაციის ფინანსური გეგმა, რომელიც დროის გარკვეულ (საგეგმო) პერიოდს ეხება, დამტკიცებულია წინასწარ, ამ პერიოდის დადგომამდე და, როგორც წესი, გვიჩვენებს დაგეგმილ შემოსავალს, რომელიც ორგანიზაციამ უნდა მიიღოს საგეგმო პერიოდის განმავლობაში ან/და დანახარჯებს, რომლებიც უნდა გასწიოს ორგანიზაციამ ამ პერიოდის განმავლობაში, ასევე კაპიტალს, რომელიც უნდა გამოიყენონ ბიუჯეტში დასახული მიზნის/მიზნების მისაღწევად.

ბიუჯეტი, ბიუჯეტის შედგენა და საბიუჯეტო კონტროლი

მოკლედ განვიხილოთ ეს ტერმინები რიგრიგობით.

ბიუჯეტი

ბიუჯეტი არის ფორმალიზებული სახით წარმოდგენილი კონკრეტული ორგანიზაციის მიზნები, რომლებიც ეყრდნობა პროგნოზის შედეგებს და დაკავშირებულია დაგეგმილ საქმიანობებთან.

ბიუჯეტი არ არის არც შეფასება და არც პროგნოზი, რადგან შეფასება არის მომავალი მოვლენების წინასწარ განსაზღვრა, რაც შეიძლება ეფუძნებოდეს მარტივ ვარაუდებს ან რაიმე სამეცნიერო პრინციპებს.

ანალოგიურად, პროგნოზი შეიძლება იყოს დროის გარკვეულ პერიოდში მოსალოდნელი მოვლენების წინასწარ განჭვრეტა. პროგნოზი შეიძლება ეხებოდეს კომპანიის კონკრეტულ საქმიანობას. ჩვენ (ორგანიზაცია) ჩვეულებრივ ვცდილობთ ვიწინასწარმეტყველოთ ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული გარკვეული მოვლენები, მაგალითად, სამომავლო გაყიდვები/რეალიზაცია, წარმოება ან ორგანიზაციის ნებისმიერი სხვა საქმიანობა.

მეორე მხრივ, ბიუჯეტი ეხება ორგანიზაციის დაგეგმილ/დამტკიცებულ პოლიტიკას და დაგეგმილ პირობებში განსახორციელებელ სამომავლო პროგრამას/სტრატეგიას. იგი არის სამომავლო სავარაუდო სიტუაციის შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რომელიც შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს.

ბიუჯეტის შედგენა

ბიუჯეტის შედგენა არის კონკრეტული მიზნის (მიზნების) შესაბამისი ბიუჯეტის ფორმირება ორგანიზაციის ყველა ან სხვადასხვა დეპარტამენტის/ქვედანაყოფის/განყოფილების დახმარებითა და კოორდინაციით.

საბიუჯეტო კონტროლი

საბიუჯეტო კონტროლი არის ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით ხელმძღვანელობას შეუძლია პასუხისმგებლობებისა და უფლებამოსილებების განაწილება ორგანიზაციის მომავლის დაგეგმვისას და საიმედო საფუძვლის შექმნა ოპერაციების/საქმიანობის ეფექტიანობის შესაფასებლად.

ბიუჯეტი არის პოლიტიკის გეგმა, რომელიც ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს პრაქტიკაში გარკვეული დროის განმავლობაში. ორგანიზაციის ყველა ქმედება საბიუჯეტო დაგეგმვას ეყრდნობა, რადგან ბიუჯეტი დგება ორგანიზაციის ყველა ურთიერთდაკავშირებული საქმიანობის შესწავლის შემდეგ. ბიუჯეტი უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას იმ თანამშრომლებთან ურთიერთქმედების შესაძლებლობას აძლევს, რომლებიც უმაღლესი ხელმძღვანელობის პოლიტიკას ახორციელებენ პრაქტიკაში.

საბიუჯეტო კონტროლი ხელს უწყობს ორგანიზაციის ეკონომიკური ტენდენციების, ფინანსური მდგომარეობის, პოლიტიკის, გეგმებისა და ქმედებების კოორდინაციას.

გარდა ამისა, საბიუჯეტო კონტროლი ხელმძღვანელობას ეხმარება დასახული გეგმების შესრულებაში და ორგანიზაციის გეგმებსა და საქმიანობაზე დროული კონტროლის განხორციელებაში. საბიუჯეტო კონტროლის, როგორც ერთ-ერთი მმართველობითი ინსტრუმენტის მეშვეობით ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი ორგანიზაციის ფაქტობრივი საქმიანობის მდგომარეობის შედარება დაგეგმილთან/საბიუჯეტოსთან.

„ბიუჯეტი არის ამა თუ ქვედანაყოფის ინდივიდუალური მიზნები, ხოლო ბიუჯეტის შედგენას შეიძლება ვუწოდოთ ბიუჯეტის ჩამოყალიბების აქტი. რაც შეეხება საბიუჯეტო კონტროლს, იგი მოიცავს ამ ყველაფერს და, გარდა ამისა, მოიცავს თვითონ ბიუჯეტების დაგეგმვის შესახებ მეცნიერებას, ბიუჯეტების დაგეგმვის მეცნიერულ პრინციპებს და ამგვარი ბიუჯეტების გამოყენებას მთელი ორგანიზაციის საქმიანობის/მიზნების დაგეგმვისა და კონტროლის/მართვის საყოველთაო ინსტრუმენტის სახით“. (როულენდი და ვილიამი)

ბიუჯეტების ტიპები

ბიუჯეტების დაყოფა კატეგორიებად შესაძლებელია სხვადასხვა გზით. შეძლებისდაგვარად დეტალურად განვიხილოთ ბიუჯეტის ტიპები.

ფუნქციონალური ბიუჯეტები

ფუნქციონალური ბიუჯეტი დაკავშირებულია ორგანიზაციის ამა თუ იმ ფუნქციასთან, როგორიცაა რეალიზაცია, წარმოება, ფულადი სახსრები და ა.შ. ფუნქციონალური ბიუჯეტების მაგალითებია:

- რეალიზაციის ბიუჯეტი;
- წარმოების ბიუჯეტი;
- მასალების შესყიდვების ბიუჯეტი;
- მასალების გამოყენების ბიუჯეტი;

- ადმინისტრაციული დანახარჯების ბიუჯეტი;
- მანქანა-დამადგარების გამოყენების ბიუჯეტი;
- შრომითი (სამუშაო ძალის) დანახარჯების ბიუჯეტი;
- ცვლადი და მუდმივი დანახარჯების ბიუჯეტები;
- კაპიტალური დანახარჯების ბიუჯეტი;
- სამეცნიერო კვლევისა და საცდელ-საკონსტრუქტორო დანახარჯების ბიუჯეტი;
- ფულადი სახსრების ბიუჯეტი.

მთავარი/გენერალური ბიუჯეტი ანუ კრებსითი ბიუჯეტი ანუ მოგების საბოლოო გეგმა

ეს ბიუჯეტი ძალიან სასარგებლოა ორგანიზაციის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელო-ბისთვის, ვინაიდან კრებსითი სახით მოიცავს ყველანაირ ინფორმაციას ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ.

ხისტი ბიუჯეტი

ხისტი ბიუჯეტი არის მოუქნელი, „უძრავი“ „ხელშეუხებელი“ ბიუჯეტი. ხისტი ბიუჯეტს ადგენენ იმის დაშვებით, რომ საგეგმო/საბიუჯეტო პერიოდში არაფერი არ შეიცვლება საბიუჯეტო დონეში.

ელასტიური ბიუჯეტი

ელასტიური ბიუჯეტი, რომელსაც ზოგჯერ მცოცავ ბიუჯეტსაც უწოდებენ, განსაკუთრებით სასარგებლოა:

- ახალი ორგანიზაციისთვის, რომლისთვისაც საკმაოდ ძნელია რაიმე ღირებული პროგნოზის გაკეთება;
- ორგანიზაციებისთვის, რომელთა საქმიანობის დონე იცვლება სეზონურად ან მოთხოვნის ცვლილების შესაბამისად;
- ისეთი დარგების ორგანიზაციებისთვის, რომელთა საქმიანობა ეყრდნობა მოდის ცვლილებას;
- ისეთ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მუშაობენ ახალი პროდუქტების შექმნაზე; და
- ასევე გემთმშენებლობის დარგის კომპანიებისთვის.

ნულოვანი ბიუჯეტი

ნულოვანი ბიუჯეტი არ ეყრდნობა ზრდადობის მიდგომას, რაც იმას ნიშნავს, რომ ნულოვანი ბიუჯეტის შედგენისას წინა წლის მონაცემები არ აიღება ახალი ბიუჯეტის მაჩვენებლების ბაზად.

ნულოვანი ბიუჯეტი შეიძლება ასე განიმარტოს:

ბიუჯეტის შედგენის მეთოდი, რომლის დროსაც ხელახლა ხდება ყველანაირი საქმიანობის შეფასება ყოველთვის, როდესაც ადგენენ ახალ ბიუჯეტს, ასევე შეფასდება თითოეული სახის საქმიანობის დონეები განცალკევებით და კომბინაციის შერჩევა ხდება ორგანიზაციისთვის ხელმისაწვდომი სახსრების/რესურსების შესაბამისად.

მართვის/კონტროლის კოეფიციენტები

შემდეგი კოეფიციენტები გამოიყენება ფაქტობრივი შედეგების საბიუჯეტო შედეგებიდან გადახრების შესაფასებლად. თუ ეს კოეფიციენტი 100% ან მეტია, ეს იმას ნიშნავს, რომ შედეგები ხელსაყრელია და პირიქით.

ათვისების კოეფიციენტი	= ფაქტობრივად ნამუშევარი საწარმოო საათები/წარმოების საბიუჯეტო საათები × 100
შრომის ეფექტიანობის კოეფიციენტი	= ფაქტობრივი წარმოებისთვის საჭირო ნორმატიული საათები/ საბიუჯეტო (გეგმური) საათების რაოდენობა × 100
შეომის ნაყოფიერების კოეფიციენტი	= ფაქტობრივი წარმოებისთვის საჭირო ნორმატიული საათები/ ფაქტობრივად ნამუშევარი საათები × 100

ელასტიური ბიუჯეტისა და ხისტი ბიუჯეტის შედარება

მონაცემები	ელასტიური ბიუჯეტი	ხისტი ბიუჯეტი
მოქნილობა	მოქნილი ბუნების გამო, შესაძლებელია მისი სწრაფად გარდაქმნა წარმოების დონის შესაბამისად.	საბიუჯეტო პერიოდის დაწყების შემდეგ შეუძლებელია ხისტი ბიუჯეტის შეცვლა ფაქტობრივი წარმოების შესაბამისად.
პირობა	შესაძლებელია ელასტიური ბიუჯეტის შეცვლა პირობების/გარემოებების ცვლილების შესაბამისად.	ხისტი ბიუჯეტი ეყრდნობა იმის დაშვებას, რომ გარემო პირობები უცვლელი დარჩება.
დანახარჯების კლასიფიკაცია	დანახარჯები კლასიფიცირდება მათი ცვალებადი ბუნების შესაბამისად.	შესაფერისია მხოლოდ მუდმივი დანახარჯებისთვის; ხისტ ბიუჯეტში არ ხდება დანახარჯების კლასიფიკაცია.
შედარება	შესაძლებელია (და ტარდება) ფაქტობრივი მონაცემების შედარება კორექტირებულ ნორმატიულ მონაცემებთან, განსახილველი წარმოების დონის ცვლილების შესაბამისად.	თუ შეიცვლება წარმოების დონე, შეუძლებელია სწორი ანალიზის/ შედარების ჩატარება.
დანახარჯების განსაზღვრა	ადვილია დანახარჯების განსაზღვრა საქმიანობის ნებისმიერი დონისთვის.	თუ შეიცვლება წარმოების დონე ან გარემოებები, შეუძლებელი იქნება დანახარჯების სწორად განსაზღვრა.
დანახარჯების კონტროლი	გამოიყენება, როგორც ეფექტური ინსტრუმენტი დანახარჯებზე კონტროლის განსახორციელებლად.	მისთვის დამახასიათებელი შეზღუდვების გამო არ გამოიყენება, როგორც დანახარჯების კონტროლის ინსტრუმენტი.

ელასტიური ბიუჯეტი

ელასტიური ბიუჯეტი ლოგიკური შედარების საშუალებას იძლევა, საქმიანობის ფაქტობრივი დონისთვის ფაქტობრივად გაწეული დანახარჯი უდარდება საბიუჯეტო (დაგეგმილ) დანახარჯს ელასტიური ბიუჯეტის შედგენის დროს. ელასტიურობა მოიცავს ცვალებადობის კონცეფციასაც.

ელასტიური ბიუჯეტი ხელმძღვანელობას ეხმარება სხვადასხვა ქვედანაყოფის საქმიანობის შედეგების შეფასებაში საქმიანობის მიღწეულ დონესთან მიმართებით. დანახარჯების განსაზღვრა შესაძლებელია საქმიანობის სხვადასხვა დონისთვის. ელასტიური ბიუჯეტი ასევე სასარგებლოა ფასისა და განაკვეთების განსაზღვრისთვის.

მაგალითი

შემდეგ ცხრილში მოცემული დანახარჯების მონაცემები შედგენილია 10,000 ერთეული პროდუქტის წარმოების საფუძველზე. მოამზადეთ ელასტიური ბიუჯეტი 5,000 და 8,000 ერთეულისთვის.

დანახარჯები	ერთეულის დანახარჯი (\$)
მასალები	75
სამუშაო ძალა	20
ცვლადი საქარხნო ზედნადები ხარჯები	15
მუდმივი საქარხნო ზედნადები ხარჯები	5
ცვლადი ზედნადები დანახარჯები (პირდაპირი)	6
რეალიზაციის ხარჯები (20% მუდმივი)	20
დისტრიბუციის ხარჯები (10% მუდმივი)	10
ადმინისტრაციული ხარჯები (70,000 \$)	7

სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, ერთულის 158

ამოხსნა

	წარმოებული პროდუქცია 5000 ერთეული		წარმოებული პროდუქცია 8000 ერთეული	
	განაკვეთი (\$)	დანახარჯი	განაკვეთი (\$)	დანახარჯი
ცვლადი ან საწარმოო ხარჯები				
მასალები	75.00	375,000	75.00	600,000
შრომითი	20.00	100,000	20.00	160,000
პირდაპირი ცვლადი ზედნადები ხარჯები	6.00	30,000	6.00	48,000
ძირითადი დანახარჯები	101.00	505,000	101.00	808,000
საქარხნო ზედნადები ხარჯები				
ცვლადი ზედნადები ხარჯები	15.00	75,000	15.00	120,000
მუდმივი ზედნადები ხარჯები	10.00	50,000	6.25	50,000
საწარმოო დანახარჯები	126.00	630,000	122.25	978,000
მუდმივი ადმინისტრაციული ხარჯები	14.00	70,000	8.75	70,000
სულ საწარმოო დანახარჯები	140.00	700,000	131.00	1,048,000
რეალიზაციის ხარჯები				
მუდმივი 20% (\$200,000-ის)	8.00	40,000	5.00	40,000
ცვლადი 80% (\$200,000-ის)	16.00	80,000	16.00	128,000

დისტრიბუციის ხარჯები

მუდმივი 10% (\$100,000-ის)	2.00	10,000	1.25	10,000
ცვლადი 90% (\$100,000-ის)	9.00	45,000	9.00	72,000
სულ რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	175.00	875,000	165.25	1,298,000

ფულადი სახსრების ბიუჯეტი

ფულადი სახსრების ბიუჯეტი ფინანსური ბიუჯეტის ერთ-ერთი სახეობაა. ფულადი სახსრების ბიუჯეტებს ორგანიზაციები ადგენენ იმისთვის, რომ გამოითვალოს საბიუჯეტო ფულადი ნაკადები დროის გარკვეული პერიოდისთვის (ფულადი სახსრების გასვლა და შემოსვლა). ფულადი სახსრების ბიუჯეტი სასარგებლოა ფულადი სახსრების ოპტიმალური დონის განსაზღვრისთვის, რაც ორგანიზაციას საშუალებას აძლევს, თავიდან აიცილოს ფულადი სახსრების სიჭარბე (თავისუფალი, გამოუყენებელი ფულადი სახსრები) ან უკმარისობა, რაც შეიძლება მომავალში წარმოიშვას.

ფულადი სახსრების ბიუჯეტის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ საჭირო ნასესხები სახსრების ოდენობა ფულადი სახსრების უკმარისობის შემთხვევაში და ასევე განვახორციელოთ საჭირო ინვესტიცია, თუ ბიუჯეტის მიხედვით ორგანიზაციას აქვს ჭარბი ფულადი სახსრები.

ნებისმიერი კომპანიისთვის აუცილებელია, რომ შეინარჩუნოს ფულადი სახსრების უსაფრთხო დონე. ფულადი სახსრების ბიუჯეტიც მთავარი/გენერალური ბიუჯეტის ნაწილია და მასში აისახება შემდეგი მონაცემები:

- ფულადი სახსრების შემოსვლა/მიღება;
- ფულადი სახსრების გადახდა/გასვლა;
- რეალიზაციის ხარჯები და
- ადმინისტრაციული ხარჯები.

წლიური ეკვივალენტური დანახარჯები და წლიური ეკვივალენტური სარგებელი

ნიგნი F9 – „ფინანსური მართვა“

აღბათ, თქვენ ოდესმე გიყიდიათ ისეთი აქტივი, როგორიცაა ავტომანქანა, სარეცხი მანქანა, ან კომპიუტერი და შეიძლება ფიქრობდით კიდევ, რამდენ ხანს უნდა შეგენარჩუნებინათ ეს აქტივი, სანამ შეცვლიდით. თუ აქტივი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ინარჩუნებს თავდაპირველ თვითღირებულებას, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, ეს ღირებულება ნაწილდება ბევრ წელზე, რაც, სავარაუდოდ, შეამცირებს თქვენს ყოველწლიურ დანახარჯს აქტივის ფლობის ერთ წელზე გაანგარიშებით. მეორე მხრივ, რაც უფრო მეტი დრო გავა ანუ რაც უფრო დიდხანს მუშაობს აქტივი, მოსალოდნელია, რომ მას სულ უფრო მეტი ტექნოლოგიური განვითარება (რემონტი) დასჭირდება. გარდა ამისა, შეიძლება უფრო და უფრო ნაკლებად ეფექტურადაც იმუშაოს, რაც გაზრდის თქვენს წლიურ დანახარჯებს. ძნელია ოპტიმალური დროის (ჩანაცვლების ოპტიმალური ციკლის) განსაზღვრა აქტივის ჩასანაცვლებლად/შესაცვლელად.

როგორც წესი, ცხოვრებაში არც თქვენ და არც მე მაინცდამაინც დიდად არ გვაფიქრებს ეს საკითხი. ბევრი ჩვენგანი ხშირად გადაწყვეტილებას იღებს „შინაგან ხმასა“ და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, როგორიცაა, მაგალითად პროდუქტის იმიჯი. მაგალითად, პირადად მე, ჩემს ავტომანქანას იმ დრომდე დავიტოვებ, სანამ დარწმუნებული ვიქნები, რომ ის შეძლებს ერთი ადგილიდან მეორემდე საიმედოდ მიმიყვანოს, ან სანამ ისე არ დაზიანდება, რომ აღარ მენდომება, დამინახონ ამ ავტომანქანაში!

კომპანიებსაც ზუსტად ასევე უწევთ გადაწყვეტილებების მიღება აქტივის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით. თუმცა, ვინაიდან კომპანიის აქტივი შეიძლება ძალიან ძვირი იყოს, გადაწყვეტილების მიღება ინტუიციის საფუძველზე ნამდვილად სწორი არ იქნება, უფრო ზუსტი მეთოდის გამოყენება იქნება აუცილებელი. წლიური ეკვივალენტური დანახარჯების გამოთვლა არის სწორედ ის ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ამგვარი გადაწყვეტილებების მისაღებად.

წლიური ეკვივალენტური დანახარჯების მეთოდი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- **1-ლი ეტაპი** – დანახარჯების წმინდა მიმდინარე ღირებულების გამოთვლა აქტივების თითოეული პოტენციური ჩანაცვლების ციკლისთვის;
- **მე-2 ეტაპი** – წლიური ეკვივალენტური დანახარჯების გამოთვლა აქტივების თითოეული პოტენციური ჩანაცვლების ციკლისთვის;
- **გადაწყვეტილების მიღება** – გამოთვლების შედეგების მიხედვით გონივრულია შევარჩიოთ ის ჩანაცვლების ციკლი, რომელსაც ყველაზე მცირე წლიური ეკვივალენტური დანახარჯები აქვს, თუმცა პრაქტიკაში საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად შეიძლება სხვა ფაქტორების გათვალისწინებაც გახდეს აუცილებელი.

ახლა უკვე შეგვიძლია გამოთვლების ეტაპების დემონსტრირება და ახსნა მაგალითის მეშვეობით.

1-ლი მაგალითი

მანქანა-დანადგარის თვითღირებულება შეადგენს \$3,500-ს. შეფასებულია, რომ მანქანა-დანადგარის წლიური საექსპლუატაციო დანახარჯები მისი ფლობის პირველ წელს იქნება \$900, მეორე წელს – \$1,000 და მესამე წელს – \$1,200.

ნავარაუდევია, რომ მანქანა-დანადგარის ნარჩენი ღირებულება ორი წლის შემდეგ იქნება \$2,100 და სამი წლის შემდეგ – \$1,600.

კომპანიის კაპიტალის ღირებულება არის წლიური 11%.

გამოითვალეთ ამ მანქანა-დანადგარისთვის ოპტიმალური ჩანაცვლების ციკლი.

ამოხსნა:

1-ლი ეტაპი – გამოითვალეთ დანახარჯების წმინდა მიმდინარე ღირებულება აქტივის თითოეული პოტენციური ჩანაცვლების ციკლისთვის.

ვინაიდან ჩვენთვის ცნობილი არ არის ნარჩენი ღირებულება მანქანა-დანადგარის ფლობის პირველი წლის შემდეგ, ჩვენ ვერ გამოვითვლით დანახარჯების წმინდა მიმდინარე ღირებულებას ერთწლიანი ჩანაცვლების ციკლისთვის (ანუ წელიწადში ერთხელ ჩანაცვლების ციკლისთვის). ამიტომ, ამ მაგალითში გადაწყვეტილების მიღებისას არჩევანი უნდა გავაკეთოთ ორ და სამწლიან ჩანაცვლების ციკლებს შორის.

დანახარჯების წმინდა მიმდინარე ღირებულება ორწლიანი (ორ წელიწადში ერთხელ) ჩანაცვლების ციკლისთვის:

ახლა უნდა გამოვითვალოთ ყველა ფულადი ნაკადი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის ყიდვასა და ორი წლის განმავლობაში მის ექსპლუატაციასთან.

	წელი 0	წელი 1	წელი 2
საწყისი დანახარჯი	(3,500)		
ტექმომასხურების დანახარჯები		(900)	(1,000)
ნარჩენი ღირებულება	–	–	2,100
წმინდა ფულადი ნაკადები	(3,500)	(900)	1,100
დისკონტირების კოეფიციენტები 11%-თვის (კაპიტალის ღირებულება)	1	0.901	0.812
მიმდინარე (დისკონტირებული) ღირებულებები	(3,500)	(811)	893
წმინდა მიმდინარე ღირებულება	(3,418)		

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება, რომ აქაც, როგორც ყოველთვის, სტანდარტული გონივრული დაშვებები უნდა გამოიყენოთ ფულადი ნაკადების წარმოქმნის დროსთან დაკავშირებით. მაშასადამე, აქტივის მომსახურების/საექსპლუატაციო დანახარჯები ნაჩვენებია იქნება ყოველი წლის ბოლოს, თუმცა, სინამდვილეში, ისინი წარმოიქმნება წლის მანძილზე.

ერთ-ერთ წინა წლების გამოცდაზე ასეთი სირთულე შეიქმნა: საგამოცდო კითხვაში მოწყობილობის ტექმომსახურება არ იყო აქტივის საექსპლუატაციო მომსახურება, რომელიც მიმდინარეობს მთელი წლის განმავლობაში, არამედ იყო წლიური კაპიტალური რემონტი, რომლის ჩატარება მოცემული მოწყობილობისთვის მოითხოვებოდა ყოველი წლის ბოლოს. ლოგიკური იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ კომპანია ამგვარ ტექმომსახურების/კაპიტალური რემონტის დანახარჯებს არ გასწევდა მანქანა-დანადგარის გასვლის წელს, რადგან ნაკლებად სარწმუნოა, რომ კომპანია აქტივს კაპიტალურ რემონტს ჩაუტარებს ზუსტად გაყიდვის წინ. ამგვარად, ზემოაღნიშნულ ორწლიანი ჩანაცვლების ციკლის შემთხვევაში, თუ აქტივის ტექმომსახურება იქნებოდა წლიური კაპიტალური რემონტი, მე-2 წლის ბოლოს საჭირო არ იყო \$1,000 დანახარჯის გათვალისწინება.

დანახარჯების წმინდა მიმდინარე ღირებულება სამწლიანი ჩანაცვლების ციკლისთვის:

ახლა უნდა გამოვითვალოთ ყველა ფულადი ნაკადი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის ყიდვასა და სამი წლის განმავლობაში მის ექსპლუატაციასთან.

	წელი 0	წელი 1	წელი 2	წელი 3
საწყისი დანახარჯი	(3,500)			
ტექმომასხურების დანახარჯები		(900)	(1,000)	(1,200)
ნარჩენი ღირებულება	–	–	–	1,600

წმინდა ფულადი ნაკადები	(3,500)	(900)	(1,100)	400
დისკონტირების კოეფიციენტები 11%-თვის	1	0.901	0.812	0.731
მიმდინარე (დისკონტირებული) ღირებულებები	(3,500)	(811)	(812)	292
წმინდა მიმდინარე ღირებულება	(4,831)			

როგორც ხედავთ, ამ გამოთვლებში გარკვეული გამეორებებიც გვხვდება, მაგრამ მაინც გირჩევდით ამ მარტივი და ლოგიკური ფორმატის, ან რაღაც ანალოგიური ფორმატის გამოყენებას. მართალია, შემხვედრია ისეთი ფორმატებიც, სადაც გამოთვლების გაერთიანების მცდელობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ასეთი ფორმატები გაცილებით უფრო რთულია და, როგორც წესი, მეტია შეცდომების დაშვების ალბათობა.

კლასიკური შეცდომა ისაა, რომ სამწლიანი ჩანაცვლების ციკლისთვის დანახარჯების წმინდა მიმდინარე ღირებულების გამოთვლაში სტუდენტები ნარჩენ ღირებულებას რთავენ ორი წლის შემდეგ – ეს შეცდომა თქვენ არ უნდა დაუშვათ. სამწლიანი ჩანაცვლების ციკლის დროს აქტივის გაყიდვა ხდება სამწლიანი პერიოდის დასრულებისას. გახსოვდეთ, თუ ერთხელ ყიდულობთ აქტივს, მხოლოდ ერთხელ შეგიძლიათ მისი გაყიდვა!

ერთმანეთს არ უნდა შეუდაროთ გამოთვლილი ორი წმინდა მიმდინარე ღირებულება, რადგან სავსებით ცხადია, რომ აქტივის ყიდვასა და დიდი ხნით ექსპლუატაციას უფრო მეტი დანახარჯები დასჭირდება, ვიდრე აქტივის ყიდვასა და მოკლე პერიოდის განმავლობაში ექსპლუატაციას (რასაც მესაკუთრისთვის უფრო ნაკლები სარგებელი მოაქვს). ამას ამტკიცებს ჩვენი მაგალითიც. იმისთვის, რომ შედარება სამართლიანი იყოს (და აზრი ჰქონდეს), უნდა გამოვითვალოთ წლიური ეკვივალენტური დანახარჯები.

მე-2 ეტაპი – თითოეული პოტენციური ჩანაცვლების ციკლისთვის გამოითვალეთ წლიური ეკვივალენტური დანახარჯები.

1-ელ ეტაპზე გამოთვლილი დანახარჯები ნაწილდება იმ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც ისინი კომპანიას სარგებელს მოუტანს. მაშასადამე, ორწლიანი ციკლისთვის დანახარჯების წმინდა მიმდინარე ღირებულება ნაწილდება ორ წელზე, ხოლო სამწლიანი ციკლის დანახარჯების წმინდა მიმდინარე ღირებულება კი – სამ წელზე. ამგვარი განაწილება ხორციელდება ანუიტეტის ფაქტორების (კოეფიციენტების) გამოყენებით, რათა თითოეული დანახარჯის წმინდა მიმდინარე ღირებულება გარდაქმნათ ეკვივალენტურ წლიურ დანახარჯად აქტივის ექსპლუატაციის/ფლობის თითოეული წლის ბოლოს.

გახსოვდეთ: თუ თქვენ ერთნაირი წლიური ფულადი ნაკადები გაქვთ რამდენიმე წელს და გსურთ წმინდა მიმდინარე ღირებულების გამოთვლა, წლიური ფულადი ნაკადი უნდა გაამრავლოთ ანუიტეტის ფაქტორზე (კოეფიციენტზე): მაშასადამე, იმისთვის, რომ გამოვითვალოთ წლიური ეკვივალენტური დანახარჯები, დანახარჯების წმინდა მიმდინარე ღირებულება უნდა გავყოთ ანუიტეტის შესაბამის კოეფიციენტზე.

წლიური ეკვივალენტური დანახარჯები – ორწლიანი ციკლი:

ვინაიდან დანახარჯების წმინდა მიმდინარე ღირებულება \$3,418 აქტივის ორი წლის განმავლობაში ექსპლუატაციისას მოიტანს სარგებელს, ჩვენ წლიური ეკვივალენტური დანახარჯების მისაღებად ეს ციფრი უნდა გავყოთ ორწლიანი ანუიტეტის კოეფიციენტზე, რომელიც შეესაბამება 11% კაპიტალის ღირებულებას.

ამგვარად, წლიური ეკვივალენტური დანახარჯები = $\$3,418 / 1.713 = \$1,995$ (წლიური)

ეს არის 1-ლი და მე-2 წლის წლიური ეკვივალენტური დანახარჯები, რომელიც ტოლია დანახარჯების წმინდა მიმდინარე ღირებულების (\$3,418-ის).

წლიური ეკვივალენტური დანახარჯები – სამწლიანი ციკლი:

ვინაიდან დანახარჯების წმინდა მიმდინარე ღირებულება \$4,831 აქტივის სამი წლის განმავლობაში ექსპლუატაციისას მოიტანს სარგებელს, წლიური ეკვივალენტური დანახარჯების მისაღებად ეს ციფრი უნდა გავყოთ სამწლიანი ანუიტეტის კოეფიციენტზე, რომელიც შეესაბამება 11% კაპიტალის ღირებულებას.

ამგვარად, წლიური ეკვივალენტური დანახარჯები = $\$4,831/2.444 = \$1,977$ (წლიური)

ეს არის 1-ლი, მე-2 და მე-3 პერიოდის წლიური ეკვივალენტური დანახარჯები, რომელიც ტოლია დანახარჯების წმინდა მიმდინარე ღირებულების (\$4,831-ის).

ზოგიერთ სახელმძღვანელოში ზემოაღნიშნული დანახარჯების ციფრები ფრჩხილებშია ჩასმული და ეს სწორად მიმაჩნია, რადგან ამ ციფრებს ჩვენ დანახარჯებს ვუწოდებთ.

გადანყვეტილება:

ვინაიდან ჩვენ მიერ გამოთვლილი ეკვივალენტური დანახარჯები ორივე წლიური დანახარჯებია, გადანყვეტილების მისაღებად უკვე შეგვიძლია ამ ციფრების შედარება.

ამგვარად, ვინაიდან \$1,977 წლიური დანახარჯი უფრო ნაკლებია, ვიდრე წლიური დანახარჯი \$1,995, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სამწლიანი ჩანაცვლების ციკლი არის ოპტიმალური ჩანაცვლების ციკლი.

წლიური ეკვივალენტური დანახარჯების მეთოდის ნაკლოვანებები:

რადგან მაგალითის მეშვეობით უკვე გავარკვეეთ, რა სახის გამოთვლები ტარდება წლიური ეკვივალენტური დანახარჯების მეთოდის დროს, ახლა შეგვიძლია განვიხილოთ ჩვენ მიერ გამოყენებული მეთოდის ნაკლოვანებები:

1. ანალიზში იგნორირებულია დაბეგვრის გავლენა.

როგორც აქტივის ყიდვას, ისე საექსპლუატაციო დანახარჯების გაწევას ახლავს საგადასახადო ფულადი ნაკადების წარმოქმნა. თუ საგადასახადო ფულად ნაკადებსაც გავითვალისწინებთ, გამოთვლები უფრო გართულებულა. ფინანსური მართვის მოდულის საგამოცდო კითხვებში სპეციალურად იგნორირებულია გადასახადის გავლენა ფულად ნაკადებზე.

2. ანალიზში ვიგულისხმეთ, რომ შეგვიძლია აქტივის ჩანაცვლება მისი ანალოგიით.

ანალიზში იგულისხმებოდა, რომ შესაძლებელი იყო აქტივის მუდმივად შეცვლა ზუსტად მისი ანალოგიური აქტივით. სინამდვილეში, ეს შესაძლებელია არ იქნება, ვინაიდან ბაზარზე მუდმივად მიმდინარეობს აქტივის სრულყოფა. მაშინაც კი, თუ თქვენს ავტომანქანას რამდენიმე წლის შემდეგ ჩანაცვლებით ზუსტად იმავე მოდელის ავტომანქანით, ახალი ავტომანქანა უდავოდ გაუმჯობესებული იქნება და სხვა რამითაც იქნება განსხვავებული ძველი ავტომანქანისგან. ჩვენ მიერ განხილულ მაგალითში, თუ წარმოვიდგენთ, რომ აქტივი კომპიუტერი იყო, მაშინ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ გამოთვლილი ოპტიმალური ჩანაცვლების ციკლი სამი წელია, ორ და სამწლიან ჩანაცვლების ციკლების დანახარჯებს შორის განსხვავება მცირე იქნება. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია გადავწყვიტოთ ორწლიანი ჩანაცვლების ციკლის გამოყენება, რადგან ამით სარგებელს მივიღებთ ახალი, უფრო მოდერნიზებული კომპიუტერისგან, რომელსაც გაცილებით მეტი ფუნქციური შესაძლებლობები ექნება.

3. ჩვენ მიერ ჩატარებულ ანალიზში ვიგულისხმეთ, რომ გვსურდა აქტივის ჩანაცვლება მისი ანალოგიით.

ზემოაღნიშნულის გარდა, ანალიზში ვიგულისხმეთ, რომ მუდმივად გვსურს აქტივის ჩანაცვლება ზუსტად მისი ანალოგიით. სინამდვილეში, ბიზნესს განვითარება ესაჭიროება და როდესაც აქტივის ჩანაცვლების დრო დგება, კომპანიას შეიძლება სურდეს განსხვავებული აქტივის შეძენა, რომელსაც განსხვავებული ფუნქციური შესაძლებლობები ექნება. მაგალითად, კომპანიას შეიძლება სურდეს აქტივის შეცვლა უფრო დიდი სიმძლავრის აქტივით, ბიზნესის მასშტაბების ზრდის მისაღწევად. თქვენ და მე ზუსტად ერთნაირ პრობლემას ვაწყდებით. ცხოვრების მანძილზე ბევრი განსხვავებული ავტომანქანა მქონდა, რადგან ჩემი მოთხოვნილება გაიზარდა: ჩემი ორადგილიანი სპორტული ავტომანქანა უკვე აღარ მაკმაყოფილებდა და აღარ მადგებოდა მას შემდეგ, რაც პირველი ბავშვი შემეძინა!

4. ჩვენს ანალიზში იგნორირებული იყო ინფლაცია.

ინფლაციის სხვადასხვა დონის პირობებში განსხვავებული სიდიდის ფულადი ნაკადები შეიძლება წარმოიქმნას და ამიტომ ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზი შეიძლება სწორი აღარ იყოს. მაგალითად, აქტივების სანყისი ღირებულება ხშირად სრულიად უმნიშვნელოდ იზრდება, რადგან მწარმოებლები პროდუქციის წარმოების უფრო ეკონომიურ გზებს აგენებენ და იყენებენ. თუმცა, საექსპლუატაციო დანახარჯები ხშირად გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება, რადგან ხშირად აქტივის ტექნოლოგიური განახლება და სამუშაო ძალის დანახარჯები ხშირად სწრაფად იზრდება. სხვადასხვა ფულადი ნაკადის ინფლაციის დონეებს შორის ამგვარი განსხვავების არსებობა იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მისაღებად რაღაც სხვა მეთოდი უნდა გამოვიყენოთ, რომლის ცოდნაც თქვენ არ მოგეთხოვებათ. თუ ყველა ფულადი ნაკადი ერთნაირი ტემპით იზრდება, მაშინ შეგვიძლია წლიური ეკვივალენტური დანახარჯების მეთოდის გამოყენება რეალურ ფულად ნაკადებთან და რეალურ კაპიტალის ღირებულებასთან მიმართებით.

წლიური ეკვივალენტური დანახარჯების მეთოდის გამოყენება სხვა მიზნებისთვის.

მართალია, არ ვაპირებთ დეტალებში ღრმად ჩანვდომას, მაგრამ სასარგებლოდ მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვით მაინც გითხრათ, როგორ შეიძლება ანალოგიური მეთოდის გამოყენება სხვა გარემოებებში. ეს გარემოებებია:

1. არსებული აქტივის ახალი აქტივით ჩანაცვლების საუკეთესო დროის შეფასება;
2. გადაწყვეტილების მიღება ისეთი აქტივებით ჩანაცვლების შესახებ, რომლებსაც ერთნაირი ფუნქციური შესაძლებლობები აქვს, მაგრამ განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადები. მაგალითად, როდესაც თქვენ ან მე ვყიდულობთ ავტომანქანას, შეგვიძლია ვიყიდოთ უფრო იაფი ავტომანქანა უფრო დაბალი ხარისხის, ან უფრო ძვირი ავტომანქანა უფრო მაღალი ხარისხის. სწორი არ იქნება, თუ პირდაპირ შევუდარებთ ერთმანეთს მათ დანახარჯებს, რადგან მაღალი ხარისხის ავტომანქანა უფრო მოსალოდნელია, რომ ხანგრძლივი დროით მოგვემსახურება.

წლიური ეკვივალენტური სარგებელი

თუ კომპანიას არჩევანის გაკეთება უნევს ურთიერთგამომრიცხავი პროექტებიდან, ანუ, როდესაც რამდენიმე პროექტიდან მხოლოდ ერთის მოწონება არის შესაძლებელი, მაშინ გადაწყვეტილების მიღების ზოგადი წესი ასეთია: კომპანიამ უნდა აირჩიოს ის პროექტი, რომელიც ყველაზე მეტ წმინდა მიმდინარე ღირებულებას იძლევა, რადგან ასეთი პროექტი ყველაზე მეტად გაზრდის აქციონერთა ქონებას. თუმცა, როდესაც ვარაუდობენ, რომ ერთი და იგივე პროექტები მუდმივად გამეორდება და ამ პროექტებს განსხვავებული ვადები აქვთ, მაშინ უნდა გამოვიყენოთ წლიური ეკვივალენტური სარგებლის მეთოდი. ეს არის წლიური ეკვივალენტური დანახარჯების მეთოდის მარტივი ნაირსახეობა და მის გამოყენებას ახლა ვაჩვენებთ შემდეგ მაგალითზე.

მე-2 მაგალითი.

კომპანია იხილავს ორ ურთიერთგამომრიცხავ პროექტს:

- „ა“ პროექტს აქვს \$47 მლნ წმინდა მიმდინარე ღირებულება და მოსალოდნელია, რომ გაგრძელდება სამი წელი.
- „ბ“ პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულება \$58 მლნ-ია და მოსალოდნელია, რომ ოთხი წელი გაგრძელდება.

კომპანიაში ვარაუდობენ, რომ რომელი პროექტიც არ უნდა აირჩიონ, შესაძლებელი იქნება მისი გამეორება უახლოეს საპროგნოზო მომავალში.

კომპანიის კაპიტალის ღირებულება არის წლიური 13%.

გამოითვალეთ, რომელი პროექტი უნდა აირჩიოს კომპანიამ.

ამოხსნა:

1-ლი ეტაპი – გამოითვალეთ თითოეული პოტენციური პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულება.

თითოეული პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულება უნდა გამოითვალოს ჩვეულებრივი წესით. მე ეს უკვე გავაკეთე თქვენი დროის დაზოგვის მიზნით!

„ა“ პროექტი – \$47 მლნ.

„ბ“ პროექტი – \$58 მლნ.

მე-2 ეტაპი – გამოითვალეთ წლიური ეკვივალენტური სარგებელი თითოეული პოტენციური პროექტისთვის.

წლიური ეკვივალენტური სარგებელი გამოითვლება ანუიტეტის კოეფიციენტების გამოყენებით ზუსტად ისე, როგორც გამოითვლება წლიური ეკვივალენტური დანახარჯები. მაშასადამე, „ა“ პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულება გაიყოფა სამწლიანი ანუიტეტის კოეფიციენტზე, რომელიც შეესაბამება 13% კაპიტალის ღირებულებას, რადგან პროექტის ვადა სამი წელია. „ბ“ პროექტისთვის გამოიყენება 4-წლიანი ანუიტეტის კოეფიციენტი, რათა აისახოს პროექტის ვადა 4 წელი.

„ა“ პროექტი – წლიური ეკვივალენტური სარგებელი = $\$47 \text{ მლნ} / 2.361 = \19.9 მლნ (წლიური).

„ბ“ პროექტი – წლიური ეკვივალენტური სარგებელი = $\$58 \text{ მლნ} / 2.974 = \19.5 მლნ (წლიური).

გადაწყვეტილება:

ვინაიდან „ა“ პროექტს უფრო მეტი წლიური ეკვივალენტური სარგებელი აქვს, კომპანიამ ეს პროექტი უნდა აირჩიოს „ბ“ პროექტის ნაცვლად, რომელსაც უფრო მეტი წმინდა მიმდინარე ღირებულება აქვს, ვინაიდან შესაძლებელია ამ პროექტის გამეორება უახლოეს საპროგნოზო მომავალში. ეს იმით აიხსნება, რომ, მართალია, ხანმოკლე პროექტი უფრო ნაკლებ წმინდა მიმდინარე ღირებულებას ქმნის, მაგრამ ამ წმინდა მიმდინარე ღირებულების მიღება გაცილებით უფრო ხშირად იქნება შესაძლებელია, ვიდრე უფრო ხანგრძლივი ვადის მქონე პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულების.

წლიური ეკვივალენტური სარგებლის მეთოდსაც წლიური ეკვივალენტური დანახარჯების მეთოდის მსგავსი ნაკლოვანებები ახასიათებს.

დასკვნა

მართალია, ჩვენ მიერ განხილული თემა შედარებით პატარა მოცულობისაა ფინანსური მართვის მოდულის სასწავლო პროგრამის თემებს შორის, მაგრამ ნამდვილად ღირს, ეს საკითხები კარგად ისწავლოთ, რადგან თუ გამოცდაზე ამ თემაზე მოვა შეკითხვა, ძალიან კარგ ქულებს მოიპოვებთ.

ამასთან, მე არ მოველი, რომ გამოცდაზე ამ თემაზე რაიმე მნიშვნელოვანი შეკითხვა შეგხვდებოდეს, რომელსაც დასჭირდება სრულყოფილი გამოთვლების ჩატარება. მაშასადამე, კანდიდატები მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ შეიძლება გამომცდელმა მოგთხოვოს რომელიმე ზემოთ განხილული მეთოდის გამოყენების სასარგებლო არგუმენტებისა და ამ მეთოდისთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებებისა თუ შეზღუდვების დახასიათება.

ლექტორ ჰილარი პაროტის
თავდაპირველი სტატიის განახლებული ვერსია მოამზადა
„ფინანსური მართვის“ მოდულის საგამოცდო კომისიის წევრმა

საქმიანობის შედეგების მართვის ბლოკური მოდელი

მოდული „საქმიანობის შედეგების მართვა“

საქმიანობის შედეგების მართვა - პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფს ორგანიზაციების მიზნების მიღწევას - საქმიანობის შედეგების მართვის მოდულის სასწავლო პროგრამის უმთავრესი თემაა და საქმიანობის შედეგების გაზომვის თანამედროვე სისტემების გაგება და ცოდნა ამ თემის მნიშვნელოვანი ნაწილია. საქმიანობის შედეგების მართვის მოდულის გამოცდაზე გამსვლელი კანდიდატები უკვე უნდა იცნობენ კაპლანისა და ნორტონის დაბალანსებულ მაჩვენებელთა სისტემას, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციების საქმიანობის შეფასების თანამედროვე სისტემის საფუძველს. კაპლანისა და ნორტონის დაბალანსებულ მაჩვენებელთა სისტემის თემის მნიშვნელობიდან გამომდინარე ამ საკითხების ცოდნას გამომცდელი რეგულარულად ამოწმებს გამოცდებზე.

ფიგურალდისა და მუნის ბლოკური მოდელი არის დაბალანსებულ მაჩვენებელთა სისტემის ევოლუცია, რომელიც შემუშავებულია მომსახურე ორგანიზაციების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ეს არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც ხელმძღვანელობას ეხმარება საქმიანობის შედეგების გრძელვადიანი მართვის ჩარჩო-სტრუქტურის/სისტემის შემუშავებაში, რომელიც ორგანიზაციის სტრატეგიასა და მიზნებს აკავშირებს თანამშრომლების მიზნებსა და მოტივაციასთან.

ამ სტატიაში განვიხილავთ საქმიანობის შედეგების გაზომვის თანამედროვე მიდგომის მნიშვნელობას, ასევე ბლოკურ მოდელს და ამ მოდელს გამოვიყენებთ საგამოცდო კითხვების ანალოგიური სცენარის მიმართ.

საქმიანობის შედეგების გაზომვა

საქმიანობის შედეგების გაზომვის ტრადიციული მიდგომა, რომელიც ყველასთვის ცნობილია, არის „ციფრების ნახვა“. კომპანიების შესახებ ხშირად სვამენ კლასიკურ კითხვებს „რამდენი მოგება მიიღო?“ „რამდენად გაიზარდა გაყიდვები?“ რა არის მისი ბაზრის წილი კონკურენტების წილებთან შედარებით? თუმცა, სტრატეგიისა და საქმიანობის შედეგების მართვის ცნობილი მოაზროვნეების აზრით, თანამედროვე ეპოქაში აღარ არის საკმარისი ფინანსური შედეგების საზომი ეს ტრადიციული მაჩვენებლები, რომლებიც რეგულარულად გამოითვლება ბუღალტრული აღრიცხვის მოდულების გამოცდებისთვის.

მოგებაზე დაფუძნებული მაჩვენებლები მხოლოდ წარსულის შედეგებს ზომავს. გარდა ამისა, ისინი დამახინჯებულია ასევე კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკით (რაც შეიძლება სხვადასხვა ორგანიზაციას სხვადასხვანაირი ჰქონდეს). საკმარისია შეხედოთ ლეგენდარული ავტომობილების ბრენდის მწარმოებელ კომპანიას როლს როისისს (Rolls Royce); ფასს სტანდარტებით დადგენილი ამონაგების აღიარების ახალი მოთხოვნების შესაბამისად მის მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენები მოგება 900 მლნ ფუნტით ნაკლები იქნება. ფინანსურ მაჩვენებლებს ასევე აკრიტიკებენ მოკლევადიანი პერსპექტივის გამო, ან უფრო ხატოვნად თუ ვიტყვით, „მმართველობითი ახლომხედველობის“ გამო, რომლის დროსაც ხელმძღვანელობა ისეთ გადაწყვეტილებებს იღებს, რომლებიც მომავალ საქმიანობას მსხვერპლად სწირავს დღევანდელ მოგებას. მენეჯერები შეიძლება მოტივირებული იყვნენ, რათა გადაიდოს ინვესტიციები და სხვა ხარჯები, ოღონდ შეინარჩუნონ კვარტალური ან წლიური მოგება, თუკი მათი წარმატება შეფასდება მხოლოდ ფინანსური საქმიანობის საკონტროლო მიზნების მიხედვით.

საქმიანობის შედეგების მართვის (მენეჯმენტის) ექსპერტები ამტკიცებენ, რომ თანამედროვე მზარდ კონკურენტუნარიან და სწრაფად ცვალებად ბიზნესგარემოში ორგანიზაციებს გრძელვადიანი წარმატების მისაღწევად ახლა სჭირდებათ მომავალზე ორიენტირებული მაჩვენებლების სისტემები, რომლებიც დაკავშირებულია წარმატების განმსაზღვრელ გადამწყვეტ/კრიტიკულ ფაქტორებთან. იხადება ახალი კითხვა: „საქმიანობის რა სფეროებია გადამწყვეტი ჩვენი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად და როგორ გავზომოთ ისინი?“

ბლოკური მოდელის განხილვისა და მისი გამოყენების საილუსტრაციოდ ჩვენ გამოვიყენებთ შემდეგ სცენარს.

სცენარი: სმარტკურიერი

სმარტკურიერი არის ამანათების მიწოდებელი (საკურიერი) კომპანია, რომელიც მდებარეობს განვითარებად ქვეყანა მაქსლენდში. სმარტკურიერი დაარსდა 1970 წელს და დაარსების დღიდან დღემდე გადაიქცა ქვეყნის ერთ-ერთ უმსხვილეს და წარმატებულ გადამხიდ კომპანიად. მისი მისიაა „გადააჭარბოს მომხმარებელთა მოლოდინს ამანათების გადაცემისას უმაღლესი ხარისხის მომსახურების შეთავაზებით კონკურენტუნარიან ფასად“.

სმარტკურიერი მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა სახის მიტანის სერვისს, როგორიცაა:

- სტანდარტული მიწოდება ღამით;
- პრემიუმ ფასის მომსახურება დილის 10:30 საათზე გარანტირებული მიწოდების პირობით;
- უფრო იაფი, სამდღიანი მომსახურება დროში ნაკლებად შეზღუდული მიწოდებისთვის;

სმარტკურიერმა ახლახან გამოუშვა აპლიკაცია, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, თავიანთ სმარტფონებზე დააყენონ ამანათის მიღების დრო და ადგილმდებარეობა, რასაც დადებითი შეფასებები და გამოხმაურება მოჰყვა ტექნოლოგიურ პრესაში.

სმარტკურიერმა გამოავლინა წარმატების გადამწყვეტი შემდეგი ფაქტორები:

უზრუნველყონ აქციონერები სტაბილური მოგებით;

- უაღრესად კმაყოფილები დატოვონ მომხმარებლები სმარტკურიერთან ყოველი ურთიერთობისას;
- თავის მომხმარებლებს შესთავაზონ პროდუქციის ისეთი ასორტიმენტი, რომელიც აკმაყოფილებს მათ მზარდ მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს;
- მუდმივი ინოვაციებით გამოდიოდეს დარგის ლიდერის როლში.


სმარტკურიერის მენეჯერებს აქვთ დინამიკური ანაზღაურების პაკეტი, რომელიც მოიცავს აქციის ოფციონებს, მიზნებზე დაფუძნებულ მატერიალურ სტიმულირებას, საკომისიო გადახდებს და არაფულად საჯარო აღიარებას. სმარტკურიერს ასევე აქვს მოქნილი სამუშაო გრაფიკი და ერთ-ერთ თავის ოფისში ახორციელებს ბავშვების მოვლის საპილოტე პროგრამას.

სმარტკურიერი იღებს პოზიტიურ გამოხმაურებას პრესაში მისი სამუშაო გარემოს შესახებ და მიიჩნევა მიმზიდველ დამსაქმებლად, რომელსაც ჰყავს მოტივირებული თანამშრომლები და კარგი რეპუტაციით სარგებლობს სამუშაოს მაძიებელთა შორის.

თუმცა, სმარტკურიერის მოგება ბოლო წლებში შემცირდა საერთაშორისო სატრანსპორტო კომპანიების მხრიდან მზარდი კონკურენციის გამო, რომლებიც ახლახან შევიდნენ მაქსლენდის ბაზარზე.

ბლოკური მოდელი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქმიანობის შედეგების მართვის ანალიზისთვის **ფიცვე-რალდმა და მუნმა** შეიმუშავეს ე. წ. ბლოკური მოდელი, რომელიც სამი ბლოკისგან შედგება:



გასაზომი სფეროები

კომპანიები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ არა მარტო ფინანსური მაჩვენებლებით, არამედ ბევრი სხვა ასპექტის მიხედვითაც. ბლოკური მოდელი ამას ითვალისწინებს და ითვალისწინებს პარამეტრების ორ კატეგორიას: „შედეგები“ და „დეტერმინანტები/განმსაზღვრელი ფაქტორები“.

„შედეგები“ არის ხელმძღვანელობის მიერ წარსულში მიღებული გადაწყვეტილებებისა და ქმედებების შედეგი. ეს აისახება მოდელის პირველ ორ გასაზომ სფეროში, როგორცაა **ფინანსური მაჩვენებლები** და **კონკურენტუნარიანობა**.

„დეტერმინანტები/განმსაზღვრელი ფაქტორები“ ეხება მოდელის სამომავლო გასაზომ სფეროებს: სამომავლო საქმიანობის რომელი სფეროებია ყველაზე მნიშვნელოვანი კომპანიისთვის დადებითი ფინანსური და კონკურენტუნარიანი შედეგების მისაღწევად? **ხარისხი, ინოვაცია, მოქნილობა და რესურსების გამოყენება** არის მომავალი საქმიანობის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები.

გასაზომი სფეროები სმარტკურიერში

შედეგები

როგორც საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანია, სმარტკურიერის ხელმძღვანელობა ძალიან დაინტერესებული იქნება **ფინანსური წარმატების** გაზომვით – აძლევს თუ არა ის სწორ მოგებასა და უკუგებას თავის აქციონერებს? **კონკურენტუნარიანობაც** ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორია გასაზომად, რადგან მაქსლენდის ბაზარზე ახალი კონკურენტები გამოჩნდნენ – გასაანალიზებელია, სმარტკურიერი ინარჩუნებს თუ კარგავს ბაზრის წილს?

განმსაზღვრელი ფაქტორები

სმარტკურიერის მენეჯერებმა (ხელმძღვანელმა პერსონალმა) და თანამშრომლებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ საქმიანობის იმ ასპექტებზე (**გასაზომ სფეროებზე**), რომლებიც განსაზღვრავს/უზრუნველყოფს დადებით ფინანსურ და კონკურენტუნარიან შედეგებს. მაგალითად, დროულ მიწოდებას მოჰყვება მომხმარებელთა ერთგულება. საქმიანობის ეს ასპექტი **მომსახურების ხარისხს** განეკუთვნება. კომპანიის პროდუქციის მრავალფეროვანი ასორტიმენტი უნდა აკმაყოფილებდეს მომხმარებლების სხვადასხვა სეგმენტის საჭიროებებს. ეს არის მომსახურების **მოქნილობის** მაგალითი. მოქნილობამ და მომსახურების ხარისხმა, თავის მხრივ, უნდა გამოიწვიოს დადებითი **ფინანსური შედეგები**, მაგალითად, რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ზრდა.

ინოვაციაც ასევე მნიშვნელოვანია სმარტკურიერისთვის, რადგან ის ფულ აბანდებს ახალ ტექნოლოგიებში და პროცესებს აუმჯობესებს სმარტფონებისთვის შექმნილი თავისი აპლიკაციით. **რესურსების გამოყენებას** გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი ფინანსური წარმატებისთვის, რადგან მიწოდების რესურსების, პერსონალისა და ფინანსური რესურსების ეფექტური გამოყენება შეამცირებს დანახარჯებს და გააუმჯობესებს კომპანიის მომგებიანობის დონეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **ინოვაცია და რესურსების გამოყენება** ხელს უწყობს ფინანსურ წარმატებას (უფრო მაღალი მოგება) და **კონკურენტუნარიანობას** (ბაზრის წილის შენარჩუნებას).

ნორმატივები

მას შემდეგ, რაც გავარკვევთ ორგანიზაციის გასაზომ სფეროებს, შესაძლებელია ნორმატივების (გასაზომი საშუალების/კრიტერიუმების) დადგენა. ეს იქნება საორიენტაციო ნიშნულები (სამიზნე მაჩვენებლები) ან მიზნები, რომლებიც პირდაპირ იქნება დაკავშირებული საქმიანობის შედეგების იმ ასპექტებთან, რომლებიც განეკუთვნება თითოეულ გასაზომ სფეროს. ნორმატივების დადგენისას აუცილებელია შემდეგი სამი ასპექტის გათვალისწინება:

- ვინ არის პასუხისმგებელი ნორმატივის მიღწევაზე (**პასუხისმგებლობა**)?
- რა დონეზეა დადგენილი ნორმატივები (**მიღწევადობა**)?
- შეგვიძლია ამ ნორმატივების გამოყენება მთელს კომპანიაში სამართლიანი შეფასებისთვის (**სამართლიანობა**)?

ეს სამი კრიტერიუმი მეტად მნიშვნელოვანია. თუ გაურკვეველია, ვისთვისაა განკუთვნილი/დადგენილი ეს სამიზნე მაჩვენებლები, მენეჯერებსა და პერსონალს არ ექნებათ ანგარიშვალდებულება (ანუ არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა) და კომპანიის საქმიანობის შედეგების მართვა წარუმატებელი იქნება. თუ თანამშრომელთათვის

დადგენილი პირადი სამიზნე მაჩვენებლები მიუღწევადია, ადამიანები გულდასმით არ იმუშავებენ ამგვარი მიზნების მისაღწევად და მათ მცირე მოტივაცია ექნებათ. თუ შეფასება არ იქნება სამართლიანი და გამჭვირვალე, თანამშრომლების მორალური მდგომარეობა დაზარალდება.

ნორმატივები სმარტკურიერში

ზემოთ მოყვანილი გასაზომი სფეროებიდან გამომდინარე, შეგვიძლია სმარტკურიერს შევთავაზოთ საქმიანობის შედეგების შემდეგი ნორმატივები:

ფინანსური შედეგები

გაყიდვების ზრდა, წმინდა მოგების მარჟა და ინვესტიციის უკუგება პოტენციური სამიზნე მაჩვენებლებია რეგიონული მენეჯერებისთვის. მაგალითად, შესაძლებელია ფიქსირებული მიზნების დაწესება, როგორიცაა, მაგალითად გაყიდვების წლიური 8%-იანი ზრდა ან 14%-იანი მიზნობრივი უკუგება ინვესტიციაზე (ROI). **გარდა ამისა**, სმარტკურიერს შეუძლია რეიტინგების ცხრილის მიდგომის გამოყენებაც, შეუძლია კატეგორიებად დაყოს რეგიონები ამ ნორმატივების მიხედვით და შემდეგ მენეჯერები შესაბამისად დააჯილდოვოს.

კონკურენტუნარიანობა

ბაზარზე ახალი მოთამაშეების გამოჩენის გამო, სმარტკურიერისთვის მნიშვნელოვანია გარე საქმიანობის ამ სფეროს გაზომვა. მას შეუძლია დააწესოს **ბაზრის აბსოლუტური წილი**, როგორც კონკურენტუნარიანობის საზომი ნორმატივი, სმარტკურიერის ამონაგების გაყოფით მაქსლენდში ამ დარგის მთლიან ამონაგებზე. რეგიონული მენეჯერების მიზანი შეიძლება იყოს ბაზრის წილის შენარჩუნება, რადგან დარგში კონკურენცია იზრდება.

ხარისხი

როგორც მომსახურების სფეროს ორგანიზაციისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სმარტკურიერმა უზრუნველყოს მომსახურების ხარისხი, რათა შეინარჩუნოს მომხმარებელთა არსებული ბაზა. მას შეუძლია მიზნების დადგენა კურიერებისთვის, მაგალითად 98% დროული მიწოდება, ან სატელეფონო მომსახურების ცენტრის წარმომადგენლებისთვის *შეკვეთის მიღების საშუალო დრო 3 წუთი*. მნიშვნელოვანია სმარტკურიერი დარწმუნდეს, რომ ეს მიზნები არის სამართლიანი და მიღწევადი, რათა უზრუნველყოს თანამშრომლების მოტივაცია (იხ. ქვემოთ).

რესურსების გამოყენება

სმარტკურიერს რესურსების გამოყენების გაზომვა შეუძლია საქმიანობის შედეგების/ეფექტიანობის ისეთი ნორმატივების გამოყენებით, როგორიცაა მიწოდების საშუალო დრო ან მიწოდების საშუალო რაოდენობა დღეში. თუმცა, ამგვარ ნორმატივებში გასათვალისწინებელია სამართლიანობა, რადგან ურბანულ რეგიონებს პოტენციურად შეუძლიათ, რომ აჯობონ სოფლის რეგიონებს, რადგან ქალაქის მომხმარებლები უფრო ახლოს იქნებიან ერთმანეთთან დაჯგუფებულები.

მომსახურების მოქნილობა და ინოვაცია

მომსახურების მოქნილობის გაზომვა შესაძლებელია ისეთი მიზნების/სამიზნე მაჩვენებლების დადგენით, როგორიცაა კლიენტების მოთხოვნით დაგეგმილი შეკვეთების 90%, ხოლო ინოვაცია შეიძლება გაიზომოს იმ მომხმარებელთა %-ით (პროცენტული მაჩვენებლით), რომლებიც იყენებენ სმარტფონის აპლიკაციას.

მატერიალური სტიმულირება

მოდელის ბოლო ნაწილში განხილულია ორგანიზაციის სტიმულირების მთლიანი სტრუქტურა და იგი გვიჩვენებს კავშირს ადამიანური რესურსების (საკადრო მართვის) მართვის სისტემებთან. კომპანიაში არსებული ანაზღაურების პაკეტი უქმნის ადამიანებს იმის მოტივაციას, რომ მიაღწიონ ზემოაღნიშნულ საქმიანობის შედეგების ნორმატივებს? მოდელის ამ ნაწილს სამი ასპექტი აქვს:

- ეს სისტემა გასაგებია ყველა თანამშრომლისთვის (**გამჭვირვალობა**)?
- სისტემა უქმნის თანამშრომლებს იმის მოტივაციას, რომ მიაღწიონ მათთვის დასახულ მიზნებს (**მოტივაცია**)?
- თანამშრომლებს გააჩნიათ კონტროლი იმ სფეროებზე, რომლებზეც პასუხისმგებლობა აკისრიათ (**კონტროლირებადობა**)?

მატერიალური სტიმულირების სისტემა, მისი სტრუქტურა და შინაარსი მკაფიოდ უნდა იყოს გასაგები ყველა თანამშრომლისთვის: ეს ნიშნავს სამუშაოს ცალსახა შეფასებას და მატერიალური სტიმულირების მკაფიო მექანიზმების არსებობას. ჯილდოები საკმარისად სასურველი უნდა იყოს, რათა თანამშრომლები მოტივირებულნი იყვნენ, რომ მათ მოსაპოვებლად თავდაუზოგავად იმუშაონ. დასასრულს, თუ თანამშრომლებს ისეთი ფაქტორების მიხედვით შეაფასებენ, რომლებსაც ისინი ვერ აკონტროლებენ, ისინი ინტერესს დაკარგავენ და არ იზრუნებენ თავიანთი ჯილდოს მიღებაზე.

მატერიალური სტიმულირება სმარტკურიერში

როგორც ჩანს, სმარტკურიერს აქვს მატერიალური სტიმულირების ეფექტური სისტემა. ანაზღაურების პაკეტი მოიცავს ფინანსურ და არაფინანსურ ჯილდოებსა და სარგებელს, რაც, სავარაუდოდ, ხელს უწყობს თანამშრომლების მოტივაციას მათი განსხვავებული საჭიროებების/მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით. მაგალითად, ახალი მშობლები მოტივირებული იქნებიან საბავშვო დაწესებულებებით, სხვა პერსონალი შეიძლება მოტივირებული იყოს მოქნილი სამუშაო ადგილებით. ასევე ჩანს, რომ ჯილდოები ეყრდნობა სამუშაოს შედეგებს (მაგალითად, „სტიმულირება მიზნების საფუძველზე“), რაც გამოიწვევს მოტივაციის გაზრდას.

სმარტკურიერისთვის მნიშვნელოვანია უზრუნველყოს, რომ სტიმულირების მექანიზმები კონტროლირებადი და გასაგები იყოს, მაგალითად, უნდა დარწმუნდეს, რომ მიზნები კარგად არის განსაზღვრული და შემდეგ შეთანხმებულია თანამშრომელთა შეფასების მიზნით ორგანიზებულ შეხვედრებზე.

დასკვნა

საქმიანობის შედეგების/ეფექტიანობის შეფასების სხვა თანამედროვე სისტემების მსგავსად, ბლოკური მოდელიც ორგანიზაციის სტრატეგიულ მიზნებს აკავშირებს მომავალზე ორიენტირებულ, ეფექტიანობის არაფინანსურ მაჩვენებლებთან. თუმცა, ბლოკური მოდელი სხვა სისტემებისგან იმით განსხვავდება, რომ იგი განიხილავს მატერიალური სტიმულირების სისტემებსაც და მიზნად ისახავს მკაფიოდ გასაგები და კომუნიკაბელური ინდივიდუალური მაჩვენებლების სისტემის შექმნას, რომელიც საქმიანობის შედეგების ინდივიდუალურ მიზნებს/სამიზნე მაჩვენებლებს შეუსაბამებს ორგანიზაციულ მიზნებს.

*სტივ ვილისის მიერ მომზადებული თავდაპირველი
სტატიის ადაპტირებული ვერსია მოამზადა
ფინანსური მართვის მოდულის საგამოცდო კომისიის წევრმა*

ბუღალტრული აღრიცხვის ხელოვნება: თქვენი კლიენტების მომსახურებისა და ფასების 8-ეტაპიანი მიმოხილვა



1. დამატებითი მომსახურება

გადახედეთ 10 ყველაზე მსხვილ კლიენტთან თქვენს ურთიერთობას და დაადგინეთ, გაუწიეთ თუ არა მათ რაიმე ახალი მომსახურება ბოლო 2 წლის განმავლობაში. თუ არა, მაშინ დაიწყეთ ახლავე. დამატებითი მომსახურების გამოვლენის ერთ-ერთი გზაა ახალი კლიენტების მიერ მოთხოვნილი მომსახურების პაკეტების გაანალიზება. უმეტეს შემთხვევაში, ახალი კლიენტები თქვენთან ისეთი მომსახურების მისაღებად მოდიან, რასაც სხვა ორგანიზაციისგან ვერ იღებდნენ. შემდეგ გამოიკვლიეთ ყველა თქვენი მომსახურება და შესაძლებლობები და შეუდარეთ კლიენტების საჭიროებებს/მოთხოვნილებებს ისეთი ტიპის მომსახურების აღმოსაჩენად, რომელიც თქვენს კლიენტებს ესაჭიროებათ ან უკვე იღებენ სხვისგან.

2. უფასოდ გაწეული მომსახურება

გადახედეთ გასული წლის ინფორმაციას და გამოიკვლიეთ, გაუწიეთ

თუ არა თქვენს კლიენტებს რაიმე მომსახურება უფასოდ. ეს შესაძლოა მოიცავდეს ისეთ დამატებით სამუშაოებს, რომელთა შესრულებაც კლიენტმა თქვენს თანამშრომელს სთხოვა ან რომელთა შესრულებაც აუცილებელი გახდა საგადასახადო კანონმდებლობაში ან ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირებაში მომხდარი ცვლილებების შედეგად. თუკი რომელიმე მომსახურება კლიენტის მოთხოვნის გარეშე შესრულდა, გაარკვიეთ, რატომ მოხდა ეს? რამ განაპირობა მათი აუცილებლობა: ცვალებადმა გარემოებებმა თუ „ცაიტნოტის“ მდგომარეობამ, თუ ისეთი სამუშაოს შესრულება მოგიწიათ, რომელიც კლიენტის პერსონალს უნდა შეესრულებინა?

3. რეალიზება

თანამშრომლებისა და კლიენტების რეალიზება მათი მომგებიანობის შეფასების ერთ-ერთი გზაა. ამ ინფორმაციის შეგროვება ხდება ნამუშევარი დროის აღრიცხვის ბარათებისა და შემოსავ-

ლების მონაცემების შედარებით. იმ შემთხვევაში, თუ ნამუშევარი დროის აღრიცხვის ბარათებს არ იყენებთ ან მხოლოდ ფასების დადგენის დროს იყენებთ, მნიშვნელოვან ინსტრუმენტს კარგავთ – ზემოაღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე კონკრეტული თანამშრომლებისა და კლიენტების მომგებიანობის შეფასებაა შესაძლებელი. გარდა ამისა, ეს დაგეხმარებათ თქვენი კლიენტებისთვის შესაფერისი პერსონალის შერჩევაში. მართალია, კიდევ არსებობს ბევრი რამ, რომლის მეშვეობითაც დადგენთ თქვენი პერსონალისა და კლიენტების მომგებიანობას, მაგრამ ეს მაჩვენებლები საუცხოო პირველი ნაბიჯია ამგვარი ანალიზისთვის.

4. თანამშრომელთა გამოყენება

თანამშრომლების გამოყენება ხშირად რეალიზების მნიშვნელობით გამოიყენება, თუმცა ეს უკანასკნელი სულ სხვა რამეა. ეს არ არის რაიმე ციფრი, არამედ იმის შეფასების მეთოდია, დაკავებული გყავთ თუ არა საუკეთესო თანამშრომლები თქვენს საუკეთესო კლიენტებთან და თანამშრომლების განაწილება გამყარებულია თუ არა მათი განვითარების პროცესით. მნიშვნელოვანია, რომ ამ თანამშრომლებს ჩამოაშორეთ ყველა არარელევანტური ფუნქცია, მათ შორის ადმინისტრაციული საქმე და ისეთი ტიპის პროფესიული სამუშაო, რომლის შესრულებაც უფრო ქვედა რგოლის თანამშრომლებსაც შეუძლიათ. მე მაგალითად ასევე ვეცდებოდი, რომ აღნიშნული თანამშრომლები არ დამესაქმებინა ისეთ კლიენტებთან, სადაც მათ არ ექნებოდათ ზრდის შესაძლებლობა, მათ შორის ტექნიკური ან საზედამხებდველო უნარების, კლიენტებთან ურთიერთობის ან პროექტების მართვის მიმართულებით.

5. რეკომენდაციები

ამ ბიზნესში საუკეთესო მარკეტინგული სტრატეგია არსებული კლიენტების რეკომენდაციებია. თქვენი რეკომენდაციების ქსელის ანალიზის გზით უნდა გაარკვიოთ, რატომ გიწევთ ზოგიერთი კლიენტი რეკომენდაციას ხშირად, ზოგიერთი კი – არასოდეს.

6. ორგანული ზრდა

ეს მაჩვენებელი ზომავს თქვენი ბიზნესის ზრდას წინა წლის კლიენტების ბაზასთან შედარებით. იგი მოიცავს პროფესიული საზღაურის ზრდას არსებული ან მიმდინარე სამუშაოსთვის, ასევე მომსახურების ახალ სახეობებსაც. აღნიშნული მაჩვენებელი მინიმუმ 5%-ს მაინც უნდა შეადგენდეს, რაც, სავარაუდოდ, დაფარავს თქვენს გაზრდილ წლიურ ხარჯებს. იმ შემთხვევაში, თუ სულ მცირე, ამხელა ზრდაც კი არ გქონიათ, ეს იმას ნიშნავს, რომ მნიშვნელოვნად ჩამორჩებით. გარდა ამისა, თუ კლიენტებს დამატებით მომსახურებას არ სთავაზობთ, ამით არამხოლოდ შემოსავლების ზრდის შესაძლებლობას კარგავთ, არამედ კონკურენტებს (სხვა ფირმებს) აძლევთ იმის საშუალებას, რომ თქვენი კლიენტები საკუთარ პორტფელში გადაიყვანონ. კარგად შეისწავლეთ თქვენი ფირმის ყველა მომსახურება და მოიძიეთ გზები, როგორ დაეხმარებით თქვენს კლიენტებს უკეთესად ზრდაში.

7. ახალი კლიენტები

შემოსავლების ზრდა როგორც ორგანული ზრდის, ისე ახალი კლიენტების დამატების ხარჯზე უნდა ხდებოდეს. უნდა გამოიკვლიოთ, როგორ შეიძინეთ თითოეული ახალი კლიენტი და შესაძლებლობის შემთხვევაში, გაამრავლოთ ამგვარი წყაროები.

8. გარიგების წერილები

მოამზადეთ წერილი თითოეული კლიენტისთვის, განსაკუთრებით კი მსხვილი კლიენტებისთვის. ეს თქვენთვისაც სასარგებლოა, რათა ცხადად დაინახოთ, თუ რას გააკეთებთ და რას არ გააკეთებთ თითოეული კლიენტისთვის და როგორ გინდათ, რომ იღებდეთ კომპენსაციას გაწეული სამუშაოსთვის.

ჩვენ მიერ განხილული 8-ეტაპიანი მიმოხილვის პროცესი დიდ დროს და ენერგიას არ მოითხოვს. ყველა ეს ეტაპი მუშაობს პრაქტიკაში და ერთობლიობაში ისინი თქვენი ბიზნესისა და მოგების ზრდისკენ მიმავალ გზას უფრო ცხადს გახდის.

წყარო: accountingtoday.com

მდგრადობის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს თავმჯდომარე შემჩეულია



ემანუელ ფაბერი, მდგრადი განვითარების
საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ISSB) თავმჯდომარე

მდგრადი განვითარების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ISSB) თავმჯდომარედ ფასს-ების ფონდმა (IFRS Foundation) ემანუელ ფაბერი დანიშნა. გადაწყვეტილება ძალაში 2022 წლის 1 იანვრიდან შევიდა.

მისი დანიშვნა მოყვა 2021 წლის ნოემბერში გაერთიანებული ერების მიერ კლიმატის ცვლილების თემაზე ორგანიზებულ კონფერენციაზე (COP26) გაკეთებულ განცხადებას მდგრადი განვითარების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს შექმნის თაობაზე, კლიმატთან დაკავშირებით გასამუშავებელი სტანდარტების საბჭოსა და ღირებულების ანგარიშგების ფონდის ფასს-ების ფონდთან გაერთიანების საფუძველზე.

კომპანია Danone-ს ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი და დირექტორთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე **ემანუელ ფაბერი** ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ხაზს უსვამდა მდგრადი განვითარების შესახებ ინფორმაციის მნიშვნელობას ინვესტორთათვის. მისი ხელმძღვანელობით კომპანიამ დანერგა ისეთი ინოვაციური საშუალებები, რომლებიც ინვესტორებსა და კრედიტორებს დაეხმარა, უკეთ

გაეგოთ მდგრადი განვითარების ფაქტორები კომპანიის ღირებულების შეფასების კონტექსტში.

მდგრადი განვითარების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო შეიმუშავებს მდგრადი განვითარების ანგარიშგების სტანდარტებს, როგორც გლობალურ ჩარჩოს იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ინვესტორებისთვის მაღალი ხარისხის, საერთაშორისო დონეზე შესადარისი ინფორმაციის მიწოდება მდგრადი განვითარების შესახებ. ეს ორგანო მჭიდროდ ითანამშრომლებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსთან, რათა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები და მდგრადი განვითარების ანგარიშგების სტანდარტები ერთმანეთთან შესაბამისი და თავსებადი იყოს.

„ემანუელ ფაბერი დიდი ხანია მხარს უჭერს კომპანიებს, რომლებიც თავის ანგარიშგებებში მდგრადი განვითარების საკითხებს განიხილავენ, როგორც ორგანიზაციული სტრატეგიის ნაწილს“ — განაცხადა ფასს-ების ფონდის რწმუნებულთა თავმჯდომარემ, **ერკი ლიიკანენმა**. „გლობალური ლიდერობის უნარები და



ერკი ლიკიანენი,
ფასს-ების ფონდის რწმუნებულთა თავმჯდომარე

ენერგია მას ამ პოზიციისთვის იდეალურ კანდიდატად აქცევს, რათა უხელმძღვანელოს ისეთი სტანდარტების შექმნის პროცესს, რომლებიც დააკმაყოფილებს ინვესტორთა მოთხოვნებს კლიმატთან და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.“

ფაბერს ოთხ კონტინენტზე აქვს ნამუშევარი უმაღლეს ხელმძღვანელ პოზიციებზე. დაფუძნებული აქვს და მართავს რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციასა და ინიციატივას, რომელთა შორისაა ინიციატივა „ერთი პლანეტა – ბიზნესი ბიომრავალფეროვნებისთვის“ და დიდი შვიდეულის კოალიცია „ბიზნესი ინკლუზიური ზრდისთვის“.

„ინვესტორები ითხოვენ მაღალი ხარისხის, საერთაშორისო დონეზე შესადარის ინფორმაციას მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ინფორმირებული საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღება. მდგრადი განვითარების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო წარმოადგენს იშვიათ შესაძლებლობას, დავაკმაყოფილოთ ეს საჭიროება სწრაფად ცვალებად სამყაროში, სადაც კლიმატი მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს მომდევნო წლებში“ – განაცხადა ფაბერმა.

„ჩვენ უნდა გადავდგათ კოორდინირებული ნაბიჯები და გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა, რომელიც COP26-ის



ანდრეას ბარკოუ, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს თავმჯდომარე

გადაწყვეტილების შედეგად მივიღეთ. მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა, ვიმუშაო დაინტერესებულ მხარეებთან და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსთან ერთად ისეთი სტანდარტების შექმნაზე, რომლებიც გავლენას იქონიებს კაპიტალის განაწილებაზე, საბაზრო ფასებსა და კაპიტალის ღირებულებაზე მსოფლიოს მასშტაბით.“

ფასს-ების ფონდის რწმუნებულები მალე დაასახელებენ საბჭოს სხვა წევრებსაც. კანდიდატების შერჩევისას მათ ძირითად მიზანს წარმოადგენს პროფესიონალიზმისა და გამოცდილების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა ახლადშექმნილ ორგანოში.

„ვულოცავ ემანუელს ახალ პოზიციაზე დანიშვნას. მოხარული ვიქნები, ვიმუშაო მასთან და მის საბჭოსთან ერთად, რათა მოვემსახუროთ ინვესტორთა მოთხოვნებს“ – განაცხადა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს თავმჯდომარემ, **ანდრეას ბარკოუმ**. „ფაბერის სამწლიანი ვადით დანიშვნას მხარს უჭერს ფასს-ების ფონდის მონიტორინგის საბჭო, რომელიც გედამხედველობას უწევს ფონდის მართვის სხვადასხვა ასპექტს.“

ვებგვერდი, 08/12/2021
სარეგისტრაციო კოდი
200250000.22.033.017531

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №323
2021 წლის 7 დეკემბერი ქ. თბილისი

**„ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო
შეთანხმებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათით სარგებლობისა
და არარეზიდენტისათვის საქართველოში გადახდილი გადასახადის
დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა
მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №633 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათით სარგებლობისა და არარეზიდენტისათვის საქართველოში გადახდილი გადასახადის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №633 ბრძანებით (ვებგვერდი, 111228027, 29/12/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200250000.22.033.016287) დამტკიცებულ „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათით სარგებლობისა და არარეზიდენტისათვის საქართველოში გადახდილი გადასახადის დაბრუნების წესში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ მუხლი:

„მუხლი 1¹. შემოსავლის ბენეფიციური მფლობელი

1. საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის მიზნისთვის შემოსავლების ბენეფიციური მფლობელის ცნება განისაზღვრება ამ მუხლის შესაბამისად.

2. ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება დივიდენდზე, პროცენტსა და როიალტზე და გამოიყენება იმ ნაწილში, რომლითაც იგი შეესაბამება კონკრეტული საერთაშორისო შეთანხმების დებულებებს.

3. პირის შემოსავლის ბენეფიციურ მფლობელად მიჩნევა უნდა მოხდეს საერთაშორისო შეთანხმების არსის, შემოსავლებსა ან/და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის მიზნების გათვალისწინებით.

4. შემოსავლის მიმღები წარმოადგენს ამ შემოსავლის ბენეფიციურ მფლობელს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია სრული უფლებები შესაბამისი შემოსავლის გამოყენებასთან, სარგებლობასა და განკარგვასთან დაკავშირებით და იგი არ იზღუდება ისეთი სახელშეკრულებო ან კანონისმიერი ვალდებულებით, რომელიც გულისხმობს მიღებული შემოსავლის სხვა პირისათვის გადაცემას.

5. საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათები ვრცელდება შემოსავლის მხოლოდ იმ მიმღებზე, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი შემოსავლის ბენეფიციურ მფლობელს.

6. შემოსავლის ბენეფიციურ მფლობელად არ განიხილება პირი, რომელიც მოქმედებს როგორც აგენტი, წარმომადგენელი, შემოსავლების ნომინალური მფლობელი/ მიმღები ან/და შუამავალი, მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიძლება იყოს შესაბამისი შემოსავლის პირდაპირი მიმღები ან ფორმალური მფლობელი.

7. საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათები არ გავრცელდება იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლის ბენეფიციური მფლობელი წარმოადგენს არა რომელიმე ხელშემკვრელი სახელმწიფოს, არამედ მესამე სახელმწიფოს რეზიდენტს.

8. მიუხედავად ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილებისა, შემოსავლის მიმღებს შესაძლებელია უარი ეთქვას საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათით სარგებლობაზე, თუ კონკრეტული ოპერაციის ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით, იკვეთება, რომ შესაბამისი გარიგების ან შეთანხმების დადების მთავარ მიზანს წარმოადგენს გადასახადებისაგან თავის არიდება.“.

2. მე-3 მუხლის:

ა) მე-3 – მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. შემოსავლის მიმღები საგადასახადო ორგანოს ფორმა №2-ს წარუდგენს ერთ ეგზემპლარად საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე. თუ არარეზიდენტისათვის ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნების თაობაზე საგადასახადო ორგანოს დადებითი გადაწყვეტილების მიღების დღისათვის გადასახადის დაბრუნების უფლების წარმოშობის კალენდარული წელი ხანდაზმულ პერიოდს მიეკუთვნება, ხანდაზმულობის ვადა არ მიიჩნევა გასულად, თუ ფორმა №2 წარდგენილია ამ ვადის გასვლამდე.

4. ფორმა №2-ის ორიგინალი რჩება საგადასახადო ორგანოში, ხოლო განმცხადებელს გადაეცემა საგადასახადო ორგანოს ბეჭდით დამოწმებული ასლი. ფორმა №2-ის დამოწმებისას, საგადასახადო ორგანო არ არის ვალდებული გადაამოწმოს ფორმა №2-ში მითითებული ინფორმაციის სისწორე ამ წესის 1¹ მუხლის დებულებებთან მიმართებით.

5. ფორმა №2-ის დამოწმების შემთხვევაში, თანხის დაბრუნება ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით.“;

ბ) მე-6 პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ.ა) მე-11 გრაფაში შემოსავლის მიმღები არარეზიდენტი ადასტურებს, რომ იგი არის შემოსავლის მიმღები/ბენეფიციური მფლობელი ამ წესის 1¹ მუხლის შესაბამისად. ამასთან, არარეზიდენტს მოეთხოვება მხოლოდ შემოსავლის ბენეფიციური მფლობელ(ებ)ის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

ვებგვერდი, 09/12/2021
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017532

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №325
2021 წლის 8 დეკემბერი ქ. თბილისი**

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის
№996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 56³ მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს შეუჩეროს ამ ინსტრუქციის 51-ე და 56¹ მუხლებით გათვალისწინებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებისა და საგადასახადო დოკუმენტების გამოყენების (ელექტრონული ფორმით გამოწერის/დადასტურების ან/და ჩათვლის მიღების) უფლება ან/და პირს უარი უთხრას აღნიშნული დოკუმენტების მატერიალური ფორმით გაცემაზე:

ა) დღგ-ის გადახდისაგან თავის არიდების, მათ შორის, უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების ნიშნების გამოვლენისას. ამ შემთხვევაში საქმის მასალები გადაიგზავნება შესაბამის საგამოძიებო ორგანოში;

ბ) შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს მოთხოვნისას (მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში);

გ) შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანების საფუძველზე და მის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №332
2021 წლის 13 დეკემბერი ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996
ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გაკოტრების რეჟიმის გახსნისას – სასამართლოს მიერ გამოტანილი გაკოტრების რეჟიმის გახსნის შესახებ განჩინების გამოქვეყნებიდან.“.

2. დანართი №III-03 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. 66¹ მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით გადახდისუუნარობის მასის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაცია.“;

ბ) მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) დღგ-ის გადამხდელად ითვლება პირი, რომლის გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციაც ხდება „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით, მხოლოდ ამ ოპერაციაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე.“.

4. 66² მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ ინსტრუქციის 66¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელ უფლებამოსილ პირს ამ ოპერაციაზე დარიცხული დღგ-ის თანხის ბიუჯეტში გადახდა და საგადასახადო ორგანოში ინფორმაციის წარდგენა ევალება „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით გადახდისუუნარობის მასის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაციისას.“;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საქართველოს საგადასახადო კოდექსის, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონისა და „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე რეალიზაციისას, დასაბეგრი ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრის დროდ ითვლება სერტიფიკატის ან განკარგულების გამოცემის მომენტი.“;

გ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. „რეგულირებისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით, გადახდისუნარობის მასის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაციისას გადახდისუნარობის მასის მესაკუთრეს ამ ოპერაციაზე არ ეკისრება დღგ-ის თანხის ბიუჯეტში გადახდისა და დღგ-ის დეკლარაციის საგადასახადო ორგანოში წარდგენის ვალდებულება.“.

5. 66³ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) „რეგულირებისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 102-ე მუხლის შესაბამისად გამოცემული განკარგულება, აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

დანართი №III-03

.....
(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

.....
(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი, გვარი)

.....
(საიდენტიფიკაციო ნომერი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების შესახებ

გთხოვთ, გამიუქმთ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია

- საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციის გამო

- „რეგულირებისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით გაკოტრების რეჟიმის გახსნის გამო

- სსკ-ის 165¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად

- სსკ-ის 165¹ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად (საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული ინსტრუქციის 47-ე მუხლის მე-5 პუნქტი - საგადასახადო ორგანოს ინიციატივა)

- სსკ-ის 165¹ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად (საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული ინსტრუქციის 47-ე მუხლის მე-6 პუნქტი).

(საჭირო უჯრა აღნიშნეთ „V“ ნიშნით)

განმცხადებლის ხელმოწერა

თარიღი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №333
2021 წლის 13 დეკემბერი ქ. თბილისი

**„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-
მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო
დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების
გადახდევენების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების,
სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის
№994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევენების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებული წესის მე - 40 მუხლის შემდეგ დამატოს შემდეგი შინაარსის 40¹ მუხლი:

„მუხლი 40¹. საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გაუქმება პირის (რეგისტრირებადი ქონების ახალი მესაკუთრის) მიერ გადასახადის გადამხდელის (რეგისტრირებადი ქონების ყოფილი მესაკუთრის) აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის შემთხვევაში

1. გადასახადის გადამხდელის (რეგისტრირებადი ქონების ყოფილი მესაკუთრის) აღიარებული საგადასახადო დავალიანების თანხა არის ის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც პირის (რეგისტრირებადი ქონების ახალი მესაკუთრის) მიერ შემენილ ქონებაზე გავრცელებულია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული აღიარებული საგადასახადო დავალიანების თანხა განისაზღვრება არაუმეტეს იმ ოდენობისა, რა ვალდებულებაც ეკისრებოდა გადასახადის გადამხდელს (რეგისტრირებადი ქონების ყოფილი მესაკუთრის), პირის (რეგისტრირებადი ქონების შემძენის) მიერ ამ ქონების მარეგისტრირებელ ორგანოში ახალ შემძენზე რეგისტრაციის მომენტში.

3. პირი (რეგისტრირებადი ქონების ახალი მესაკუთრე), გადასახადის გადამხდელის (რეგისტრირებადი ქონების ყოფილი მესაკუთრის) აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოში წარადგენს განცხადებას საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გაუქმების მოთხოვნით. განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) პირის (რეგისტრირებადი ქონების ახალი მესაკუთრის) დასახელებას/სახელს და გვარს, საიდენტიფიკაციო/პირად ნომერს;

ბ) იმ გადასახადის გადამხდელის დასახელებას/სახელს და გვარს, საიდენტიფიკაციო/პირად ნომერს, რომლის აღიარებული საგადასახადო დავალიანების თანხის გადახდევინების უზრუნველყოფის მიზნით მისი ქონების მიმართ გავრცელებულია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა;

გ) ქონების საკუთრებაში გადასვლის თარიღს (მარეგისტრირებელ ორგანოში ახალ შემძენზე რეგისტრაციის თარიღს).

4. პირის (რეგისტრირებადი ქონების ახალი მესაკუთრე) მიერ წარდგენილ განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული რეგისტრირებადი ქონების ახალ შემძენზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი (მათ შორის, ამონაწერი ქონების მარეგისტრირებელი ორგანოდან);

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის დამადასტურებელი დოკუმენტები.

5. საგადასახადო ორგანო განიხილავს პირის (რეგისტრირებადი ქონების ახალი მესაკუთრე) მიერ გადასახადის გადამხდელის (რეგისტრირებადი ქონების ყოფილი მესაკუთრის) აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის გამო საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გაუქმების მოთხოვნით წარდგენილ განცხადებას და განცხადებაზე თანდართულ დოკუმენტაციას, მათ შორის, შეისწავლის გადასახადის გადამხდელის (რეგისტრირებადი ქონების ყოფილი მესაკუთრის) პირადი აღრიცხვის ბარათზე აღიარებული საგადასახადო დავალიანების თანხის ოდენობას პირის (რეგისტრირებადი ქონების შემძენის) საკუთრებაში ამ ქონების რეგისტრაციის მომენტისთვის.

6. საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებით, რეგისტრირებადი ქონების ახალ მესაკუთრეზე რეგისტრირებულ ქონებაზე შესაძლებელია გაუქმდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები, მათ შორის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული აღიარებული საგადასახადო დავალიანების თანხა დაფარულია გადასახადის გადამხდელის (რეგისტრირებადი ქონების ყოფილი მესაკუთრის) პირადი აღრიცხვის ბარათზე, რომლის აღიარებული საგადასახადო დავალიანების თანხის გადახდევინების უზრუნველსაყოფადაც მისი ქონების მიმართ გავრცელებულია საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

**შემოსავლების სამსახურის უფროსის
ბრძანება №37475
2021 წლის 3 დეკემბერი ქ. თბილისი**

**„შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს შექმნის,
მისი საქმიანობის წესის, ასევე საგადასახადო მონიტორინგის
დეპარტამენტში მედიაციის წესის დამტკიცების შესახებ“
შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 8 ივლისის
№31275 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. „შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს შექმნის, მისი საქმიანობის წესის, ასევე საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტში მედიაციის წესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 8 ივლისის №31275 ბრძანებით დამტკიცებული „შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის“ (დანართი №2)

ა) მე-2 მუხლის:

ა.ა) მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დავების დეპარტამენტი გადასახადის გადამხდელის საჩივარს, თანდართულ მასალებთან ერთად, წერილობითი ინფორმაციის მოსამზადებლად, უგზავნის შემოსავლების სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

3. გადასახადის გადამხდელის მიერ შემოსავლების სამსახურში წარმოდგენილ საჩივარზე შემოსავლების სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადებული წერილობითი ინფორმაცია და მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ყველა მასალა (მ/შ პოზიცია საჩივარში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით) დავების დეპარტამენტს ეგზავნება შესაბამისი მოთხოვნიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.“;

ა.ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ პუნქტი:

„3¹. შემოსავლების სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ გადასახადის გადამხდელის საჩივარზე მომზადებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

ა) საჩივარში დასმულ ყველა სადავო საკითხზე დეტალურ პასუხს/შეპასუხებას, მათ შორის აუდიტის დეპარტამენტის მიერ მომზადებული ინფორმაციის შემთხვევაში, დარიცხვის საფუძველებს (მათ შორის, არაპირდაპირი მეთოდი/კვალიფიკაციის ცვლილების საფუძველები);

ბ) ინფორმაციას იმის შესახებ, სტრუქტურული ერთეულის მიერ გადასახადის გადამხდელისათვის მოთხოვნილი იყო თუ არა დოკუმენტაციის/მტკიცებულებების წარმოდგენა (მათ შორის საგადასახადო შემოწმების მიმდინარეობისას); წარადგინა თუ არა გადასახადის გადამხდელმა მოთხოვნილი დოკუმენტაცია/მტკიცებულებები; აღნიშნული დოკუმენტაციის/მტკიცებულებების წარუდგენლობის შემთხვევაში, დაჯარიმებულია თუ არა გადასახადის გადამხდელი ინფორმაციის წარუდგენლობისათვის (მათ შორის, განმეორებით);

გ) გადასახადის გადამხდელის მიერ დავის ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია/მტკიცებულებები, იყო თუ არა წარდგენილი სტრუქტურული ერთეულისათვის, გასაჩივრებული სამართლებრივი აქტის გამოცემამდე და თუ იყო წარდგენილი, რატომ არ იქნა გათვალისწინებული აღნიშნული ინფორმაცია სტრუქტურული ერთეულის მიერ. ახალი დოკუმენტაციის/მტკიცებულების წარმოდგენის შემთხვევაში ამ ინფორმაციის შეფასება, კერძოდ, მათი შესაძლო გავლენა სადავო საკითხზე;

დ) მტკიცებულებას, იმის შესახებ, რომ გადასახადის გადამხდელი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი გაეცნო გასაჩივრებულ სამართლებრივ აქტს (შესაბამისი გასაჩივრებული დოკუმენტის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის შესაბამისად ჩაბარების თარიღის მითითებით);

ე) ინფორმაციას იმ პირთა შესახებ (შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის მითითებით), რომლებიც გადასახადის გადამხდელის მხრიდან, სადავო საკითხთან დაკავშირებით, მონაწილეობდნენ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ განხორციელებულ პროცედურაში.“;

ა.გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. იმ შემთხვევაში, თუ მიზანშეწონილად ჩაითვლება საჩივრის საბჭოს სხდომაზე განხილვა, შესაბამისი წერილობითი ინფორმაციის მიღების ან წერილობითი ინფორმაციის მისაღებად მითითებული ვადის გასვლის შემდეგ დავების დეპარტამენტი უზრუნველყოფს საბჭოზე განსახილველად საკითხის მომზადებას, საბჭოს მომდევნო/უახლოესი სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენას და საბჭოს წევრებისათვის ელექტრონული ფოსტით გადაგზავნას. დღის წესრიგი თანხმდება საბჭოს თავმჯდომარესთან/მოადგილესთან.“;

ბ) მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საბჭო უფლებამოსილია შეაჩეროს საკითხის განხილვა და, საბოლოო შეფასების ფორმირებამდე, გადასახადის გადამხდელისგან, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისგან ან/და სხვა ორგანოებისგან/პირებისგან გამოითხოვოს დამატებითი წერილობითი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია/მტკიცებულებები ან/და საჩივრის ფარგლებში განსახილველი საკითხების შესახებ სხვა ინფორმაცია.“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი

ლევან კაკავა

რედაქციაში შემოსულ კითხვებზე პასუხები მოამზადა
გაფის საგადასახადო კომიტეტმა

კითხვა:

ფირმის თანამშრომელზე გავეცი ხელფასი და დეკლარაციაშიც ავსახე სხვებთან ერთად. ახლა გავიგე, რომ 40 წლამდე ყოფილა და საპენსიოში ჩავრთე. საგადასახადო დეკლარაცია მხოლოდ მასზე დავაზუსტო, თუ ყველა თავიდან შევიყვანო?

პასუხი:

დაზუსტებულ დეკლარაციაში ყველა მონაცემი ხელახლა უნდა შეიტანოთ.

კითხვა:

ინდემნარმეს ჰყავსდაქირავებული თანამშრომლები და გვავინტერესებს, საპენსიო ანარიცხების და საპენსიო დანამატის გადახდის საკითხი როგორ გაიანგარიშება. კერძოდ, ხდება მხოლოდ დაქირავებულის საპენსიოს 2% ის შენატანი, თუ იმავედროულად ინდემნარმეს აქვს ვალდებულება დაამატოს კიდევ 2% და სულ ჩარიცხოს და დაადეკლარიროს ჯამურად 4%-ის გადახდის ვალდებულება?

პასუხი:

დაქირავებული პირების მიმართ დამქირავებელ ინდ. მენარმეს ისეთივე ვალდებულებები აქვს, როგორიც ექნებოდა, ვთქვათ, შპს-ს – დაქირავებულისთვის დაკავებულ 2 %-ს უნდა დაუმატოს კიდევ 2 % და ჯამურად 4 % დაადეკლარიროს.

კითხვა:

შპს არის სავაჭრო ობიექტი, მაღაზიამ მიაღწია 100000 ლარიან ზღვარს და დარეგისტრირდა დღგ-ს გადამხდელად. შემდგომ დღგ-ს დარიცხვა-ჩათვლის აღიარების ოპერაციები მისაღებია, მაგრამ გვავინტერესებს რა ხდება არსებულ ნაშთთან დაკავშირებით ჩათვლის კუთხით. იმის გამო, რომ ახლად დარეგისტრირებულებს არაკვალიფიციური გადამხდელის სტატუსს ანიჭებენ, გვეჩვენა თუ არა არსებულ ნაშთებზე ჩათვლის უფლება?

პასუხი:

არსებულ ნაშთზე ჩათვლის უფლება გაქვთ იმ შემთხვევაში, თუ გექნებათ კვალიფიციური გადამხდელის სტატუსი. არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის გასაუქმებლად მიმართეთ საგადასახადო ორგანოს და შესაბამისი შეზღუდვების არარსებობის შემთხვევაში მოგანიჭებენ კვალიფიციური გადამხდელის სტატუსს, რის შემდეგაც შეგეძლება რეგისტრაციის მომენტში ნაშთად არსებულ საქონელზე ჩათვლის მიღება საგადასახადო კოდექსის 174-178-ე მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით.

კითხვა:

სავაჭრო სანარმომ უნდა მოვახდინოთ თუ არა ტერმინალის ქვითრების შენახვა და, საგადასახადო კუთხით, გვაქვს თუ არა მათი შენახვის ვალდებულება, ან რა დროის განმავლობაში უნდა გვექონდეს შენახული?

პასუხი:

საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, ნებისმიერი პირველადი დოკუმენტი, რომელიც დაბეგვრასთანაა დაკავშირებული, უნდა ინახებოდეს, სულ ცოტა, სამი წლის განმავლობაში.

კითხვა:

საქართველოში რეგისტრირებულმა შპს-მ ევროკავშირისგან მიიღო გრანტი, რომელიც უნდა გასცეს პროექტში ჩართულ ფიზიკურ პირებზე, როგორც ჰონორარი და გვანტერესებს: არის თუ არა ეს შემოსავალი და ხომ არ იბეგრება მოგების გადასახადით? ასევე განაცემი, როგორც ჰონორარი, დაიბეგრება საშემოსავლოთი ან კიდევ რაიმე სხვა გადასახადით?

პასუხი:

შპს-ისთვის ეს „გრანტი“ არის მომსახურების გაწევით (ან/და საქონლის მიწოდებით) მიღებული შემოსავალი, რომელიც მონაწილეობს ფინანსური მოგების წარმოქმნაში. შესაბამისად, ამ მოგების რაიმე ფორმით განაწილებისას წარმოიშობა მოგების გადასახადით დაბეგვრის ვალდებულება. „ჰონორარის“ ცნებას საგადასახადო კოდექსი არ იცნობს. ეს ან ხელფასია ან მომსახურების ანაზღაურება. ორივე შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადთან ერთად უნდა გაითვალისწინოთ საპენსიო შენატანებიც.

კითხვა:

საგადასახდომში რეგისტრაციის გავლის შემდეგ ჩვენ შპს-ს მიენიჭა არაკვალიფიცირებული დღგ-ს სტატუსი. გვანტერესებს, როგორ უქმდება არა კვალიფიცირებული დღგ-ს სტატუსი და როგორ ვიმოქმედოთ?

პასუხი:

უნდა მიმართოთ საგადასახადო ორგანოს და მათი მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოთ შესაბამისი დოკუმენტები.

კითხვა:

როცა რესტორანში უკვე ნახმარი, ფიზიკური მდგომარეობით არა ესტეტური, შეიძლება ითქვას უვარგისი ჭურჭელია ჩამოსაწერი/გადასაყრელი, რს-ზე ვტვირთავთ განაცხადს, თუ პირდაპირ შიდა აქტით ჩამოვწერთ, რადგან ეს ყველაფერი რესტორანში აღრიცხულია არა როგორც მარაგი, არამედ როგორც ძირითადი საშუალებები?

პასუხი:

პრაქტიკაში აღრიცხვის სტანდარტების მიხედვით ყოველი აქტივის ძირითად საშუალებად და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობად აღრიცხვის საკითხი წყდება ინდივიდუალურად - მათი სასარგებლო გამოყენების ვადისა და სხვა დეტალების გათვალისწინებით. თუ აღრიცხვის სტანდარტებით ამ აქტივის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობად აღრიცხვა შესაძლებელია, ამ შემთხვევაში შეგეძლება საქონლის ჩამოსაწერად საგადასახადო ორგანოს მოწვევა. თუ სტანდარტების მიხედვით აღნიშნული აქტივები დაკვალიფიცირდა ძირითად საშუალებად, მაშინ მათ ჩამოწერას შემოსავლების სამსახურის ჩართულობით საგადასახადო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში აქტივის ჩამოწერა მოხდება კომპანიის შიდა დოკუმენტაციის საფუძველზე.

კითხვა:

არარეზიდენტმა შპს-ს მომსახურეობა გამიწია საზღვარგარეთ და უნდა გადავუხადო თანხა. მაინტერესებს, რა ვალდებულება წარმომეშვება გადარიცხვის შემთხვევაში და რა, საქართველოში მინდობილ პირზე, ქეშად გაცემის შემთხვევაში?

პასუხი:

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, მინდობილი პირის არსებობა ოპერაციის შინაარსსა და დასაბეგრ სუბიექტს არ ცვლის. რაც შეეხება არარეზიდენტის დაბეგვრას, თქვენს კითხვაში მოცემული ინფორმაცია სრულიად არასაკმარისია მეტ-ნაკლებად ზუსტი პასუხის გასაცემად. ჩაითვლება თუ არა არარეზიდენტისთვის ეს შემოსავალი საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულად (საშემოსავლო გადასახადის მიზნებისთვის) ან საქართველოში მომსახურების განწევით მიღებულად (დღგ-ის მიზნებისთვის) – თქვენი კითხვიდან არ ჩანს. დაბეგვრა კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ შემოსავალი ჩაითვლება სსკ-ის 104-ე მუხლით განსაზღვრულ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად, რისი ზუსტად გადანაცვებაც მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, თუ გვეცოდინება განწეული მომსახურების სახე და მისი განწევის კონკრეტული პირობები, რაც თქვენი კითხვიდან არ იკვეთება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულების არსებობის საკითხიც (არის თუ არა დადებული ასეთი ხელშეკრულება იმ ქვეყანასთან, რომლის რეზიდენტიც არის ეს არარეზიდენტი) და ასეთის არსებობის შემთხვევაში მნიშვნელოვანია დაზუსტეს რამდენიმე დეტალი (რეზიდენტობის ცნობის არსებობა, ვინ არის შემოსავლების ბენეფიციარული მფლობელი და ა.შ.). მხოლოდ ამ საკითხების დაზუსტების შემდგომ იქნება შესაძლებელი ზუსტად იმის განსაზღვრა, ექნება თუ არა ძალა ორმაგი დაბეგვრისგან თავიდან აცილების ხელშეკრულების კონკრეტულ ჩანაწერს და მოხდება თუ არა არარეზიდენტი-სათვის შესაბამისი თანხების გადახდის წყაროსთან დაკავება.

სხვა საკითხია არარეზიდენტის მიერ განწეულ მომსახურებაზე უკუდაბეგვრის დღგ-ის დარიცხვის ვალდებულება, რისი განსაზღვრაც მხოლოდ მას შემდეგ არის შესაძლებელი, რაც მოხდება მომსახურების სახისა და სხვა დეტალების დაზუსტება. უკუდაბეგვრის დღგ-სთან დაკავშირებით გთხოვთ, გაეცნოთ საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლს.

კითხვა:

შპს-ს თანამშრომლები, მიუხედავად კოვიდისა, საზღვარგარეთ ახორციელებენ საქმიან ვიზიტებს და ხშირად, სხვადასხვა ქვეყნების რეგულაციებიდან გამომდინარე, უნევთ კარანტინში ყოფნა და რეგულაციებზე დამორჩილება (შეიძლება ერთ პირს რამოდენიმეჯერ სხვადასხვა ქვეყანაში). გვინტერესებს, მაქსიმუმ რა ვადით შეიძლება თანამშრომლის მივლინებაში ყოფნა (გონივრულობა) საზღვარგარეთ ასეთი პირობების გათვალისწინებით და როგორ ვანაზღაურებთ იზოლაციის პერიოდს?

პასუხი:

1. „გონივრულობის“ დიაპაზონი არ არსებობს.
2. თუ იზოლაციის პერიოდი, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობიდან გამომდინარე, მივლინების მიზნების შესასრულებლად სავალდებულოა და მივლინების მიზნობრიობა უკავშირება კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობას, მაშინ იგი (იზოლაციის პერიოდი) მივლინების შემადგენელი ნაწილია და ისევე უნდა ანაზღაურდეს, როგორც მივლინება.

კითხვა:

შპს-ს ჰყავს 4 მენილე და ერთმა მენილემ უნდა გაასხვისოს თავისი წილი (რომელიც გადავა ახალ მფლობელზე). 2 თვეში ეს შპს გეგმავს ქონების გაყიდვას და შემოსული თანხა, დაბეგვრის შემდეგ, გაიყოფა მფლობელებს შორის. გთხოვთ განგვიმარტოთ, ახალი მენილე ამ დროს როგორ იბეგრება?

პასუხი:

თუ ახალ მენილეს წილი სრულყოფილად აქვს მიღებული საკუთრებაში, მაშინ მასზე არის გადასული ყველა ის უფლება და ვალდებულება, რაც ჰქონდა ძველ მენილეს (ცხადია, თუ წილის ნასყიდობის ხელშეკრულება სხვაგვარ პირობებს არ აწესებს), მათ შორის, დივიდენდის მიღების უფლებაც იმ გაუნაწილებელი მოგებიდან, რომელიც ძველი მენილის პირობებში იყო წარმომოხილი. თუ დამფუძნებლებზე გაცემული თანხა დაკვალიფიცირდება დივიდენდად, ის დაიბეგრება საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით (15% - მოგების გადასახადის დარიცხვითა და გადახდის წყაროსთან 5%-იანი საშემოსავლო გადასახადის დაკავებით).

კითხვა:

მიკრომენარმეს ან ფიქსირებულ გადამხდელს თუ შეუძლიათ თანამშრომლის აყვანა დამხმარე საქმიანობაზე, მაგალითად გამყიდველად, მუშად ან კიდევ მოლარედ (იმ შემთხვევაშიც, როცა სალარო-აპარატი არ აქვს, რა თქმა უნდა)?

პასუხი:

მიკრობიზნესის სტატუსის მქონე პირს დაქირავებული შრომის გამოყენება არ შეუძლია. მას მხოლოდ მომსახურების მიღების უფლება აქვს.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელს დაქირავებული შრომის გამოყენება შეუძლია.

ინფორმაცია პირუბიდან

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის გაცვლითი კურსები უცხოური ვალუტების მიმართ 2021 წლის დეკემბერში

თარიღი	ბულგარული ლემი	დანიშნული კრონა	ევრო	ფუნტი სტილინი	ისლანდიური კრონა	სერბული დინარი	ნორვეგიული კრონა	პოლონური გლიტი	რუმინული ლეი	უნგრული ფორინტი	შვედური კრონა	შვეიცარული ფრანკი	ჩეხური კრონა	ამერიკული დოლარი
	1	10	1	1	100	100	10	10	10	100	10	1	10	1
01.12.21	1,8114	4,7668	3,5451	4,1636	2,4084	3,0170	3,4420	7,5745	7,1605	0,9674	3,4465	3,3990	1,3880	3,1179
02.12.21	1,8105	4,7624	3,5414	4,1623	2,4157	3,0141	3,4601	7,6300	7,1562	0,9714	3,4644	3,4010	1,3863	3,1279
03.12.21	1,8117	4,7660	3,5441	4,1663	2,4142	3,0139	3,4499	7,7006	7,1607	0,9781	3,4483	3,3992	1,3943	3,1283
04.12.21	1,8034	4,7472	3,5302	4,1447	2,4047	3,0024	3,4238	7,6804	7,1322	0,9703	3,4291	3,3950	1,3908	3,1210
05.12.21	1,8034	4,7472	3,5302	4,1447	2,4047	3,0024	3,4238	7,6804	7,1322	0,9703	3,4291	3,3950	1,3908	3,1210
06.12.21	1,8034	4,7472	3,5302	4,1447	2,4047	3,0024	3,4238	7,6804	7,1322	0,9703	3,4291	3,3950	1,3908	3,1210
07.12.21	1,7889	4,7055	3,4993	4,1037	2,3770	2,9759	3,3877	7,6165	7,0712	0,9590	3,4007	3,3598	1,3760	3,0967
08.12.21	1,7804	4,6815	3,4813	4,0948	2,3616	2,9605	3,4113	7,5681	7,0348	0,9516	3,3968	3,3448	1,3659	3,0909
09.12.21	1,7884	4,7063	3,4998	4,0911	2,3744	2,9754	3,4509	7,6196	7,0725	0,9509	3,4110	3,3551	1,3741	3,0991
10.12.21	1,8018	4,7375	3,5229	4,1064	2,3901	2,9957	3,4807	7,6387	7,1176	0,9630	3,4388	3,3778	1,3857	3,1140
11.12.21	1,7865	4,6976	3,4932	4,0919	2,3669	2,9718	3,4462	7,5740	7,0582	0,9552	3,4123	3,3529	1,3766	3,1004
12.12.21	1,7865	4,6976	3,4932	4,0919	2,3669	2,9718	3,4462	7,5740	7,0582	0,9552	3,4123	3,3529	1,3766	3,1004
13.12.21	1,7865	4,6976	3,4932	4,0919	2,3669	2,9718	3,4462	7,5740	7,0582	0,9552	3,4123	3,3529	1,3766	3,1004
14.12.21	1,7865	4,6966	3,4924	4,1068	2,3565	2,9702	3,4470	7,5629	7,0560	0,9536	3,4110	3,3534	1,3767	3,1002
15.12.21	1,7902	4,7135	3,5052	4,0999	2,3778	2,9804	3,4151	7,5549	7,0821	0,9572	3,4104	3,3686	1,3812	3,0978
16.12.21	1,7836	4,6898	3,4873	4,1034	2,3724	2,9660	3,3985	7,5452	7,0456	0,9450	3,3928	3,3474	1,3804	3,0957
17.12.21	1,7903	4,7089	3,5017	4,1146	2,3821	2,9774	3,4553	7,5619	7,0745	0,9482	3,4184	3,3472	1,3859	3,0972
18.12.21	1,7883	4,7041	3,4979	4,1045	2,3926	2,9748	3,4289	7,5470	7,0674	0,9510	3,4123	3,3628	1,3827	3,0884
19.12.21	1,7883	4,7041	3,4979	4,1045	2,3926	2,9748	3,4289	7,5470	7,0674	0,9510	3,4123	3,3628	1,3827	3,0884
20.12.21	1,7883	4,7041	3,4979	4,1045	2,3926	2,9748	3,4289	7,5470	7,0674	0,9510	3,4123	3,3628	1,3827	3,0884
21.12.21	1,7801	4,6833	3,4828	4,0782	2,3756	2,9622	3,4120	7,5090	7,0368	0,9492	3,3885	3,3457	1,3808	3,0914
22.12.21	1,7870	4,7021	3,4964	4,1038	2,3735	2,9730	3,4424	7,5587	7,0646	0,9510	3,3903	3,3621	1,3869	3,0958
23.12.21	1,7863	4,6996	3,4946	4,1183	2,3807	2,9724	3,4757	7,5544	7,0605	0,9501	3,3908	3,3513	1,3862	3,0939
24.12.21	1,7886	4,7037	3,4976	4,1417	2,3794	2,9741	3,4882	7,5474	7,0670	0,9466	3,3889	3,3567	1,3930	3,0878
25.12.21	1,7808	4,6919	3,4888	4,1262	2,3700	2,9672	3,4836	7,5404	7,0484	0,9417	3,3873	3,3545	1,3942	3,0774
26.12.21	1,7808	4,6919	3,4888	4,1262	2,3700	2,9672	3,4836	7,5404	7,0484	0,9417	3,3873	3,3545	1,3942	3,0774
27.12.21	1,7808	4,6919	3,4888	4,1262	2,3700	2,9672	3,4836	7,5404	7,0484	0,9417	3,3873	3,3545	1,3942	3,0774
28.12.21	1,7815	4,6871	3,4853	4,1285	2,3646	2,9642	3,4680	7,5484	7,0420	0,9396	3,3763	3,3528	1,3891	3,0789
29.12.21	1,7880	4,7081	3,5009	4,1559	2,3750	2,9775	3,5059	7,6089	7,0727	0,9471	3,4081	3,3718	1,4007	3,0899
30.12.21	1,7871	4,7007	3,4949	4,1553	2,3710	2,9724	3,5068	7,5987	7,0608	0,9466	3,4136	3,3683	1,4024	3,0961
31.12.21	1,7908	4,7121	3,5040	4,1737	2,3773	2,9799	3,5057	7,6241	7,0793	0,9475	3,4168	3,3772	1,4014	3,0976

თარიღი	კანადური დოლარი	ამერიკულ დოლარი	ევროპული გირონგა	თურქული ლირა	იაპონური იენი	აგს დირჰამი	ირანული რიალი	ისრაელის შიკელი	სინგაპური დოლარი	შვეიცარი ფრანკი	ჩინური იუანი	ჰონგკონგური დოლარი	ინდური რუპია	ახალგაზრდული დოლარი
	1	1	10	1	100	10	10000	10	1	1	10	10	100	1
01.12.21	2,4385	2,2231	1,9811	0,2387	2,7648	8,4887	0,7424	9,8543	2,2823	10,3037	4,8943	3,9985	4,1479	2,1270
02.12.21	2,4525	2,2361	1,9913	0,2367	2,7571	8,5159	0,7447	9,9264	2,2937	10,3367	4,9096	4,0135	4,1755	2,1410
03.12.21	2,4453	2,2230	1,9910	0,2331	2,7660	8,5170	0,7448	9,8944	2,2896	10,3415	4,9071	4,0151	4,1716	2,1322
04.12.21	2,4301	2,2012	1,9868	0,2291	2,7561	8,4971	0,7431	9,8897	2,2764	10,3139	4,8990	4,0044	4,1519	2,1148
05.12.21	2,4301	2,2012	1,9868	0,2291	2,7561	8,4971	0,7431	9,8897	2,2764	10,3139	4,8990	4,0044	4,1519	2,1148
06.12.21	2,4301	2,2012	1,9868	0,2291	2,7561	8,4971	0,7431	9,8897	2,2764	10,3139	4,8990	4,0044	4,1519	2,1148
07.12.21	2,4193	2,1761	1,9705	0,2247	2,7344	8,4310	0,7373	9,8180	2,2612	10,2336	4,8555	3,9693	4,1057	2,0897
08.12.21	2,4338	2,1908	1,9671	0,2252	2,7201	8,4152	0,7359	9,7823	2,2616	10,2077	4,8543	3,9643	4,0972	2,0925
09.12.21	2,4518	2,2087	1,9720	0,2268	2,7327	8,4375	0,7379	9,9368	2,2711	10,2348	4,8815	3,9741	4,1072	2,0990
10.12.21	2,4568	2,2281	1,9826	0,2264	2,7434	8,4781	0,7414	10,0258	2,2818	10,2806	4,9056	3,9940	4,1234	2,1181
11.12.21	2,4374	2,2159	1,9698	0,2232	2,7263	8,4411	0,7382	9,9961	2,2695	10,2323	4,8679	3,9749	4,0913	2,0990
12.12.21	2,4374	2,2159	1,9698	0,2232	2,7263	8,4411	0,7382	9,9961	2,2695	10,2323	4,8679	3,9749	4,0913	2,0990
13.12.21	2,4374	2,2159	1,9698	0,2232	2,7263	8,4411	0,7382	9,9961	2,2695	10,2323	4,8679	3,9749	4,0913	2,0990
14.12.21	2,4311	2,2104	1,9732	0,2177	2,7271	8,4405	0,7381	9,9942	2,2667	10,2351	4,8718	3,9745	4,0919	2,0995
15.12.21	2,4177	2,2066	1,9690	0,2162	2,7274	8,4340	0,7376	9,9429	2,2651	10,2271	4,8688	3,9700	4,0831	2,0935
16.12.21	2,4035	2,2060	1,9675	0,2105	2,7205	8,4283	0,7371	9,8869	2,2626	10,2101	4,8633	3,9673	4,0610	2,0880
17.12.21	2,4231	2,2306	1,9678	0,2040	2,7135	8,4323	0,7374	9,9553	2,2697	10,2083	4,8634	3,9701	4,0702	2,1111
18.12.21	2,4121	2,2110	1,9622	0,1868	2,7208	8,4084	0,7353	9,8889	2,2619	10,1860	4,8392	3,9582	4,0591	2,0890
19.12.21	2,4121	2,2110	1,9622	0,1868	2,7208	8,4084	0,7353	9,8889	2,2619	10,1860	4,8392	3,9582	4,0591	2,0890
20.12.21	2,4121	2,2110	1,9622	0,1868	2,7208	8,4084	0,7353	9,8889	2,2619	10,1860	4,8392	3,9582	4,0591	2,0890
21.12.21	2,3931	2,1967	1,9676	0,1769	2,7211	8,4166	0,7360	9,7972	2,2603	10,1925	4,8486	3,9631	4,0723	2,0762
22.12.21	2,3937	2,2089	1,9658	0,2433	2,7230	8,4285	0,7371	9,7885	2,2693	10,2239	4,8596	3,9686	4,0948	2,0921
23.12.21	2,3974	2,2162	1,9692	0,2463	2,7073	8,4234	0,7366	9,7815	2,2661	10,2176	4,8557	3,9666	4,0952	2,0974
24.12.21	2,4082	2,2353	1,9655	0,2699	2,7013	8,4068	0,7352	9,7867	2,2718	10,2076	4,8478	3,9595	4,1037	2,1099
25.12.21	2,4059	2,2280	1,9598	0,2614	2,6912	8,3787	0,7327	9,7497	2,2678	10,1699	4,8325	3,9460	4,1023	2,0997
26.12.21	2,4059	2,2280	1,9598	0,2614	2,6912	8,3787	0,7327	9,7497	2,2678	10,1699	4,8325	3,9460	4,1023	2,0997
27.12.21	2,4059	2,2280	1,9598	0,2614	2,6912	8,3787	0,7327	9,7497	2,2678	10,1699	4,8325	3,9460	4,1023	2,0997
28.12.21	2,4001	2,2220	1,9596	0,2713	2,6857	8,3827	0,7331	9,8236	2,2692	10,1748	4,8312	3,9467	4,1055	2,0937
29.12.21	2,4149	2,2402	1,9668	0,2599	2,6908	8,4125	0,7357	9,9386	2,2826	10,2145	4,8512	3,9620	4,1386	2,1051
30.12.21	2,4143	2,2354	1,9662	0,2509	2,6920	8,4293	0,7372	9,9701	2,2853	10,2182	4,8614	3,9713	4,1427	2,1050
31.12.21	2,4208	2,2482	1,9670	0,2379	2,6901	8,4334	0,7375	9,9697	2,2888	10,2366	4,8592	3,9719	4,1623	2,1144

თარიღი	რუსული რუბლი	ამერიკანული დოლარი	გელთრუსული რუბლი	თურქმენული მანათი	ბოლდავური ლმი	სომხური დრამი	თაჯიკური სომონი	უზბეკური სუმი	უკრაინული გრივნა	ყაზახური თენგე	ყირგიზული სომი	სამხრეთ აფრიკული რანდ	ბრაზილიური რეალი
	100	1	10000	10	10	1000	10	1000	10	100	100	10	1
01.12.21	4,1660	1,8348	1,2264	8,9083	1,7563	6,3916	2,7698	0,2892	1,1455	0,7150	3,6802	1,9365	0,5560
02.12.21	4,2290	1,8380	1,2302	8,9369	1,7619	6,4031	2,7785	0,2904	1,1486	0,7183	3,6909	1,9656	0,5563
03.12.21	4,2317	1,8421	1,2299	8,9380	1,7619	6,3966	2,7719	0,2907	1,1459	0,7166	3,6910	1,9744	0,5508
04.12.21	4,2381	1,8375	1,2283	8,9171	1,7613	6,3427	2,7656	0,2901	1,1431	0,7134	3,6827	1,9521	0,5534
05.12.21	4,2381	1,8375	1,2283	8,9171	1,7613	6,3427	2,7656	0,2901	1,1431	0,7134	3,6827	1,9521	0,5534
06.12.21	4,2381	1,8375	1,2283	8,9171	1,7613	6,3427	2,7656	0,2901	1,1431	0,7134	3,6827	1,9521	0,5534
07.12.21	4,1955	1,8215	1,2174	8,8477	1,7525	6,2921	2,7472	0,2876	1,1314	0,7066	3,6523	1,9351	0,5478
08.12.21	4,1561	1,8190	1,2107	8,8311	1,7522	6,2656	2,7407	0,2869	1,1304	0,7070	3,6483	1,9352	0,5436
09.12.21	4,2050	1,8239	1,2193	8,8546	1,7577	6,2735	2,7467	0,2876	1,1382	0,7097	3,6566	1,9623	0,5524
10.12.21	4,2257	1,8320	1,2286	8,8971	1,7621	6,2870	2,7607	0,2887	1,1488	0,7152	3,6740	1,9705	0,5631
11.12.21	4,2183	1,8219	1,2328	8,8583	1,7494	6,2571	2,7565	0,2873	1,1480	0,7118	3,6582	1,9397	0,5556
12.12.21	4,2183	1,8219	1,2328	8,8583	1,7494	6,2571	2,7565	0,2873	1,1480	0,7118	3,6582	1,9397	0,5556
13.12.21	4,2183	1,8219	1,2328	8,8583	1,7494	6,2571	2,7565	0,2873	1,1480	0,7118	3,6582	1,9397	0,5556
14.12.21	4,2234	1,8218	1,2331	8,8577	1,7471	6,2838	2,7492	0,2868	1,1538	0,7108	3,6599	1,9431	0,5527
15.12.21	4,2094	1,8238	1,2315	8,8509	1,7462	6,3839	2,7510	0,2859	1,1483	0,7124	3,6566	1,9316	0,5458
16.12.21	4,1942	1,8226	1,2232	8,8449	1,7468	6,4519	2,7457	0,2855	1,1383	0,7084	3,6525	1,9090	0,5441
17.12.21	4,2140	1,8201	1,2236	8,8491	1,7471	6,4541	2,7483	0,2860	1,1386	0,7078	3,6544	1,9392	0,5448
18.12.21	4,1827	1,8184	1,2189	8,8240	1,7404	6,4000	2,7387	0,2849	1,1336	0,7057	3,6443	1,9407	0,5430
19.12.21	4,1827	1,8184	1,2189	8,8240	1,7404	6,4000	2,7387	0,2849	1,1336	0,7057	3,6443	1,9407	0,5430
20.12.21	4,1827	1,8184	1,2189	8,8240	1,7404	6,4000	2,7387	0,2849	1,1336	0,7057	3,6443	1,9407	0,5430
21.12.21	4,1616	1,8176	1,2192	8,8326	1,7381	6,4186	2,7400	0,2855	1,1330	0,7083	3,6494	1,9512	0,5437
22.12.21	4,1862	1,8192	1,2253	8,8451	1,7363	6,4411	2,7451	0,2859	1,1356	0,7103	3,6526	1,9584	0,5396
23.12.21	4,1962	1,8181	1,2242	8,8397	1,7355	6,4573	2,7447	0,2854	1,1352	0,7081	3,6504	1,9467	0,5385
24.12.21	4,2085	1,8172	1,2282	8,8223	1,7316	6,4503	2,7372	0,2846	1,1309	0,7080	3,6432	1,9628	0,5455
25.12.21	4,1919	1,8111	1,2227	8,7926	1,7265	6,4229	2,7308	0,2848	1,1301	0,7120	3,6312	1,9800	0,5421
26.12.21	4,1919	1,8111	1,2227	8,7926	1,7265	6,4229	2,7308	0,2848	1,1301	0,7120	3,6312	1,9800	0,5421
27.12.21	4,1919	1,8111	1,2227	8,7926	1,7265	6,4229	2,7308	0,2848	1,1301	0,7120	3,6312	1,9800	0,5421
28.12.21	4,1890	1,8094	1,2221	8,7969	1,7278	6,4229	2,7330	0,2851	1,1291	0,7129	3,6330	1,9850	0,5426
29.12.21	4,1986	1,8158	1,2262	8,8283	1,7418	6,4568	2,7428	0,2858	1,1354	0,7165	3,6458	1,9656	0,5487
30.12.21	4,1972	1,8205	1,2268	8,8460	1,7458	6,4542	2,7483	0,2863	1,1382	0,7140	3,6513	1,9567	0,5502
31.12.21	4,1479	1,8222	1,2101	8,8503	1,7456	6,4459	2,7510	0,2861	1,1350	0,7174	3,6563	1,9458	0,5440

ფინანსური მართვა აუდიტი და მარნეულებელი მომსახურება საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება

ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც პასუხისმგებელია დამქირავებელი ორგანიზაციის საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ან დამტკიცებაზე, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ფინანსური ანგარიშგების წარდგენისთვის დადგენილი სათანადო საფუძვლების შესაბამისად.

პროფესიონალმა ბუღალტერმა არ უნდა დაუშვას, რომ ინტერესთა კონფლიქტმა გამოიწვიოს მისი პროფესიული ან საქმიანი გადანაცვლებების კომპრომენტირება.

